პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან. დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 6—46.

ხუთშაბათი, 30 დეკემბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 299 (1754)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— გაიხსნა ინდოეთის ეროვნული კონგრესი.
— პოლონეთში გრძელდება პრესის სასტიკი დევნა.
— ლიტვის მთავრობა აპირებს სეიმის დათხოვნას.
— უნგრეთის ფაშისტებმა თავისი ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს გრაფი ტელეკი.
— ესპანეთზე გადაიარა გრიგალი, რომელმაც დიდძალი ზარალი გამოიწვია.
— საფრანგეთის ფეიქრები საბჭოთა კავშირში გზავნიან დელეგაციას.
— ლენინგრადიდან მოსკოვში დაბრუნდა ამხ. კუკი.

„კომუნისტი"
მთავარი კანტორა ხელისმოწერის მისაღებად
ღია იქნება კვირას, 2 იანვარს
რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

საბჭოების გადარჩევის შესახებ

ძვირფასო ამხანაგებო!

ახლოვდება საარჩევნო კამპანიის პერიოდი. პარტია ამ კამპანიას უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს. მუშათა კლასის კავშირმა გლეხობასთან თავისი გამოხატულება პირველ რიგში უნდა მიიღოს საბჭოების მუშაობაში, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მუშურ-გლეხური მასების ფართოდ ჩაბმის საუკეთესო ფორმას წარმოადგენენ.

1925—26 წლის საბჭოების გადარჩევა, წინაალმდეგ წინა წლების გადარჩევისა, იყო ფართე და თავისუფალი. შარშანდელმა საარჩევნო კამპანიამ, რომელიც ჩატარდა სახალხო მეურნეობის და მასების კულტურული დონის საერთო ამაღლების პირობებში, გვიჩვენა ქალაქისა და სოფლის ყველა ფენების, განსაკუთრებით საშუალო შეძლების გლეხობის მნიშვნელოვანი აქტივობა.

საჭიროა ცალკე აღინიშნოს მშრომელ ქალთა, კერძოთ თურქ-ქალთა მონაწილეობისა და აქტივობის ზრდა საბჭოების გადარჩევაში.

მიუხედავათ გლეხობის ულარიბესი ნაწილის ორგანიზაციების არასაკმაო გამოცდილებისა, ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებს ჰქონდათ ერთგვარი მიღწევები ულარიბეს-საშუალო გლეხობის ბლოკის შექმნის საქმეში კულაკის იზოლიაციის მიზნით.

ზემოაღნიშნული გარემოებები, რომლებსაც პარტია აფასებს, როგორც უდიდეს მიღწევას პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების დარგში, წარმოადგენენ პარტიის მიერ საბჭოების გამოცოცხლებაზე აღებული ხაზის სისწორის დამამტკიცებელ საბუთს. მაგრამ, დადებითი შედეგებისა და მიღწევების აღრიცხვასთან ერთად, ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა არ უნდა გაუშვან მხედველობიდან ის ნაკლულევანებები, რომლებმაც თავი იჩინეს შარშანდელ საარჩევნო კამპანიაში პარტხელმძღვანელობის, ულარიბეს საშუალო გლეხობის ბლოკის განმტკიცების დარგში, და მშრომელთა მასების გაზრდილი აქტივობის მოქცევაში საბჭოთა დემოკრატიისა და სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში.

შარშანდელი კამპანიის მსვლელობამ სოფლის მიმართ გვიჩვენა მისი ფენებად დაყოფის ნათელი სურათი, რაც გამოიხატა კულაკობის ცდაში აშკარა თუ ფარული გზით შეეჭრილიყო და თან გაეყოლა ულარიბეს-საშუალო გლეხობის მასა, ხოლო ქალაქის მიმართ—მოსახლეობის დაურაზმავი ნაწილის მნიშვნელოვანი აქტივობა და პოლიტიკური დაინტერესება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გლეხობის საშუალო და შეძლებული ნაწილის აქტივობა შედარებით უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ბოგანოთა და ულარიბესი გლეხობის აქტივობა, რაც აიხსნება მათი სუსტი დარაზმულობით და არასაკმაო პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევით სოფლის მოსახლეობის ამ ფენებზე.

პარტიის მიერ აღებულმა კურსმა საბჭოების გამოცოცხლებისა და საბჭოთა დემოკრატიის განხორციელებაზე პირველ ხანებში ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა ამიერ-კავკასიის ზოგიერთი პარტორგანიზაციების რიგებში, რაც გამოიხატა ხელმძღვანელობისაგან თვითჩამოშორებაში („ხვოსტიზმი"), პარტიული სახის დამალვაში ცალკე კომუნისტების მიერ სოფლის შეძლებულ ელემენტებთან კავშირის შეკვრაში, ალაგ-ალაგ ერთიანი პარტიული ფრონტის გარღვევაში კომკავშირელების მხრივ, არჩევნებში ულარიბესი გლეხობისა და ბოგანოთა დარაზმული მონაწილეობის აუცილებლობის უარყოფაში საშუალო გლეხობასთან კავშირის გაწყვეტის შიშით და სოფლის დიფერენციაციის უარყოფაში.

ამის შედეგად, ჩვენ შარშან მივიღეთ კომუნისტებისა და კომკავშირელთა პროცენტის უმნიშვნელო დაკლება სოფლის საბჭოებში და მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება ქალაქის საბჭოებში.

გამოდის რა ზემოაღნიშნულ ნაკლულოვანებებიდან, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტებს და ადგილობრივ ორგანიზაციებს მომავალ საარჩევნო კამპანიაში იხელმძღვანელონ შემდეგი ძირითადი დირექტივით:

„საშუალო გლეხობის ჩამოშორება კულაკობისაგან, კულაკობის პოლიტიკური იზოლიაცია, პროლეტარიატისა და ულარიბესი გლეხობის კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან, ძირითადი გლეხური მასის ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება ქალაქისა და სოფლის ფართე მშრომელ მასებში" (საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის რეზოლიუციიდან).

ზემოაღნიშნული ძირითადი დირექტივის წარმატებით განსახორციელებლად, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. პარტორგანიზაციებისა და აჩკომკავშირის ყოველმხრივი მომზადება არჩევნებისათვის და საბჭოებში პარტიული გავლენის გაძლიერება.

2. მუშაობის გაძლიერება ულარიბესი და საშუალო გლეხობის ბლოკის განმტკიცების მიმართულებით, ამ ბლოკის დაპირდაპირების მიზნით კულაკობის წინაალმდეგ, რომელიც ილტვის მბრძანებელი სიმაღლეების დაპყრობისაკენ სოფლად, აღნიშნულ ბლოკში ბოგანოთა რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმა. ამ მიზნით ულარიბესთა კრებების მოწვევა, საშუალო გლეხობის მონაწილეობით კანდიდატურების (უჯრედის მიერ წინასწარ დასახელებულის), მორიგ პრაქტიკულ ამოცანების განხილვა (რომლებიც უნდა განახორციელოს საბჭოს ახალმა შემადგენლობამ) და, ერთის მხრივ, კულაკისა და, მეორეს მხრივ, ბოგანოთა ულარიბესი და საშუალო გლეხობის ინტერესთა წინააღმდეგობის გამომჟღავნება ამ ამოცანების გადაწყვეტის დროს. ულარიბესი და საშუალო გლეხობის ფართო მასების ჩაბმა აგიტაციაში ამ კრებებზე დასახულ კანდიდატურებისა და ღონისძიებათა სასარგებლოდ და კულაკობის მიერ წამოყენებულ კანდიდატურათა და მათ მიერ დასახულ ღონისძიებათა წინააღმდეგ.

3. პრესაში საარჩევნო კამპანიის სისტემატიური და ყოველმხრივი გაშუქება.

4. საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების ფართე ანგარიშიანობა ამომრჩეველების წინაშე, ამომრჩეველთათვის საქმიანი კრიტიკის გაწევის შესაძლებლობის მიცემით, ადგილობრივ ორგანოებში შემჩნეულ ნაკლულევანებათა გამოაშკარავება და დღემდე დარჩენილი მბრძანებლობის მეთოდის გადაჭრით აღმოფხვრა.

5. პროფკავშირებისა და წითელი არმიის აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კამპანიის პროცესში.

6. ქალაქის საბჭოებში მუშების მაქსიმალურად ჩაბმა მოსამსახურეთა შარშანდელი პროცენტის სათანადო დაკლებით.

7. ქალაქისა და სოფლის პოლიტიკური ძალების სწორი აღრიცხვა და ენერგიული ბრძოლის ჩატარება ანტისაბჭოთა ძალების ფარული მზადების წინააღმდეგ არჩევნებისათვის.

8. შარშანდელი კამპანიის მიღწევების განმტკიცება ქალთა ჩაბმის მხრივ საარჩევნო კამპანიაში. ქალების უფრო მეტი წამოყენება საბჭოებში, მაგრამ ისე, რომ ამ საკითხისადმი არ იყოს ფორმალური მიდგომა, არამედ იხელმძღვანელონ ქალთა აქტივობით, კანდიდატურების მუშაობის უნარიანობით და სხ.

საქ. კომ. პარ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი—**ორახელაშვილი.**

კოვნო და ლონდონი

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი).

დიქტატორული ძალაუფლებით მოსილი ფაშისტ-მკვლელების მთავრობა მბრძანებლობს კოვნოში. სახელმწიფოში მძვინვარებს ტერორი. მთავრობა ემზადება სეიმის ფორმალურ დათხოვნისათვის. თავიდანვე მან ყველას დაგვანახვა, რომ ის ბევრ ლაპარაკს არ დაუწყებს „დემოკრატიას". მისთვის ყოველი ჟანდარმი—„კონსტიტუციონურ" დეპუტატზე ძვირფასია. ვოლდემარასი და სმეტონი მხეცურად გაუსწორდნენ კომუნისტებს და უკანა რიცხვით „იმუქრებიან" „დოკუმენტების" გამოქვეყნებით, რომლითაც უნდა დაამტკიცონ „ბოლშევიკური შეთქმულების" მზადება. ყალბი საბუთების ოსტატებს ლიტვაშიც მოუხდებათ მუშაობა. ისე, როგორც არა ერთხელ მოუხდათ მუშაობა სხვა, უფრო დიდ მეზობელ სახელმწიფოებში. მთელი უბედურობა იმაშია, რომ ამ ჯერზე ყალბი საბუთების საშუალებით მოუხდებათ იმისთანა რამეების მტკიცება, რომელთა განმეორებაც მხოლოდ ჭკუა შერყეულს თუ შეუძლია, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ არავითარ წითელ შეთქმულებას, მისთვის მზადებას არ ჰქონია ადგილი. რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ყველასათვის ცნობილი ფაქტები მოწმობენ სულ სხვა შინაარსის შეთქმულების მზადებას, რაც თვით გადატრიალების ფაქტში გამოიხატა, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ ლიტვის პატარა, არალეგალურ კომპარტიას ისეთ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის 85 პროცენტს გლეხები შეადგენენ, მტრებით გარემოცულ ქვეყანაში, რომელსაც გვერდში ჰყავს ფაშისტური პოლონეთი, ლიტვის ანექსიის მეოცნებე, განა შეეძლო ეფიქრა რაიმე აჯანყებაზე?

ზღაპრები კომუნისტური შეთქმულების შესახებ, ჭორები, რომელთაც ყოველი საღი მოსაზრების წინააღმდეგ რაც ძალა და ღონე აქვთ ავრცელებენ ლიტვაში და მის გარეთ, ისეთივე აბდა-უბდაა, როგორც, ჭორების მეორე ვერსია, რომელიც უკვე სასაცილოდ აიგდო გერმანიის ბურჟუაზიულმა პრესამ. ვერსია, თითქოს მთავრობაში მყოფი ლიტვის სოციალ-დემოკრატები, რომელთაც დასდეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, მიეყიდნენ მოსკოვს და გადაუგვარდნენ „ბოლშევიკურად".

განაში ბოლშევიკური საფრთხის შესახებ თუმცა ეწინააღმდეგება ფაქტებს, მაგრამ ის მაინც ესაჭიროებათ კოვნოს კაცუნებს. ის სჭირდებათ მათ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მით დაფარონ, მით გაამართლონ ყაჩაღური მოპყრობა მუშებისა და კომუნისტების წინააღმდეგ. მეორე, ის მათ სჭირდებათ იმიტომ, რომ დაფარონ თვით ფაშისტური მთავრობის მიერ ჩადენილი ნაციონალური ღალატის ფაქტი, რომ ჩაუნერგონ ხალხს ბოლშევიკური საფრთხის ილიუზია, რომ აუხვიონ თვალი იმ რეალურ საფრთხისაგან, რომელიც ემუქრება ლიტვის დამოუკიდებელ არსებობას ფაშისტური პოლონეთის მხრივ.

განაში წითელი შეთქმულების შესახებ იმიტომ ესაჭიროებათ, რომ გაუადვილონ „მუშაობა" პოლონელ აგენტების და პოლონეთთან ლიტვის შეერთების მოღალადებელთ, თუ გინდ უნიის სახით. ლიტვის ნაციონალიზმის ბელადებმა, სმეტონამ და ვოლდემარასმა, ბოლშევიზმის ლიკვიდაციის პროგრამა აღბეჭდეს მთავრობის დროშაზე, რომ დაჩრდილონ კაპიტულიაციის ფაქტი ქრისტიან-დემოკრატების წინაშე, ხოლო ლიტვაში ქრისტიან-დემოკრატების პარტია წარმოადგენს პოლონეთის აგენტურას, რომლის ხელშიც დღევანდელი მთავრობის მეთაურნი სულ უფრო აშკარა მარიონეტკების როლს თამაშობენ.

დაბოლოს, მესამე, ლონდონის რადიოს მიერ მიღებული ზღაპარი შინაური ბოლშევიკური საფრთხის, როგორც ფაშისტური გადატრიალების ფაქტორის აღმოცენების შესახებ, ესაჭიროებათ იმიტომ, რომ მის საშუალებით დაფარონ ლიტვის ამბების ნამდვილი მიზეზები.

ნამდვილად კი ფაშისტური გადატრიალება გამოწვეულ იქნა არა „შინაგანი მიზეზებით", არამედ წინასწარ მოფიქრებულად და სისტემატიურად ის მზადდებოდა გარედან. უშუალოდ გადატრიალებას ამზადებდა პოლონეთი. გადატრიალების საბოლოო კვალს მივყევართ ლონდონში, რომელმაც შესძლო მოხერხებულად ემოქმედა ლიტვის შინაურ მდგომარეობაზე და შეექმნა მასში „ობიექტიურ ეკონომიური სარჩული" ნაროდნიკულ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის დასამხობად. სწორედ იმ მომენტისათვის, როცა ერთის მხრივ მოუსავლობის გავლენით გამწვავდა ლიტვის ეკონომიური მდგომარეობა და როცა, მეორე მხრივ, საიდუმლო თანხებით მოწყობილ იქნა ფაშისტების მებრძოლი რაზმები, ინგლისმა მოულოდნელად დააჭირა ხელი „ეკონომიური ზედამხედველის ბერკეტს". ლიტვას სესხზე უარი უთხრეს. ეს მეტად აუტანელი შეიქმნა ლიტვის პატარა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. ამას მოჰყვა: მწვავე დეფიციტი, ცხოვრების გაძვირება, ექსპორტის გაძნელება, ხარჯების შემოკლება, უფროსი შემადგენლობისა და მათი ჯამაგირების შემცირება და აგიტაცია არმიაში გადატრიალების მოსახდენად.

ინგლისის კონსერვატიული პრესა ჯერ-ჯერობით ძუნწობს თავისი კომენტარიებით ლიტვის ამბებზე, მაგრამ მაინც არ ფარავს თავის კმაყოფილებას. ხოლო ამასთან ერთად, გადატრიალებამდე რამოდენიმე ხნის წინ ოფიციოზმა „დეილი ტელეგრაფმა" და ბრიტანეთის ბურჟუაზიის ხელმძღვანელმა ორგანომ „ტაიმსმა" საკმაოდ საფუძვლიანად გააშუქეს ლიტვის საკითხი.

ინგლისის იმპერიალისტურ დიპლომატიას ლიტვის მიმართ აქვს ორი გეგმა, რომელნიც საბჭოთა კავშირის ფაშისტური და იმპერიალისტური გარემოცვის ერთიანი, დიდი გეგმის ნაწილს წარმოადგენენ. პირველ გეგმას, რომელიც ახლოა განხორციელებასთან, წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებულების გამწვავება ლიტვასა და საბჭოთა კავშირს შორის და, წინააღმდეგ ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისა, ლიტვის მოქცევა საბჭოთა კავშირთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოების რკალში. მეორე გეგმას, რომელიც შენახულია და რომლისათვისაც მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელიან, წარმოადგენს ლიტვისა და მემელის შეერთება პოლონეთთან და ამასთან ერთად გერმანიის კომპენსაცია მისთვის პოლონეთის კორიდორის დაბრუნების გზით. როგორც ერთი, ისე მეორე გეგმაც ბოლოს და ბოლოს ერთ და იმავე წერტილში ურტყამენ და ემსახურებიან საბჭოთა კავშირთან ბრძოლის მიზნებს. როგორც ერთი, ისე მეორე გეგმა უნდა გახდეს მწვავე კონფლიქტების საბაბი აღმოსავლეთ ევროპაში.

საბჭოთა კავშირის და ყველა ქვეყნების მშრომელთათვის სავსებით ნათელი უნდა იყოს ინგლისის დიპლომატიის ავანტიურისტული გეგმები. მშრომელთა მასები მზად უნდა იყონ, როცა ინგლისი თავის ვასალების ხელით ამზადებს თავდასხმას საბჭოების ქვეყანაზე. ყველა უნდა ხედავდეს, სად, ვინ და როგორ არღვევს მშვიდობიანობას ევროპაში. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს უდიდესი განსხვავება საბჭოთა კავშირის პოლიტიკისა და ინგლისის პოლიტიკას შორის. საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობიანობა, ინგლისი ამას არღვევს. საბჭოთა კავშირი სდებს სამშვიდობო ხელშეკრულებებს და ხელშეკრულებას ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ თავის მეზობელ სახელმწიფოებთან, ინგლისი კი ამას ეწინააღმდეგება და ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოებისაგან აგებს შეიარაღებულ ბარიერს ჩვენს წინააღმდეგ და ფაშისტურ კოლონას უპირდაპირებს სოციალისტური რევოლიუციის ქვეყანას. საბჭოთა კავშირი იცავს მცირე ეროვნებათა დამოუკიდებლობას, იცავს მათ უფლებას თვითგამორკვევაზე, ინგლისი კი ხელს უწყობს მცირე ეროვნებათა დაღრჩობას და მათ შთანთქმას. საბჭოთა კავშირს აღებული აქვს კურსი მშვიდობიან და საქმიან თანაცხოვრებაზე ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ინგლისი კი აწყობს შუღლა-შემოხლას ხალხთ შორის. საბჭოთა კავშირი იბრძვის მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის, ინგლისი კი მოქმედობს მის დასარღვევად. ყველა მშრომელნი ხედავენ, გრძნობენ ამ განსხვავებას ორი ქვეყნის პოლიტიკას შორის. მით უმეტეს ფხიზლად უნდა იყონ ისინი იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც ყველაფერის და მიუხედავად, დღემდე რეგულიარად ატარებს ინგლისის დიპლომატია.

მოსკოვი, 29 დეკემბერი.

კაპიტალის შემოტევა ძლიერდება

(წერილი ინგლისიდან)

მაღაროს მეპატრონეების ლოკაუტის დასრულება სრულებით არ მოასწავებს, როგორც ეს რეფორმისტებს ჰგონიათ, მუშათა კლასის წინააღმდეგ კაპიტალის შემოტევის დასასრულს. ლოკაუტი მხოლოდ ერთი სათეხური იყო იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებენ ინგლისელი კაპიტალისტები მუშების წინააღმდეგ. ამას ამტკიცებს ფაქტები.

ინგლისის ბურჟუაზია და მისი მთავრობა არ მიაყენებდენ ქვეყანას ვეებერთელა ზარალს, რომელიც თვით უკიდურეს ოპტიმისტების შეფასებითაც კი 500 მილიონ გირვანქა სტერლინგს აღწევს, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მემაღაროელებისათვის წაეყენებიათ ხელფასის დაკლების და 8 საათის სამუშაო დღის პირობები. აქ არ იქნებოდა დაცული წონასწორობა ბრძოლის ხარჯებსა და მიღწეულ შედეგების შორის. და კაპიტალისტთა კლასი მთლიანად ნებას არ მისცემდა მის ერთ ნაწილს — მაღაროს მეპატრონეებს გაეწია ასეთი დიდი ხარჯები მხოლოდ მის სასარგებლოდ. პირიქით, ეს ფაქტი იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ვიმყოფებით დიდი ბრძოლის დასაწყისში, რომლის მიზანია კაპიტალიზმის შინაგანი სტაბილიზაცია მუშათა კლასის ხარჯზე. მას სხვა გამოსავალი არ გააჩნია.

მაგრამ გარდა ამისა, მრავალი სხვა ფაქტებიც, რომლებიც ამტკიცებენ კომუნისტების თვალსაზრისს, რომ ჩვენ ვიმყოფებით მხოლოდ ბრძოლის დასაწყისში.

მაღაროს მეპატრონეები სცდილობენ, რაც შეიძლება განამტკიცონ თავიანთი დროებითი გამარჯვება, სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ნახონ ამ გამარჯვებაში. გარდა მუშების დამომნებელ, „უთანასწორო" სარაიონო შეთანხმებებისა, რომლებზედაც მემაღაროელები იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ სიმშილის და მემარჯვენე ბელადების ღალატის გამო, მაღაროს მეპატრონეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დააქუცმაცონ მემაღაროელები და ძირს დასცენ მათი ძირითადი ფედერაცია, ცოტ-ცოტა ყოველგან ადგილობრივ მაღალატე ბელადების წყალობით, რომელთაც მხარს უმაგრებენ ტრედიუნიონების ხელმძღვანელი ორგანოები და მუშათა პარტიის ბელადები, მეპატრონეები სცდილობენ შექმნან ახალი კავშირები, მიმართული ფედერაციის წინააღმდეგ. საბედნიეროთ მათ ცდას დღევანდლამდის არ მოუტანია დიდი შედეგი. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ეს მათ არ შეაჩერებს. ასევე გასაგებია, თუ რა აღშფოთებას იწვევს მათში მუშათა მოძრაობის ახალი ლოზუნგი—„მემაღაროელთა მხოლოდ ერთ კავშირში გაერთიანება", რომელიც ასეთ დიდ სიმპატიებს იწვევს მუშებში.

ამით აიხსნება ის გაწიწმატებული ლანძღვისა და ცილის-წამების კამპანია, მიმართული კუკის წინააღმდეგ, რომელმაც წამოაყენა ეს შეხედულება პროფკავშირთა ყრილობაზე მოსკოვში.

კაპიტალისტთა შემოტევის შეუწყვეტლობის მაჩვენებელია ეს გაშმაგებული კამპანია, მიმართული გაფიცულ მუშების ცოლ-შვილისათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ. კაპიტალისტური პრესა ურცხვად აღიარებს, რომ ამ დახმარების აღმოუჩენლად მემაღაროელები ასე დიდ ხანს ვერ გაუძლებდნენ ბრძოლას ულტრა-რეაქციონურ მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა, ინგლისელ მუსოლინად წოდებულმა, ერთ-ერთ დეკრეტში გაილაშქრა ღარიბთა კანონის წინააღმდეგ. მან მოინდომა მისი ადმინისტრაციის ხელში ჩაგდება, მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდება და დადის ხმები, რომ ის ამზადებს დიდ რეფორმებს ამ სფეროში.

უფრო მნიშვნელოვანია ტრედ-იუნიონების კანონის რეფორმა, რომელსაც ამჟამად ამზადებს კონსერვატიული მთავრობა. ის იქნება მიმართული ტრედიუნიონების მიერ მოპოვებულ უფლებათა წინააღმდეგ. ამ საკითხში სრული თანხმობა არსებობს მთავრობასა, კონსერვატიულ პარტიასა და ბურჟუაზიის შორის. აზრთა სხვაობა არსებობს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რამდენად შორს უნდა წავიდნენ ამ მიმართულებით.

საერთო გაფიცვის დასრულებისთანავე მთავრობამ გამოჰყო მინისტრთა კაბინეტიდან სპეციალური ქვე-კომისია, რომელსაც დაევალა ახალი კანონ-პროექტის შემუშავება ტრედ-იუნიონების წინააღმდეგ, ხოლო წარედგინება დასამტკიცებლად თემთა პალატის უახლოეს სესიას. არსებითად ეს იქნება კანონიერი თავდაცვის იარაღი ახალი საერთო გაფიცვისაგან. ის მიჩნეულია ბრძოლის უკანონო საშუალებად, მაგრამ საჭიროა ის ასეთად იქნეს აღიარებული პარლამენტის აქტით.

მაგრამ საქმე მარტო გაფიცვის აკრძალვას არ შეეხება, საჭიროა თვით გაფიცვის უფლების შეზღუდვა საზოგადოთ. თვალების ახვევა, ფარისევლურ საბაბით ტრედიუნიონების წევრების ინდივიდუალურ უფლებათა დაცვის ამა თუ იმ ფორმით უნდა იქნეს შემოღებულ გაფიცვის საკითხის გადაჭრა სავალდებულო არბიტრაჟის წესით. რათა ამ კანონმა მეტი ნაყოფი გამოიღოს, უნდათ შემოიღონ ტრედიუნიონების პასუხისმგებლობა კანონის წინაშე. კიდევ მეტი, გაფიცვის წინ ტრედიუნიონები ვალდებული იქნებიან გაფიცვის პროექტი წარუდგინონ საიდუმლო რეფერენდუმს, რომელიც, ზოგიერთების აზრით, დაქვემდებარებული იქნებიან მთავრობის კონტროლს.

მეორე კანონ-პროექტი გულისხმობს ყოველგვარ მუშათა ორგანიზაციების სავალდებულო რეგისტრაციას. მისი მიზანია კავშირის ფონდების დაქვემდებარება სახელმწიფოსათვის.

ახალი კანონ-პროექტი მიმართული იქნება მუშათა პოლიტიკურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. თუმცაღა უკიდურეს რეაქციონერებსაც ესმით, რომ სავსებით აკრძალვა ტრედიუნიონებისათვის პოლიტიკური მუშაობის წარმოებისა შეუძლებელი საქმეა, მაგრამ ლამობენ შეასუსტონ ეს უფლებაც შემზღუდავი კანონმდებლობით.

ალბად ამ ღონისძიებების გარდა ბევრი სხვა, მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართული, კანონ-პროექტიც გამომჟღავნდება პარლამენტის უახლოეს სესიის წინ.

ხოლო როგორ ხვდება აშკარად წარმოებულ შემოტევის მზადებას ტრედიუნიონების გენერალური საბჭო და მუშათა პარტია? ის სრულს პასიობას იჩენს და ნაცვლად ბრძოლისა და წინააღმდეგობისთვის სამზადისისა მისი ბელადები განაგრძობენ კლასთა თანამშრომლობის იდეის ქადაგებას, მართავენ „ჯვაროსნულ ომს", „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარებისათვის".

ლონდონი, 18 დეკემბერი.

ჯ. დავიდ.

ბელგიის სოციალისტები მოითხოვენ საბჭოთა კავ. ცნობას

გერმანიის ყვითელი პროფკავშირები სდევნიან რევოლიუციონურ მუშებს

შეერთებულ შტატებმა ინტერვენცია მოახდინეს ნიკარაგუაში

უცხოეთის გაზეთები ჩინეთში მოითხოვენ უცხოელების ჩარევას ჩინეთის საქმეებში

საბჭოთა კავშირი და ბელგია

პიერარის განცხადება

პარიზი, 28 დეკემბერი. ბელგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო კონგრესზე გამოვიდა პიერარი, რომელმაც მოიწონა ვანდერველდეს, როგორც გარეშე საქმეთა მინისტრის, მუშაობა, მაგრამ უსაყვედურა მას ის, რომ ბელგია არ ანახლებს დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან.

— საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას, სთქვა პიერარმა, ჩვენი მრეწველობის და კომერსანტების ინტერესები მოითხოვს. საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკის მოქცევა ევროპის სახელმწიფოთა რგოლში და მისი ჩამოცილება აზიიდან:

სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა ბრენდომ განაცხადა:

„ჩვენ უნდა განვაახლოთ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ მოსახლეობასთან. ჩვენ უნდა ვიცავდეთ მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესებს. იქ, აღმოსავლეთში, მიუხედავათ უდიდესი სიძნელეებისა, სოციალიზმის განხორციელებას ცდილობენ. ჩვენ არ შეგვეძლია დაუშვათ, რომ რუსეთის ხალხი განმარტოებით იბრძოდეს". საჭიროა მოწვეული იქნეს კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიების საერთაშორისო კონგრესი, რაც უფრო მეტად ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის დამყარებას, ვინემ ჟენევის კრებები. (ადს).

ბურჟუაზიულ პრესის აზრი

პარიზი, 28 დეკემბერი. ბურჟუაზიული გაზეთი „სუარ" სწერს, რომ ბელგიელი სოციალისტები დღემდე არ ფიქრობდენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებას. ეხლა მათ ხელი აიღეს ამ პოზიციაზე და არ ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას. ბელგიის მთავრობა ყოველ შემთხვევაში არ დათანხმდება საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობაზე, თუ მას უპირატესობის მქონე სახელმწიფოს უფლებები არ მიეცემა. ჯერ-ჯერობით ამ მხრივ არაფერი არ გაკეთებულა. საჭიროა დრო, რომ ცნობა ფაქტად იქცეს. (ადს).

გერმანიის მუშების ბრძოლა

„იუგოსტალ"-ის კომისია

ბერლინი, 28 დეკემბერი. ესენში ჩავიდა „იუგოსტალ"-ის კომისია, რომელიც რურის ოლქში რამდენიმე დღე დარჩება და მოლაპარაკებას გამართავს სხვადასხვა ფირმებთან ღუმელების და სხვადასხვა აპარატების დასაკვეთად.

კომისია გაეცნობა რურის სანახშირო მრეწველობის ორგანიზაციის და რეინის ფოლადის ქარხნების მუშაობას. (ადს).

მუშების ხმა

ბერლინი, 28 დეკემბერი. ხემნიცში შესდგა მელითონეთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის საერთო კრება, რომელსაც უმეტესად სოციალ-დემოკრატი მუშები დაესწრენ. კრებამ მიიღო კომუნისტების წინადადება კოლექტიურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ და დაადგინა მოითხოვონ სატარიფო ქსელის გადასინჯვა, 42 საათის სამუშაო კვირის შემოღება და სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით მომატება. (ადს).

ამერიკის იმპერიალიზმი

ნიუ-იორკი, 28 დეკემბერი. შეერთებულ შტატების საზღვაო ქვეითა რაზმები ანიარაღებენ ნიკარაგუას ლიბერალების ჯარებს პუერტო — კაბეზასში. პუერტო — კაბეზასში დროებით იმყოფება საკაზას ლიბერალური მთავრობა, რომელიც ებრძვის დიაცის რეაქციონურ მთავრობას. ეს უკანასკნელი იცნო შეერთებულ შტატებმა, რომელიც მას აწვდის დახმარებას.

ნიკარაგუას ყოფილმა დიქტატორმა რეაქციონერმა ჩამაროომ განაცხადა, რომ ის ბრალს სდებს საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ ის თითქოს დახმარებას აწვდის ლიბერალებს მექსიკის საშუალებით.

გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ნიკარაგუაში გაიგზავნა ამერიკის ახალი რაზმები, რომელთაც „ხელი უნდა შეუშალონ ამერიკის ვაჭრობის ნორმალურ მსვლელობის დარღვევას ლიბერალების მხრით".

ამასთანავე ერთად იტყობინებიან, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ არ დართო ნება მექსიკას გაეტანა შეერთებულ შტატებიდან ჰაეროპლანები. (ადს).

მენშევიკები შურს იძიებენ

ბერლინი, 28 დეკემბერი. გერმანელმა პროფბიუროკრატებმა დაიწყეს აქტიური კამპანია პროფკავშირებიდან ყველა ოპოზიციონერების გამოსარიცხავად, რისთვისაც ყოველგვარ საბაბს იყენებენ. ერთ-ერთ ასეთ საბაბს წარმოადგენს მონაწილეობის მიღება მშრომელთა სრულიად გერმანიის კონგრესზე; ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ლეიპციგში, ჰალეში, ჰანოვერში, ჰამბურგში და სხვა ადგილებში.

დორტმუნდში საამშენებლო დარგის მუშათა კავშირიდან გამორიცხეს კომუნისტი გეინი, რომელიც მოითხოვდა, რომ პროფბიუროკრატებიც დამორჩილებოდნენ მუშების დადგენილებას და გადაერიცხათ ინგლისელ მემაღაროეთა სასარგებლოთ თანხები.

ზეკენკერხში მემაღაროეთა კავშირიდან გამორიცხეს მთელი რიგი წევრებისა, რომელთაც სურდათ გაფიცულ მემაღაროეთა თანაგრძნობის ნიშნად მანიფესტების მოწყობა. (ადს).

ლიტვა გადატრიალების შემდეგ

შეთანხმების ძებნაში

კოვნო, 28 დეკემბერი. სეიმის წრეებში იტყობინებიან, რომ სეიმის მმართველ ჯგუფებსა და ნაროდნიკებს შორის შეთანხმება არ არის მიღწეული და მოლაპარაკება შეწყდა, რის გამო მოსალოდნელია სეიმის დათხოვნა განუსაზღვრელი ვადით. (ადს).

მხოლოდ საბაბი

რეველი, 29 დეკემბერი. მშრომელთა ჯგუფის ორგანო „ბაბა მაა" ათავსებს თავის ფურცლებზე „მატენის" წერილს, რომელიც ამტკიცებს, რომ ლიტვაში ძალაუფლება მემარჯვენეებმა ხელში ჩაიგდეს იმიტომ, რომ ბოლშევიკური გადატრიალების ეშინოდათ. „ბაბა მაა" ამ ცნობას ცალმხრივ ინფორმაციას უწოდებს, რადგან „უკანასკნელ დღეებში გამოირკვა, რომ ბოლშევიკური გადატრიალების საფრთხე იყო მხოლოდ საბაბი მემარჯვენეების მიერ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად". (ადს).

გაფიცვის ჩაშლის შემდეგ

ლონდონი, 28 დეკემბერი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" აქვეყნებს ცნობას, რომელშიაც აწერილია ლანკაშირის მემაღაროეთა მძიმე მდგომარეობა გაფიცვის შემდეგ. ლანკაშირში, სადაც სხვა რაიონებთან შედარებით უკეთეს პირობებში მოხდა მუშაობის განახლება, დაახლოვებით 10,000 მემაღაროე უმუშევრად არის დარჩენილი. მემაღაროეთა ოჯახები საშინელ სიღარიბეს და სიმშილს განიცდიან.

დიდ სიმხნევეს იჩენენ ქალები, რომელნიც მიუხედავად იმ გაჭირვებისა, რომელიც მათ გადაიტანეს, კვლავ საჭიროდ სთვლიან ახალი ბრძოლის დაწყებას მაღაროების მეპატრონეების და მათ დამხმარე მთავრობის წინააღმდეგ.

გაზეთის ცნობაში ნათქვამია, რომ გაფიცვის უნაყოფოდ დამთავრებას სრულებითაც არ შეუსუსტებია პროფკავშირების გავლენა. კუკს, სმიტს და სხვებს დიდი ოვაციებით და პატივისცემით ახსენებენ. მემაღაროეთა სახლებში კუკისა და სმიტის სურათებს ხშირად ნახავთ. (ადს).

საბჭოთა პრესა

არც ერთი წინადადება უპასუხოდ

პროფკავშირების ეკონომიურ მუშაობას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. საწარმოო პროცესის რაციონალიზაცია, მომჭირნეობის რეჟიმის გატარება, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და საერთოდ სოციალიზმის პრაქტიკული მშენებლობა მოითხოვს ამ საქმეში მუშათა მასსების შეგნებულ და შეკავშირებულ მონაწილეობას. ამ მხრივ პირველ რიგში დგას საწარმოო თათბირები, როგორც სამეურნეო მშენებლობაში მუშათა მასსების ჩაბმის საუკეთესო ფორმა. საჭიროა საწარმოო თათბირების მუშაობის შემდგომი გაღრმავება და გამოცხოველება, მუშების მეტი დაინტერესება ამ თათბირებით. ამისათვის, სხვათა შორის, აუცილებელია, რათა მუშების მოსაზრებებს და წინადადებებს განსაკუთრებული გულდასმით მოეკიდონ, ასეთებს სათანადო ანგარიშში გაუწიონ. ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. აი რას სწერს ამის გამო „რაბოჩაია გაზეტა":

„მუშების მიერ საწარმოო თათბირებზე წამოყენებულ წინადადებების უპასუხოთ დატოვებული რაოდენობა განვლილ წელს შეადგენდა ექვს პროცენტს, ხოლო ამ წელს გაიზარდა 11 პროცენტამდე. თითქმის ორჯერ გადიდდა. ეს მოწმობს ბიუროკრატიზმისა და გულგრილობის ერთგვარ ზრდას მუშათა წინადადებების მიმართ.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება თავის გამართლება იმაზე მითითებით, რომ მუშების წინადადებები უმნიშვნელონი იყვნენ, ან აშკარად შეცდომანი. ასეთი გზით ჩვენ მხოლოდ ერთ შედეგს მივაღწევთ: უბრალო მუშას გულს აიცრუებთ თათბირზე. მე-15 პარტკონფერენცია, ეხება რა საწარმოო თათბირის მუშაობის გეგმას, ტყუილად კი არ გვაფრთხილებს, რომ უარი არ უნდა ვსთქვათ თათბირის მონაწილეთაგან რიგს გარეშე წამოყენებულ საკითხების თათბირის დღის წესრიგში შეტანაზე.

აქ მოსჩანს საწარმოო თათბირების მუშაობისადმი არა სათანადო ყურადღებით მოპყრობა, როგორც სამეურნეო მუშაკების, ისე პროფკავშირების მხრით. წარმოებათა პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა არ დაუშვან უყურადღებო დამოკიდებულება თათბირებზე მუშების მიერ წარმოდგენილ წინადადებებისადმი. აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული კედლის გაზეთის ყურადღება, რომელიც ჯერ კიდევ არა საკმაოდ ამხელს საქმის გაჭიანურებას მუშათა წინადადებების გატარების დარგში.

არც ერთი წინადადება არ უნდა რჩებოდეს უყურადღებოდ. უნდა მივაღწიოთ იმას, რათა საწარმოო თათბირზე ყოველმა მუშამ მიიღოს ამომწურავი პასუხი".

უამისოდ, ცხადია, საწარმოო თათბირების გარშემო შეუძლებელი იქნება მუშათა ფართე მასსების შემოკრება და მათი თაოსნობის გაღვივება. შეიძლება მუშის ესა თუ ის წინადადება მიუღებელი იყოს, მაგრამ საჭიროა მას განემარტოს, თუ რატომაა ის მიუღებელი. საწარმოო თათბირებმა უნდა იცოდნენ, თუ ვისი და რა წინადადებებია განხორციელებული. ამ გზით მუშები უკეთესად დაინტერესდებიან საწარმოო თათბირების მუშაობით და წარმოების გაუმჯობესების საკითხებით.

უცხოელები ჩინეთში

რეაქციონერები სისინებენ

პეკინი, 28 დეკემბერი. უცხოელთა იმპერიალისტური პრესა ჩინეთში ხმაბამ იყენებს ინგლისელების საწინააღმდეგოდ გამართულ მიტინგს ხანკოუში და მოითხოვს აშკარა ომის გამოცხადებას სამხრეთის ძალების წინააღმდეგ.

ინგლისის რეაქციონური გაზეთი, რომელიც ტიან-ცზინში გამოდის, თავის წერილში ომის გამოცხადებას მოითხოვს. გაზეთს მოჰყავს ანტი-ინგლისურ მიტინგზე წარმოთქმული სიტყვები და სწერს: „რაკი ეს გაბოროტებული აგიტატორები განაგრძობენ მოქმედებას, უკვე საკითხი ისმება არა ისე—სურს თუ არა ინგლისს ომი შორეულ აღმოსავლეთში, არამედ შეუძლია თუ არა ინგლისს ამ ომის თავიდან აცილება". (ადს).

ჩან-ძო-ლინის შტაბში

პეკინი, 29 დეკემბერი. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ ჩან-ძო-ლინმა გასცა ცირკულიარული ბრძანება მუკდენის ჯარების შტაბის უფროსის, გენერალ იუნ-იუ-ტინის და მისი თანაშემწის — ჩენ-ჩი-ენის დათხოვნისა და დისციპლინარულ სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ. (ადს).

ამერიკის პოზიცია

ვაშინგტონი, 28 დეკემბერი. მმართველ წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისის მემორანდუმის შემარიგებელი წინადადებები ჩინეთის საქმეების შესახებ საერთოდ ეთანხმება შეერთებული შტატების პოლიტიკას. (ადს).



ტან-იენ-კაი
კანტონის მთავრობის და გომინდანის პარტიის პოლიტბიუროს თავმჯდომარე

ინგლისის წინააღმდეგ

პეკინი, 28 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო ავრცელებს ცნობებს, რომ უხანის რაიონში ფართოვდება ინგლისის საწინააღმდეგო პროპაგანდა. სააგენტო აცხადებს, თითქოს გომინდანის ადგილობრივი ორგანიზაციის საპროპაგანდო განყოფილება ავრცელებს ფურცლებს და პლაკატებს, რომელნიც მოუწოდებენ ინგლისის საწინააღმდეგო აქტიურ ბოიკოტისაკენ და „აქეზებენ მასებს, რათა მათ ძალით ხელში ჩაიგდონ ინგლისელების კონცესიები". (ადს).

პრესის დევნა პოლონეთში

ვარშავა, 29 დეკემბერი. პრესის შესახებ სეიმის მიერ გაუქმებულ დეკრეტის მაგიერ, პოლონეთის მთავრობამ შეიმუშავა ახალი დეკრეტი, რომელიც არსებითად არაფრით არ განსხვავდება გაუქმებულ დეკრეტისაგან.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რობოტნიკი" ახალ დეკრეტს ახასიათებს, როგორც „პრესის დახელოვნებული შეურაცხყოფის კრებულს, პობედონოსცევისა და მუსოლინის ღირსეულს". ასე, მაგალითად, ახალი დეკრეტის ძალით, რედაქციების მიერ შემოწირულებათა შეგროვების შემთხვევაში, დამნაშავენი ისჯებიან 6 თვის ციხით ან და 5.000 ზლოტის ჯარიმით და შეგროვილ შემოწირულებათა კონფისკაციით. (ადს).

ინდოეთის ნაციონალური კონგრესი

ლონდონი, 29 დეკემბერი. გაუხატში მოწვეულ ინდოეთის ნაციონალური კონგრესის 25.000 დელეგატიდან დიდ უმრავლესობას სვარაჯისტები შეადგენენ.

კონგრესის თავმჯდომარე—აიენგარმა განაცხადა, რომ შარშანდელი კონგრესის მიერ კაუნპორში აღებული პოზიცია არ შეცვლილა. კონგრესზე წარმოდგენილი ოფიციალური რეზოლიუცია ხელმეორედ უსვამს ხაზს აღებულ პოლიტიკას ინგლის-ინდოეთის მთავრობასთან თანამშრომლობის უარყოფის შესახებ; თუმცა რეზოლიუციაში მრავალი შესწორებაა შეტანილი, მაინც ფიქრობენ, რომ ის უმრავლესობის მიერ იქნება მიღებული. (ადს).

უნგრეთის ფაშისტები

ვენა, 28 დეკემბერი. ბუდაპეშტში შესდგა უნგრეთის ფაშისტების ორგანიზაციის საზეიმო კრება, რომელმაც ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია გრაფი ტელეკი (რომელსაც კავშირი აქვს ყალბი ფულის მჭრელთა საქმესთან). კრებას დაესწრენ უნგრეთის არმიის მაღალი თანამდებობის პირნი და აგრეთვე ბარონი ზავმუნდი, პირველი ბელადი „საქმიან კავშირთა გაერთიანების", რომელიც ხელმძღვანელობდა ყალბი ბანკნოტების დამზადებას. (ადს).

რუმინეთის რეაქციონერები

ვენა, 29 დეკემბერი. რუმინეთის მთავრობამ პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი მეფისათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ 700.000—1.000.000 ოქროს ლეიმდე (ოქროს ლეი უდრის დაახლოებით 37 კაპ.) ეს კანონ-პროექტი დიდ აღშფოთებას იწვევს მუშებში, რადგან იმ დროს, როცა რუმინელი მუშის ხელფასი აღირიცხება დაცემული ქაღალდის ვალიუტით და მუშის დღიური მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს, მეფის ჯამაგირს ანგარიშობენ ოქროთი და ადიდებენ ერთ ნახევარჯერ. (ადს).

ფაშიზმთან ბრძოლა

ჰელსინგფორსი, 29 დეკემბერი. ლიტვაში მომხდარ ამბების გამო „მუშათა ორგანიზაციების უწყებები" აღნიშნავენ, რომ ფინეთის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს ფაშისტური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. გაზეთი წინადადებას აძლევს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, რომ დაუყოვნებლივ მოხსნას ფაშისტები მნიშვნელოვან ხელმძღვანელობითი თანამდებობიდან და მათ მაგივრად დანიშნოს საიმედო პირები; დაიწყოს აგრეთვე მუშაობა ფართო მასების მოსამზადებლად იმ შემთხვევისათვის, თუ მოხდება ფაშისტური გადატრიალება. (ადს).

„სპარტაკელთა"

კავშირის ყრილობა

ბერლინი, 29 დეკემბერი. „ახალგაზრდა სპარტაკელთა" კავშირის ყრილობის დღევანდელ სხდომაზე საბჭოთა პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

საღამოთი ყრილობის გამო გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის, ინგლისის და ჩეხო-სლოვაკიის დელეგატები. მოხდა დროშების გაცვლა საბჭოთა და გერმანიის პიონერთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ბავშვების აღზრდის შესახებ საბჭოთა კავშირში. მოხსენებას თან სდევდა სათანადო კინო-სურათების ჩვენება. (ადს).

გემის დაღუპვა

ლონდონი, 28 დეკემბერი. ინგლისის ნაპირთან, პორტლანდის მახლობლად მოხდა შეტაკება ინგლისის გემ „ბურუტუ"-სა და საფრანგეთის იალქნიან გემ „ჟოლენეიდერ"-ს შორის იალქნიანი გემი ჩაიძირა. 24 კაციდან, რომელიც გემს ახლდა, გადარჩენილ იქნა 4 კაცი. (ადს).

ღამის ცნობები

პირდაპირი მუქარა.

კოვნო, 29 დეკემბერი. ლიტვის მთავრობის გაზეთი „ლეტუვა" სწერს: „სეიმმა ეხლა არსებითად დაკარგა თავისი აზრი. მას შეუძლია დაეხმაროს მთავრობას, მაგრამ თუ იგი მოისურვებს ხელი შეუშალოს მას, მაშინ მთავრობა [illegible] არ იფიქრებს იმაზე, უნდა იარსებოს თუ არა სეიმმა". (ადს).

ნავთის ტრესტებში.

მოსკოვი, 29 დეკემბერი. 1926—27 წლის პროგრამით, საკავშირო ნავთის სამ ტრესტის მუშაკთა რაოდენობა შეადგენს 64,398 კაცს, 1925—26 წელთან შედარებით სამივე ტრესტში მუშა-ხელი გაიზარდა 4,5 პროცენტით. გადიდება უმთავრესად გროზნოს ნავთს (24,8 პროც.) და ემბა ნავთს (12,8 პროც.) ხვდა წილად. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობაში კი მუშაკთა რაოდენობა თითქმის იგივე დარჩა. (ადს).

„დეილი ჰერალდი" მემორანდუმის შესახებ

ლონდონი, 29 დეკემბ. „დეილი ჰერალდი" კომენტარიებს უკეთებს ინგლისის მემორანდუმს პოლიტიკას შესახებ ჩინეთში და აცხადებს: „ახალ მემორანდუმს 1925 წ. შეეძლო ერთგვარი შედეგების მიცემა, ჩინეთი უკვე აღარ დაკმაყოფილდება მხოლოდ პირობითი დაპირებებით". (ადს).

ფეიქართა დელეგაცია

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ფეიქართა ცეკამ მიიღო ცნობა, რომ ფრანგ ფეიქართა კონგრესმა, რომელიც მოწვეული იყო შრომის უნიტარული ფედერაციის მიერ, დაადგინა თავისი დელეგაცია გამოგზავნოს საბჭოთა კავშირში. (ადს).

ლოი-იანის ევაკუაცია

პეკინი, 29 დეკემბ. ჩინაიდან სახალხო არმიებმა განავითარეს შეტევა ლოი-იანზე, იქაურმა უცხოელმა მოხელეებმა თავის ოჯახებით და აგრეთვე დიდმა მდიდრებმა დასტოვეს ქალაქი. (ადს).

სახკოლო აღწერა

მოსკოვი, 29 დეკემბერი. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განათლების სახ. კომისარიატთან ერთად ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს პროექტი [illegible] საბჭოთა რუსეთში 1927-28 წლის სახკოლო აღწერის გატარების შესახებ. (ადს).

ლიტვის ფაშისტების წინააღმდეგ

ხარკოვი, 29 დეკემბერი. ხარკოვსა, კიევსა, ოდესასა და დნეპრო-პეტროვსკში მრავალ წარმოებებში მოხდა საპროტესტო მიტინგი ლიტვის მთავრობის მიერ 4 ლიტველი კომუნისტის მოკვლის წინააღმდეგ. (ადს).

პურის ექსპორტი.

ლენინგრადი, 29 დეკემბერი. მურმანის ნავსადგურში გაძლიერდა საექსპორტო პურის მოზიდვა. ტვირთავენ გემ „სვერდლოვსკს". საექსპორტო პურის ცენტრიდან მურმანსკში უფრო ჩქარად გადაზიდვისათვის ოქტომბრის რკინის გზამ მურმანის რკინის გზას გადასცა 20 საქონლის ორთქლმავალი. ლენინგრადიდან მურმანსკში გაიგზავნა მტვირთველთა დიდი არტელი. (ადს).

სამრეწველო კოოპერაცია.

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საკავშირო სამრეწველო კოოპერაციის კავშირმა ტაშკენტში მოაწყო წარმომადგენლობა, რომელიც მუშაობას აწარმოებს სამრეწველო კოოპერაციის საქონლის გასასაღებლად საშუალო-აზიის ბაზარზე. (ადს).

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ამხ. მოლოტოვი სოხუმში

სოხუმი, 29 დეკემბერი. დღეს სრ. აფხაზეთის პარტიული კონფერენციისა და სოხუმის პარტიული აქტივისა და კომკავშირთა ორგანიზაციების გაერთიანებულ სხდომაზე დიდი სიტყვით გამოვიდა ამხ. მოლოტოვი.

სხდომა გახსნა ამხ. **სტურუამ**, რომელმაც სთქვა:

„სრ. აფხაზეთის კონფერენციის პრეზიდიუმის საპატიო წევრად ერთხმად არჩეული ამხ. მოლოტოვი ამ კონფერენციის ფაქტიური წევრი გახდა.

(ყველანი დგებიან და ხანგრძლივი ტაშით ესალმებიან ამხ. მოლოტოვს. ისმის ხმები: „გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს—მსოფლიო რევოლიუციის ბელადს!")

„თუმცა საჭირო არაა ჩვენი პარტიის წევრებს ველაპარაკოთ იმაზე—განაგრძობს ამხ. სტურუა,—თუ რას წარმოადგენს ამხ. მოლოტოვი. მაგრამ მე მაინც მსურს გაცნობოთ, რომ ამხ. მოლოტოვი ლენინის ერთი მახლობელი მოწაფეა. დიდი მუშაობის შემდეგ მსოფლიო რევოლიუციონურ ცენტრში—მოსკოვში, იგი ჩამოვიდა აქ დასასვენებლად. მაგრამ როცა ამხ. მოლოტოვმა გაიგო, რომ ჩვენი კონფერენციის და სოხუმის ორგანიზაციის წევრებს ძალიან სურთ მისი ნახვა და მისი მოხსენების მოსმენა, იგი მაშინვე დასთანხმდა აქ გამოსვლაზე და მოხსენების გაკეთებაზე ჩვენი პარტიის მდგომარეობის, მისი ამოცანების და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ".

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. მოლოტოვს. ყველა დამსწრენი მის ასვლას ტრიბუნაზე მხურვალე ტაშით ხვდებიან. რომელიც ოვაციებში გადადის.

(ამხ. მოლოტოვის მოხსენებას მოვათავსებთ ხვალ).

საუბარი ამხ. კუკთან

საბჭოთა პროფმოძრაობა ყველაზე ძლიერი და შეკავშირებულია მთელ მსოფლიოში. მომავალ მაისში მე მეორედ და უფრო ხანგრძლივი ვადით ჩამოვალ საბჭოთა კავშირში. ინგლისისა და საბჭოთა კავშ. მუშების ძმური ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება. საბჭოთა კავშ. მუშებისა და გლეხების საქმე გზის მაჩვენებელია მთელი ქვეყნის მშრომელთათვის.

მოსკოვი, 29 დეკემბერი. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის მდივანმა ამხ. კუკმა ინგლისში გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში თავის შთაბეჭდილებების შესახებ შემდეგი სთქვა:

„სასწრაფო საქმეები არ მაძლევენ საშუალებას, რომ განვაგრძო მუშაობა პროფორგანიზაციებთან, საფაბრიკო-საქარხნო წარმოებებთან და აგრეთვე საბჭოთა კავშირის მშრომელთა ყოფა-ცხოვრებასთან გაცნობისათვის. 3 კვირის განმავლობაში ყოფნით მოსკოვსა და ლენინგრადში, მე მეტად ძვირფასი გაკვეთილები მივიღე. პროფკავშირთა საკავშირო ყრილობამ, რომელზედაც მქონდა ბედნიერება დავსწრებოდი, მიჩვენა, რომ საბჭოთა პროფმოძრაობა ყველაზე უფრო ძლიერი და შეკავშირებულია მთელ მსოფლიოში. მე არასოდეს არ დავივიწყებ იმ ერთსულოვნებას, რომლითაც იქნა მიღებული ყრილობის ყველა გადაწყვეტილებანი. მომავალი ეკუთვნის საბჭოთა პროფმოძრაობას. მისი გზით წავლენ ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის ინტერესები. ლენინგრადში მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა მუშათა კლასი თავის წრიდან აყენებს ახალ ფენებს, რომელნიც ძლიერნი არიან თავიანთი საწარმოო და კულტურული გამოცდილებით. იზრდება მშვენიერი ახალგაზრდობა. იზრდება თავისუფალი მუშა-ქალი. რევოლიუციონურ ბრძოლებში გამობრძმედილი მუშები ახალთაობას საუკეთესო პროლეტარული ტრადიციის მიხედვით ზრდიან.

ლენინგრადის მუშებს შორის გატარებული დრო ყველაზე უფრო ბედნიერია ჩემს სიცოცხლეში. მე აუარებელი მასალა მივიღე, რომელიც აშუქებს საბჭოთა პროლეტარიატის საწარმოო და კულტურულ მიღწევებს. ამ მასალებს მე თვით ინგლისში გავეცნობი. მომავალი წლის მაისში მე მეორედ ჩამოვალ საბჭოთა კავშირში უფრო ხანგრძლივი ვადით. ამგვარათ მე ვიმედოვნებ, რომ ყოველმხრივ შევისწავლი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ბრძოლის ეტაპებს არა იმდენად წმინდა თეორეტიული ცნობისმოყვარეობის მოსაზრებით, რამდენადაც იმ მიზნით, რომ გავეცნო გაკვეთილებს, რომელნიც სასარგებლო იქნება ინგლისის მუშებისათვის პრაქტიკულ ბრძოლაში კაპიტალთან.

მე იმედი მაქვს, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მემაღაროეთა ძმური ურთიერთობა, რომელიც ჩვენი უდიდესი გამოცდის დროს დამყარდა, განმტკიცდება ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის შექმნის გზით. ამ მოკლე ხანში მოხდება ორთავე ქვეყნის მემაღაროეთა პროლეტარიატის წარმომადგენელთა თათბირი ამ კომიტეტის საორგანიზაციო ფორმების გამოსამუშავებლად. ვემშვიდობები საბჭოთა კავშირის მუშებს, რომლებმაც ძალიან დიდი დახმარება გაუწიეს ინგლისელ მემაღაროეებს გაფიცვის დროს. ჩვენ გაგვტეხეს, მაგრამ ვერ დაგვამარცხეს. კლასიური ერთობის მეოხებით ჩვენ გავიმარჯვეთ. მე ბედნიერი ვარ იმის წარმოდგენით, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ შემეძლება გადავსცე ინგლისელ მუშებს ყოველივე ის, რაც აქ ვნახე. გამომშვიდობებისას შევსძახებ: „საბჭოთა კავშირის მუშებო და გლეხებო, განაგრძეთ თქვენი საქმე! იგი გზის მანათობელია მთელი ქვეყნის ყველა მშრომელთათვის მათ ჭირსა და ლხინში.

კუკის გამგზავრება ინგლისში

მოსკოვი, 29 დეკემბერი. 29 დეკემბერს მოსკოვიდან ლონდონში გაემგზავრა მაღაროს მუშათა ფედერაციის მდივანი ამხ. კუკი, რომელსაც თან გაჰყვა ევანსი. საბჭოთა კავშირის საზღვრებამდე კუკი მიაცილა საბჭოთა კავშირის მთამადნის მუშათა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის წევრმა **ბურიკინმა**. ბელორუს-ბალტიის სადგურამდე კუკი მიაცილეს სრ. საკ. ცენტრ. პროფსაბჭოს მდივანმა **დოგადოვმა**, პრეზიდიუმის წევრმა **მელნიჩანსკიმ**, საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას თავმჯდომარემ **შვარცმა** და სხვა პროფკავშირების და საბჭოთა პრესის მრავალმა წარმომადგენლებმა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალგ. კომინტერნისა და რემედასის მიმართვა

მოსკოვი, 29 დეკემბერი. ახალგაზრდა კომინტერნის აღმასკომი მთელი ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობისადმი მიმართვაში მოუწოდებს მათ, რომ ხმა აიმაღლონ და დაიცვან მათი მოძმენი, რომლებსაც სდევნიან ლიტვაში.

რემედასის აღმასკომმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნების მშრომელთ, რომელშიაც იგი მოუწოდებს მათ, რომ ენერგიული პროტესტი განაცხადონ ლიტვის ფაშისტების წინააღმდეგ, რომელნიც მუშათა კლასისა და მისი წარმომადგენლების სისხლს ღვრიან. (ადს).

აქციზიდან განთავისუფლება

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა აქციზის გადასახადისაგან განთავისუფლოს ნავთი, რომელიც კოლექტიური ხელშეკრულებით აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობაში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ თავიანთ კერძო საჭიროებისათვის. (ადს).

ლევენფიში — საბ. კავშირის მოჭადრაკე ჩემპიონი

ლენინგრადი, 29 დეკემბერი. ლენინგრადის მოჭადრაკეთა სექციამ მოჭადრაკე ლევენფიშს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ულოცავს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ჩემპიონის წოდებას.

1925 წელს საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა შეჯიბრში ლევენფიშმა მიიღო მეორე პრემია ბოგოლიუბოვის შემდეგ. ამგვარათ ბოგოლიუბოვისათვის საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ჩემპიონის წოდების წართმევის შემდეგ, ეს წოდება ავტომატიურად ლევენფიშზე გადადის. (ადს).

სამრეწველო კოოპერაცია

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საკავშირო სამრეწველო კოოპერაციის კავშირმა ტაშკენტში მოაწყო წარმომადგენლობა, რომელიც მუშაობას აწარმოებს სამრეწველო კოოპერაციის საქონლის გასასაღებლათ საშუალო-აზიის ბაზარზე. (ადს).

საბჭოთა მუშაკები

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საკავშირო ს. მ. ჯ. საბჭოს პრეზიდიუმმა ბრძანებაში „რუსეთის ნავთის პროდუქტის საზოგადოების" (ინგლისში) გამგეობის წევრებს კალინინს და ტერ-აკოპოვს მადლობა გამოუცხადა დიდათ სასარგებლო მუშაობისათვის.

1925—26 სამეურნეო წელს საზოგადოებამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. საბჭოთა ნავთის პროდუქტები ინგლისის ბაზარზე თანდათან უფრო მტკიცე ადგილს იჭერენ. (ადს).

დახმარება უმუშევრებს

მოსკოვი, 29 დეკემბერი. მელითონეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა დაადგინა 1927 წლის 1 იანვრიდან 2 მანეთით გაუდიდოს დახმარება კავშირის წევრ უმუშევრების ყველა ძირითად ჯგუფს; მომატება ვრცელდება ყველა ზოლზე ისე, რომ დახმარების რაოდენობა უმაღლესი ზოლისათვის უნდა უდრიდეს 20 მანეთს, უმდაბლესი ზოლისათვის — 14 მანეთს. (ადს).

მოსკოვი, 29 დეკემბერი. ქიმიკოსთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა დაადგინა უმუშევართა დახმარების მინიმალური რაოდენობა აყვანილ იქნეს 7 მანეთამდე თვეში. ამასთანავე ფართოვდება წრე იმ უმუშევართა, რომელთაც უმუშევრობის დროს დახმარების მიღების უფლება აქვთ. საკავშირო დახმარება მიღებული იქნება საკავშირო სტაჟისა და საწევრო გადასახადის რაოდენობის მიხედვით. (ადს).

მანუფაქტურის განაწილება

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა ბამბეულის, შალის და მაუდის ნაწარმოებების და აგრეთვე ტყავეულის მიწოდების გეგმა მიმდინარე წლის მეორე მეოთხედში. ბამბეული ქსოვილები განაწილებული უნდა იქნეს 6,160 ვაგონის რაოდენობით, აქედან რ. ს. ფ. ს. რ-ში — 4,420 ვაგონი, უკრაინაში — 895 ვაგონი, შუა-აზიაში — 485, ამიერ კავკასიაში—270 და ბელორუსიაში — 90 ვაგონი. ბამბეული მანუფაქტურის რეზერვი განაწილებულია რ. ს. ფ. ს. რ-ისათვის 145 ვაგონი, ამიერ-კავკასიისათვის — 9, შუა-აზიისათვის — 15 ვაგონი.

კამვოლის ქსოვილების მიწოდების გეგმის თანახმად, განაწილებული უნდა იქნეს 15,240,000 მანეთის ქსოვილი, აქედან რ. ს. ფ. ს. რ-ში — 10,780,000 მან., ამიერ-კავკასიაში — 1,240,000მან., შუა-აზიაში — 320.000 მანეთის.

ტყავეული საქონელი განაწილებული იქნება 19,600,000 მანეთის რაოდენობით, აქედან რ. ს. ფ. ს. რ-ი მიიღებს 14,275,000 მან., შუა-აზია — 280,000 მან., ამიერ-კავკასია — 250.000 მანეთის საქონელს. (ადს).

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოსაგან (ადს)

დეკემბრის 27-ს გამოქვეყნებულ ცნობაში („1926—27 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი")—ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება საკავშირო სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის გაერთიანებულ სხდომაზე (ნათქვამია, რომ „წელს ერთიანი საკავშირო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ნავარაუდევია 47.606.133.286 მან. რაოდენობით". უნდა იყოს: **„წელს ერთიანი საკავშირო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ნავარაუდევია 4.760.613.286 მან. რაოდენობით".**

ცნობა დამახინჯებულია ტელეგრაფის მიერ.

ბაქოს მე-16-ტე პარტკონფერენცია

მისალმებები კონფერენციას

სტეპინის დივიზიის მისალმება

კონფერენციამ მოისმინა სტეპინის დივიზიის მისალმება: ტრიბუნაზე წითელ არმიელის ამხ. ლომაკინის გამოჩენას კონფერენცია ფეხზე ადგომით და მხურვალე ტაშით ხვდება.

„ნება მომეცით წითელ არწივების სახელით — ამბობს ამხ. ლომაკინი — მივესალმო ბაქოს მე-16 პარტკონფერენციას და გადავცე მას ვინტოვკა. ვაბარებთ რა ამ ვინტოვკას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პარტია საჭირო მომენტში შესძლებს მილიონ ვინტოვკების შოვნას და საბოლოო ლახვარს ჩასცემს ბურჟუაზიას".

ლენინის რაიონის კომკავშირის მისალმება

ლენინის რაიონის კომკავშირის სახელით კონფერენციას ესალმება ამხ. კრუგლოვი და უძღვნის კონფერენციას ნავთის საქაჩავის მოდელს.

— ამჟამად, ამბობს ამხ. კრუგლოვი, სწარმოებს საფაბრიკო-საქარხნო მოწაფეობის სკოლების გადაკეთება სამთომადნო-სამრეწველო მოწაფეობის სკოლებად. ჩვენი სკოლის მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს მოდელი საქაჩავისა, რომელიც ეხლა ძირითად როლს თამაშობს ჩვენს ნავთის მრეწველობაში.

კამათი ბაქოს კომიტეტის ანგარიშის გარშემო

28 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. **[illegible]** აღნიშნავს, რომ ამხ. მირზოიანმა მცირე ადგილი დაუთმო თავის მოხსენებაში წმინდა პარტიულ მუშაობას. საჭიროა საცეხო პარტორგანიზატორების კვალიფიკაციის ამაღლება. პოლიტიკური ცოდნის სკოლებში ცოტა ამხანაგები დადის. ეხება რა მუშათა უბნების აღმშენებლობას, ორატორი მას საკმარისად არ სთვლის და აღნიშნავს, რომ საჭიროა მისი გაფართოვება.

ამხ. **ლადხანოვი** (ლენინის რაიონი), ლაპარაკობს რა პოლიტწრეების მუშაობაზე, აღნიშნავს ხელმძღვანელების ნაკლს და საჭიროთ სთვლის მის აღმოფხვრას.

ამხ. **მალიუტოლნი** (ელექტრო-ნაკადი), ეხება რა სახალხო სასამართლოების მუშაობას, ამბობს, რომ ხშირად სახალხო სასამართლოებს მუშების მიმართ მეტად მკაცრი დადგენილებები გამოაქვთ. კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების მუშაობას აკლია ხელმძღვანელობა და იგი გაძლიერებული უნდა იქნეს.

ამხ. **დანიელიანი** ფიქრობს, რომ პრესა სავსებით ვერ ასრულებს მშრომელთა მასების აღზრდის და შეკავშირების ამოცანებს, რომლებიც მას აქვს დაკისრებული. ჩვენი პრესა თითქმის არ აწარმოებს მასიურ მუშაობას და არ სჩანს კონკრეტიული საკითხების დაკავშირება საერთო-პოლიტიკურ საკითხებთან. ცოტა ადგილი ეთმობა გაზეთებში პარტიულ ცხოვრებას. პარტიულ განყოფილებას ამ ჟამად უჭირავს 12 პროც. და იგი გადიდებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 20 პროც.

ამხ. **სნეგირევი** (საბუნჩი) ეხება ვაჭრობის საკითხს, აღნიშნავს სახელმწიფო ორგანოების მიერ კერძო ვაჭრებისათვის საქონლის მიყიდვის შემთხვევებს და ამბობს, რომ საკონტროლო აპარატები ვერ არის საკმაოდ კარგად დაყენებული, თორემ ისინი შესძლებდენ ამ საკითხის მოგვარებას. მუშაკების წამოყენების შესახებ ამხ. სნეგირევი აღნიშნავს შემთხვევებს, როდესაც საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აყენებდენ არა მორიგ მუშაკებს, არამედ თავის-თავს.

ამხ. **თეიმურ გუსეინოვი** (აზერბეიჯანის კომპარტიის ცეკას საგიტაციო განყოფილების გამგე) ეხება სახალხო განათლების საკითხს.

— ჩვენი სკოლების ღირსება, ამბობს ამხ. გუსეინოვი, უმთავრესად დამოკიდებულია მასწავლებლების შერჩევაზე. ჩვენს სკოლებში აქამდი მასწავლებლებად არიან ისეთი პირები, რომლებიც იქ არ უნდა იყვენ. თურქულ სკოლებში შემოღებულია ოსმალური ენა. კონფერენციამ უნდა წამოაყენოს ბაქოს კომიტეტის წინაშე საკითხი ჩვენი სკოლების და სხვა კულტურული დაწესებულებების ანტი-საბჭოთა ელემენტებისაგან გაწმენდის აუცილებლობის შესახებ. ეს ეხლა უფრო მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ქსელის გაფართოვება. რამოდენიმე სიტყვა თურქიზაციის შესახებ. ამ საკითხის გატარებაში ადგილი აქვს გადახრას და მას უნდა ვებრძოლოთ.

ამხ. **ბესპროზვანნაია** აღნიშნავს, რომ საბავშვო სახლების აღმშენებლობას ბაქოს სახალხო განათლების განყოფილების მუშაობაში მცირე ადგილი უჭირავს. საჭიროა თანხები, რომ საბავშვო სახლების და ბაღების აღმშენებლობა უფრო გაფართოვდეს.

ამხ. **ბუნიატოვა** აღნიშნავს, რომ საგიტაციო განყოფილება არ იღებს ზომებს ქალთა წრეებისათვის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. განყოფილებამ მომავალში უნდა იკისროს მეთოდიური ხელმძღვანელობის გაწევა ამ წრეებისათვის. კომკავშირში თურქი-ახალგაზრდა ქალები ძალიან ცოტაა და მათ შორის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. თურქი-ქალების კულტურული დონე დაბალია.

ამხ. **კატიროვი** ეხება შინაპარტიული დემოკრატიის საკითხს და აღნიშნავს, რომ ბაქოს კომიტეტს ამ მხრივ დიდი მიღწევები აქვს. ჩვენმა ორგანიზაციამ დაამტკიცა ოპოზიციის დემაგოგიური გამოსვლების მთელი უსუსურობა. ჩვენ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში დავამტკიცეთ, რომ ეს შეხედულებები შემცდარია.

დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობის მიღება მოასწრო მხოლოდ 22 ამხანაგმა. კამათის გაგრძელება გადატანილია საღამოს სხდომაზე.

28 დეკემბრის საღამოს სხდომა

ბაქო, 29 დეკემბერი. ბაქოს მე-16 პარტკონფერენციის 28 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ბაქოს კომიტეტის ანგარიშის გარშემო.

ამხ. **მარტიროსოვი** ჩერდება კოოპერაციის მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ კოოპერაციამ თავისი მაღაზიების უმრავლესობა გახსნა ბაქოს ცენტრში, რაიონებში კი მაღაზიების რიცხვი მეტად მცირეა.

ამხ. **მახმუდოვი** სთვლის, რომ ცნობები ა. კ. რკ. გზის მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით კატასტროფების რაოდენობაზე, მეტის მეტად გადაჭარბებულია. უბედურ შემთხვევებში ტრანსპორტის მუშაკებს ვერ დავსდებთ ბრალს, ვინაიდან ასეთ შემთხვევებს ხშირათ იწვევს მუშაკებისაგან სრულებით დამოუკიდებელი მიზეზები. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა ახალ თურქულ ალფაბეტზე გამოცემულ იქნეს პოლიტიკური წიგნები.

ამხ. **მურადოვი** აღნიშნავს, რომ თუ პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციებზე სუსტია. უკანასკნელ დროს ის მაინც ძლიერდება, მაგრამ ძლიერდება მხოლოდ პარტიის კომიტეტებში, მაშინ როცა ძირითად ორგანიზაციებში ამას ვერ ვხედავთ. უმეტეს შემთხვევებში პარტუჯრედის მიერ კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას, ვერ უწევენ ხელმძღვანელობას კომკავშირის უჯრედებს და ამით არ აძლიერებენ, არამედ ასუსტებენ პარტიის ხელმძღვანელობას. ლენინის რაიონის უკანასკნელ კონფერენციაზე ეს საკითხი დაისვა ასე, რომ კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულ უნდა იქნენ პარტუჯრედების მდივნები, ორატორი სთვლის, რომ ეს დადგენილება სწორია; კონფერენციამ უნდა განიხილოს და გადასჭრას ეს საკითხი.

ამხ. **ორლოვი** (არმია) ჩერდება პარტორგანიზაციის მუშაობაზე წითელარმიაში. ორატორის აზრით უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხს წითელარმიელთა ინტერნაციონალურ აღზრდის შესახებ. ამ საკითხის გატარებაში პარტიის წინაშე სდგას მთელი რიგი დაბრკოლებებისა, რომელნიც უნდა დავსძლიოთ პარტორგანიზაციის მოხერხებულ ხელმძღვანელობის საშუალებით.

ამხ. **კული-კუჩუკ-ხანი** სთვლის, რომ ბაქოს კომიტეტი ვერ უწევდა კომფრაქციებს საკმაო ხელმძღვანელობას.

ამხ. **იბრაგიმოვი** აღნიშნავს, რომ ისტპარტმა თავის მუშაობაში უნდა ეცადოს რაც შეიძლება ნათლად და ფართოდ გააშუქოს ბაქოს ორგანიზაციის ისტორიის საკითხები.

შემდეგ კამათში მონაწილეობას ღებულობს ამხ. **ანდრეევი**, რომელიც ეხება რა ბაქოს საბჭოს მუშაობას, აღნიშნავს, რომ მის მუშაობას აბრკოლებს არა მარტო ის, რომ მისი ბიუჯეტი დეფიციტიანია, არამედ ისიც, რომ მთელ რიგ წლების განმავლობაში მისი ბიუჯეტი საერთო საკავშირო ბიუჯეტზე დაბლა სდგას. საჭიროა, რათა „აზნეფტის" თანხების ნაწილი, რომელიც მიდის საერთო საკავშირო ბიუჯეტში, ხმარდებოდეს ბაქოს საბჭოს ბიუჯეტს.

ამხ. **ალი-მამედოვი** ეხება დროს გაცდენის საკითხს, აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა ბოლო დროს მეტად ფართო ხასიათს ღებულობს. კონფერენციამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება.

ამხ. **კარამიანი** ჩერდება კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაზე, რომელსაც, მისი აზრით, აბრკოლებს კარგი კლუბების უქონლობა, სადაც შესაძლო იქნებოდა მასიური მუშაობის გაშლა. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა, რათა წამოყენებულ იქნეს საკითხი კოოპერაციისათვის კრედიტის მიცემის გაძლიერების შესახებ.

ბაქო, 29 დეკემბერი. პარტკონფერენციის 28 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გამოვიდა **რუხულა ახუნდოვი**. პირველად იგი შეეხო გამომცემლობის და ბეჭდვის საქმის მდგომარეობას და თურქულ ენაზე სახელმძღვანელოების უქონლობის გამო გამოთქმული საყვედურები სამართლიანად აღიარა. 1920 წელს —გასაბჭოების შემდეგ,—ხელისუფლებას დარჩა რამოდენიმე ფუთი შრიფტი და სამი-ოთხი უვარგისი მანქანა, რომელნიც ყოველ თვეში ფუჭდებოდენ და ჩერდებოდენ.

ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა, აუცილებლად გადავაკეთოთ და მოვაწყოთ ახალი სტამბები. ლენინმა სთქვა: „რევოლიუციონური თეორიის გარეშე არ არსებობს რევოლიუციონური მოძრაობა". ჩვენ კი ვამბობთ—არ არის რევოლიუციონური მოძრაობა მარქსიზმისა და ლენინიზმის გარეშე, და როცა ჩვენს წინაშე ისმება საკითხი მშრომელთა შეგნების და კულტურის დონის ამაღლების შესახებ, ჩვენ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გვექნეს თურქულ ენაზე ლენინიც, და თუ შესაძლებელია, მარქსიც.

აქ სთქვეს, რომ ჩვენ მუშაობაში ვაბამთ არა მარტო ლოიალურ ინტელიგენციას, არამედ არა ლოიალურ ინტელიგენციასაც, ეს ისე ხომ არ გაუგია ზოგიერთს, თითქოს ჩვენ საბჭოთა დაწესებულებებში შეგნებულათ ვიწვევთ ანტი-საბჭოთა ელემენტებს. მე-12 პარტკონფერენციის მიერ ეროვნულ საკითხზე გამოტანილ რეზოლიუციაში, რომელიც ეხება ინტელიგენციასაც, ნათქვამია. რომ თურქული ინტელიგენცია ორ ძირითად ჯგუფად უნდა გაიყოს. პირველი — ეს ის ჯგუფია, რომელიც ჩვენი რამოდენიმე წლის მუშაობის შემდეგ დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ არის მტერი მშრომელი მასების და საერთოდ არც ერთი ეროვნების. მეორე არის ის ჯგუფი, რომელმაც თავიდანვე შეიგნო, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს თურქული მშრომელი მასსა თავს აღწევს კულტურულ და ეკონომიურ მონობას. ინტელიგენციის ეს ნაწილი გულწრფელად თანაუგრძნობს ჩვენს საქმიანობას. აი, ასეთი ინტელიგენცია უნდა ჩავაბათ მუშაობაში. რაც შეეხება ინტელიგენციის უმცირესობას ე. ი. მას, რომელიც ჩვენ არ თანაგვიგრძნობს, ეს ინტელიგენცია ჩვენ არ გვესაჭიროება. სხვა საკითხია, როცა ჩვენ დაწესებულებებში ვხვდებით საბჭოთა წინააღმდეგ განწყობილ ელემენტებს. აქ სავსებით გასაგებია ჩვენი პარტიის პოლიტიკა. ეხლა ხომ შეუძლებელია ითქვას, რომ ხვალ, თუ ზეგ ჩვენ მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, რომ საბჭოთა დაწესებულებაში ჩვენ არ გვეყოლება არც ერთი მტრულად განწყობილი ელემენტი.

შემდეგ ახუნდოვი ეხება რა ეროვნულ საკითხს, მოჰყავს რამოდენიმე მაგალითი, რომელიც მოწმობს, რომ უკანასკნელ ხანებში, როგორც საზღვარ-გარეთ, ისე აზერბეიჯანში, შემჩნეულია მუსავატისტური ელემენტების შემოტევა. ისინი სცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენს პარტ-მუშაკებს და საბჭოთა ხელმძღვანელებს, სცდილობენ ხელში ჩაიგდონ ახალგაზრდობა, ებრძვიან ახალ თურქულ ანბანს და ლამობენ გააღრმავონ-განამტკიცონ რელიგიური ცრუმორწმუნეობა და ფანატიზმი.

უწინარეს ყოვლისა,—ამბობს ამხ. ახუნდოვი,—გასაკვირალია ერთი გარემოება: ჩვენ ვართ ახალი ეროვნულ-რევოლიუციონური ოსმალეთის მეგობრები და ამას ჩვენ საქმით ვამტკიცებთ. ამავე დროს კი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ მუსავატელთა ბანდის მთავარი შტაბი კი იმყოფება ოსმალეთის ტერიტორიაზე, ეს გარემოება ჩვენში იწვევს ზოგიერთ ეჭვებს. იმ დროს, როცა ჩვენ არავის არავითარი აგიტაციის, პროპაგანდის ნებას არ ვაძლევთ ოსმალეთის წინააღმდეგ, სწორედ ამ დროს თავალებულ ბანდებს სრული თავისუფლება ენიჭებათ აწარმოონ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მე მინდა გაკვირვება გამოვსთქვა აგრეთვე, იმ „ამბების" გამო, რომელიც ჟურნალ „მოლლა ნასრ-ედინს" შეემთხვა ამხ. ჩიჩერინთან. „მოლლა-ნასრედინი" უპარტიო ჟურნალებს შორის ყველაზე უპარტიო ჟურნალია და ხალხის ფართო მასებში ცნობილია იმით. რომ დღიდან თავისი გამოსვლისა 20 წლის განმავლობაში ბრძოლას აწარმოებს სპარსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ. და აი სწორედ—საბჭოთა ხელისუფლების დროს, საკმარისია ჟურნალში დაიბეჭდოს რაიმე უმნიშვნელო წერილი სპარსულ ფეოდალიზმის, იქაურ საზიზღარ წესების საწინააღმდეგოთ, რომ მაშინვე ამხ. ჩიჩერინმა განაცხადოს, რომ ეს არის სპარსეთთან ჩვენი მეგობრობის შელახვა, რაც ყოვლად დაუშვებელია. შეუწყნარებელია და სხვა.

ამავე დროს საინტერესოა, გარეშე საქმეთა კომისარიატმა მიიღო თუ არა რაიმე ზომები იმისათვის, რომ ეთხოვოს ჩვენს მეგობარს—ოსმალეთის ეროვნულ რევოლიუციონურ მთავრობას—ხმა ჩააკმენდინოს მუსავატელებს. დღემდე ასეთი ნაბიჯი, მგონია არ გადადგმულა. ჩვენი კონფერენცია უნდა შეჩერდეს ამ საკითხზე; მან როგორმე გავლენა უნდა მოახდინოს, რომ ჩვენმა გარეშე საქმეთა კომისარიატმა ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს.

29 დეკემბრის დილის სხდომა

(კამათის გაგრძელება)

ამხ. **რიზვანი** საჭიროდ სცნობს ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის გაძლიერებას. ზოგიერთს ჩვენს ამხანაგს სწორად არ ესმის ეს მუშაობა. მაგ. ერთი პროფმუშაკი—პარტიული ამტკიცებდა, რომ ეს მუშაობა მისი საქმე არ არის. ეს არაა სწორი. ჯერ კიდევ შარშან იყო გამომუშავებული ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის გარკვეული გეგმა, რომელიც ჩვენ უცვლელად უნდა განვახორციელოთ.

ამხ. **კრილოვის ქალა** მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, რომელნიც მოწმობენ ქალების მეტის-მეტად დაწინაურებას. ქალი გონებრივად იზრდება და ამავე დროს აყენებს უფრო და უფრო მეტს მოთხოვნილებებს. ქალს ამჟამად უკვე აინტერესებს, თუ რა ხდება პარტიაში, როგორ არის ოპოზიციის საქმეები, ხანდახან ქალები ისეთ კითხვებს იძლევიან, რომ განცვიფრებული რჩები, როგორ გაიზარდა ასე ქალთა მასსა. ქალთა აქტივს პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლათ ქალთა კლუბებში ვერ გავგზავნით, რადგან ისინი იქ ვერ იღებენ სათანადო მომზადებას. ქალთა აქტივი უნდა დავირაზმოთ პარტუჯრედების გარშემო, რომელთა ხელმძღვანელობით და უშუალო მეთვალყურეობით ისინი გონებრივად დაწინაურდებიან და გათვითცნობიერდებიან. ეხლა მთელ რიგ ახალ წარმოებათა გახსნის გამო, ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა—ქალის შრომას გამოუძებნოთ ადგილი ამ წარმოებებში.

ამხ. **მელიქოვი**—ეხება პარტიაში მიღების საკითხთან დაკავშირებულ საქმის [illegible]. მისი დასკვნით საჭიროა დაჩქარდეს საქმის მსვლელობა.

ალამალი-ოღლი, ეხება რა ეროვნულ საკითხს, ჩამოსთვლის პარტიის წინაშე ამ საკითხში მდგარ ამოცანებს და ამბობს: ეროვნულ საკითხში კიდევ არის ისეთი ამოცანები, რომელნიც ამავე დროს რევოლიუციონურ ამოცანებსაც წარმოადგენენ.

ერთი ასეთი ამოცანათაგანია ძველი თურქული ალფავიტის შეცვლა ახალით,—„ახალი ალფაბეტის შესახებ მოკლე მოხსენების მოსმენის შემდეგ,—ამბობს ამხ. ალამალი-ოღლი,—ლენინმა სთქვა, რომ ახალი ალფაბეტი, ეს არის რევოლიუცია აღმოსავლეთში. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ლენინელებმა სათანადო ორგანიზაციებს უნდა მოსთხოვონ ახალი ალფაბეტის ცხოვრებაში სასწრაფოდ გატარება.

ამხ. **ალექსანდროვი** ამბობს, რომ კომუნისტ-ქმრებს ჯერ კიდევ საკმარისად ვერა აქვთ შეგნებული ქალის განთავისუფლების მნიშვნელობა. არის შემთხვევები, როცა ქმარი არ უშვებს თავის ცოლს კრებაზე. ჰყავს სახლში ჩაკეტილი და სახიდან ჩადრსაც კი არ ხსნის.

ამხ. **მაქაროვი** ეხება რა პროფმუშაობის საკითხებს, ამბობს, რომ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები ვერ ახდენენ ისეთ საკითხების შერჩევას, რომელნიც დელეგატთა კრებებს აინტერესებთ და ამით მასსებს აშორებენ საკავშირო მუშაობას.

რამოდენიმე ამხანაგის გამოსვლის შემდეგ, სიტყვა მისასალმებლად ეძლევა სურახანის ქალთა კლუბის გამგეს ამხ. **ალიევას**, რომელსაც კონფერენცია ხანგრძლივი ტაშით, ოვაციით და ვაშას ძახილით ეგებება. ამხ. ალიევა თავის მისასალმებელ სიტყვაში ამბობს, რომ პარტიის სწორი ხელმძღვანელობით დედაკაცი თანდათან თავისუფლდება. ქალები ირაზმებიან ჩვენი კულტურული კერის-კლუბების გარშემო.

საპასუხო სიტყვაში ამხ. **კარაევი** ამბობს: დღეს ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ თურქი ქალი, რომ იგი სწორ გზაზე სდგას, საბჭოთა ხელისუფლება გააგრძელებს მუშაობას ქალის განსათავისუფლებლად და ყოველმხრივ ხელს შეუწყობს მას განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კრება მქუხარე ტაშისცემით ხვდება თავმჯდომარის განცხადებას იმის შესახებ, რომ კონფერენციაზე მოსულმა თურქის ქალებმა მე-16 პარტკონფერენციის პატივისცემის ნიშნად, ეს არის, მოიხსნეს ჩადრები.

კამათი გადაიდო საღამოს სხდომისათვის.

პარტიული ცხოვრება

ყოფილი ოპოზიციონერის ღია წერილი „პრავდაში"

მოსკოვი, 29 დეკემ. „პრავდა"-ში დაბეჭდილია ლენინგრადელი პარტიულის პასინკოვის მიმართვა ზინოვიევისადმი:

„წავიკითხე რა გაზეთ „პრავდაში" თქვენი გამოსვლა კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, ამასთან მე-15 პარტკონფერენციამდე და 16 ოქტომბრის ექვსის განცხადებამდე ვიყავი რა მეუმცირესეთა ხაზის ურყევი მომხრე, მე ჩემს მოვალეობად ვსთვლი დავაყენო თქვენს წინაშე მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ოპოზიციის ხაზს შეეხებიან:

1. თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა, საკუთარ შეხედულებათა ნიადაგზე, მთელი პარტიის წინაშე უარი განაცხადეთ გამთიშველ მუშაობაზე და დაგმეთ პარტიისათვის დამღუპველი ფრაქციული ბრძოლა, მაგრამ ამავე დროს ადგილებზე დაგზავნილ იქნა დირექტივა მუშაობისათვის უფრო საიდუმლო ხასიათის მიცემის შესახებ და მუშაობის წარმოების შესახებ არა ჯგუფობრივ, არამედ ცალ-ცალკე. მე რომ არ მიმეღო აქტიური მონაწილეობა ფრაქციულ ბრძოლაში და არ მცოდნოდა ოპოზიციური ორგანიზაციის სტრუქტურა, არ დავსვამდი ამ საკითხს თქვენს წინაშე, მაგრამ რადგან ვიცი, რომ ყველა დირექტივები ზევიდან მოდიან, თქვენგან, სათანადო ინსტანციებამდე — დაბალ ოპოზიციურ ჯგუფებამდე, მე ჩემს მოვალეობად ვსთვლი დავდო თქვენ ბრალი მთელი პარტიის და მუშათა კლასის წინაშე „თავისუფალ მოპყრობაში" ჭეშმარიტების მიმართ.

2. კითხულობენ რა ცეკას პლენუმზე თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვისთვის ტენდენციურად შერჩეულ მასალას, (მასალას, რომელიც შერჩეულია თუ არა თქვენ მიერ, თქვენი დახმარებით მაინც), თქვენი ყოფილი მომხრეები უდიდესად გაკვირვებული არიან: რანაირად შეიძლება მომხდარიყო, რომ თქვენ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ ცნობილ ჯგუფების საშუალებით უქადაგებთ პარტიას, რომ მუხრუჭ მოჭერილი რევოლიუცია ეშვება დაბლა, რომ დამარცხების მთავარ მიზეზს წარმოადგენს სტალინი, რომ საბჭოების ქვეყანა გადაგვარების გზაზეა და რომ ჩქარა დადგება თანამედროვე იტალიის მსგავსი დრო. მე-15 პარტკონფერენციასა და კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე დასმულ ძირითად საკითხებს თქვენ დუმილით აუარეთ გვერდი და არც კი შეეცადეთ იმ „მუხრუჭის" დანგრევას, რომლითაც „ეშვება რევოლიუცია".

ეხლა პარტიის პესიმიზმის შესახებ მსოფლიო რევოლიუციის მიმართ, რაც თითქოს მტკიცდება იმით, რომ საბჭოების ქვეყანას უნდა საკუთარი ძალით ააშენოს სოციალიზმი. რატომ არ არის მართალი საყვედური პესიმიზმზე? აი, რა მიზეზით: ჩვენი ქვეყანა აწინაურებს ტეხნიკას, ანვითარებს ინდუსტრიალიზაციას და ელექტროფიკაციას ჩვენს მეურნეობაში და აქვს ყველაფერი სოციალიზმის ასაშენებლად. ამასთან ერთად ჩვენ არ დაგვივიწყებია გაერთიანებულ რევოლიუციონური ბრძოლა მსოფლიო სარბიელზე. ამნაირად, ჩვენ განვაგრძობთ სოციალიზმის აშენებას ილიჩის მიერ მოცემული რეცეპტით: „საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროფიკაცია — არის სოციალიზმი". (ადს).

საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ დაამტკიცა საგუბერნიო კომიტეტების მდივნებისა, საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა სია 15 კაცის შემადგენლობით, რომლებიც გაწვეული არიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის განკარგულებაში სამი თვის ვადით საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების დარგში სამუშაოდ.

გაწვეული არიან კოსტრომის, თურქმენისტანის ცეკას, მარიუპოლის და ტომსკის საოლქო კომიტეტის მდივნები, ვიატკის, სარატოვის, ვლადიმირის და ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომების და სტავროპოლის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეები; ბელორუსიის სახკომსაბჭოს, არხანგელსკის და რიაზანის საგუბერნიო აღმასკომების და ციმბირის საოლქო აღმასკომების თავმჯდომარის მოადგილეები. ამათ გარდა, ერთი თვით გაწვეული არიან სტალინგრადის, ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო აღმასკომებისა და გერმანელთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეები. (ადს).

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან მოწვეულ საგიტაციო-სანახაობათა ქვეკომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა საინფორმაციო მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის შესახვედრათ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ყველა აკადემიურ თეატრებთან ათი წლისთავის სადღესასწაულოდ შედგენილია კომისიები. სწარმოებს მოლაპარაკება მთელ რიგ ავტორებსა და კომპოზიტორებთან პიესებისა, საოპერო და საბალეტო დადგმების შესახებ. განზრახულია კონკურსის გამართვა სოფლისათვის შესაფერ პიესაზე, რომელიც უნდა გამოხატავდეს რევოლიუციონურ მიღწევებს სოფლად 10 წლის მანძილზე და მისი განვითარების პერსპექტივებს. (ადს).

კომუნისტები—დამცველთა კოლეგიის წევრები

მოსკოვი, 29 დეკემბერი. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ დაადგინა აუკრძალოს კომუნისტ-დამცველთა კოლეგიის წევრებს კერძო პრაქტიკის წარმოება და პარტიულებით გაძლიეროს კონსულტანტთა შემადგენლობა პროფკავშირებსა და მუშათა პრესის საბჭოებთან. ეს დადგენილება შეთანხმებულია საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკასთან. (ადს).

საბჭოთა სპორტსმენების შეჯიბრი

მოსკოვი, 29 დეკემბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკამ დაადგინა, რომ საბჭოთა სპორტსმენების სპორტიული შეჯიბრებები ბურჟუაზიულ სპორტსმენებთან ხდებოდეს კომინტერნის აღმასკომის, სპორტინტერნის და იმ ქვეყნების კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების თანხმობით, სადაც განზრახულია ამ შეჯიბრებების მოწყობა.

ამასთან ერთად ცეკამ ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ყურადღება მიაქცია კომანდების ხელმძღვანელთა პოლიტიკური მხრივ უფრო რიგიანად შერჩევაზე. (ადს).

თბილისის პარტკონფერენციისათვის

თბილისის საქალაქო ორგანიზაციის სტრუქტურა საანგარიშო ხნის განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა. შეტანილი იქნა ზოგიერთი ცვლილებები მხოლოდ მაზრის პარტორგანიზაციის სტრუქტურაში (თემკომების სისტემაზე გადასვლა) და აგრეთვე შეიცვალა ორგანიზაციის უჯრედებისა და წევრთა რიცხვი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქის ორგანიზაციაში დაარსდა ახალი 17 უჯრედი. უჯრედების ზრდა სწარმოებდა უმთავრესად მეოთხე რაიონში. ამ რაიონში მოხდა ზოგიერთ მრავალრიცხოვან უჯრედების დაყოფა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ის მცირეოდენი ზრდა კი, რომელიც არსებობს, მოხდა უმთავრესად საწარმოო უჯრედების ხარჯზე. ასე მაგალითად 17 ახალი უჯრედიდან 11 დაარსებულია წარმოებებში.

პარტიის წევრთა რაოდენობა ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 22,7 პროცენტით (1651 კაცი) ყველაზე უფრო ზრდა ხდებოდა საწარმოო უჯრედებში. ამ უჯრედებში წევრთა რიცხვი გაიზარდა 959 კაცით; შემდეგ მიდის უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედები. აქ წევრთა რიცხვი გაიზარდა 256 კაცით, უმთავრესად ჩამოსულთა ხარჯზე; შემდეგი ადგილი უჭირავს დაწესებულებათა უჯრედებს, სადაც წევრთა რიცხვი 244 გაიზარდა და ა. შ.

ორგანიზაციის შემადგენლობა

თბილისის ორგანიზაციაში წევრთა და კანდიდატთა შეფარდება სრულიად ნორმალურია. ყველა რაიონებში, მეოთხე რაიონის გამოკლებით, კანდიდატების პროცენტი წარსულთან შედარებით შემცირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიკომებმა საკმაო ყურადღება მიაქციეს კანდიდატების პარტიის წევრებად გადაყვანის საქმეს. ასე მაგალითად, ლენინის რაიონში კანდიდატების რიცხვი შემცირდა 33,5 პროცენტიდან 28.8 პროცენტამდე, არსენალის რაიონში 34,1 პროც.—28,4 პროცენტამდე, ავლაბარ-ხარფუხის რაიონში 33,6 პროც.—28,4 პროცენტამდე. მხოლოდ ქალაქის რაიონშია სხვაგვარი სურათი: აქ გასულთან შედარებით კანდიდატების რიცხვი 31,7 პროც. ავიდა 35,4 პროცენტამდე. ეს აიხსნება იმით, რომ ქალაქის რაიონში კანდიდატების რიცხვი იყო მეტი ვიდრე სხვა რაიონებში, ახალი კანდიდატებიც უფრო მეტი იქნა მიღებული და კანდიდატების პარტიის წევრებად გადაყვანაც უფრო სუსტი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე სხვა რაიონებში. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატების პროცენტი სამ რაიონში შემცირდა, მათი რიცხვის გადიდებამ მეოთხე რაიონში, მთელ ორგანიზაციაზე იქონია გავლენა და ამ ჟამად კანდიდატების პროცენტი ორგანიზაციაში უდრის 31 პროც., მაშინ, როდესაც გასულ წელს ეს პროცენტი 33-ს უდრიდა.

სოციალური შემადგენლობა

ორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რომ მუშათა რიცხვი ორგანიზაციაში გაიზარდა, (მიღებულ იქნა 790 მუშა) მაინც გაუარესდა. 1925 წლის ოქტომბერში ორგანიზაციაში ირიცხებოდა მუშების 72,5 პროც. 1926 წლის ოქტომბერში კი მუშების პროცენტი უკვე 65,8 პროცენტამდე დაეცა. მუშათა პროცენტის შემცირება ორგანიზაციაში აიხსნება ორი გარემოებით: 1) ორგანიზაციაში გაიზარდა მოსამსახურეთა რიცხვი უმთავრესად სხვა ორგანიზაციებიდან მოსულთა ხარჯზე და გლეხების რიცხვი, რომლებიც მაზრებიდან ჩამოვიდენ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისათვის. 2) იანვარში თბილისის კომიტეტის წინადადებით რაიკომებმა მოახდინეს ორგანიზაციის სოციალურ მდგომარეობის გადასინჯვა. გადასინჯვის დროს პარტიის ზოგიერთი წევრები, რომლებიც წინათ მუშებად ირიცხებოდენ, (თანახმად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ინსტრუქციისა სოციალური მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ) გადაყვანილ იქნენ მოსამსახურეების რიცხვში. ამ ღონისძიების გატარების შემდეგ მუშათა პროცენტი, რომელიც 25 წლის ოქტომბერში უდრიდა 72,5 პრ. იანვარში უკვე დაეცა 67 პროცენტამდე. ამ ჟამად ორგანიზაციაში ირიცხება 5.874 მუშა, (65,8 პროც.); 588 გლეხი (6,6 პრ.); 2,458 მოსამსახურე (27,6 პრ.); გასული წლის ოქტომბერში კი იყო ასეთი სურათი: 5.414 მუშა (72,5 პრ.); 394 გლეხი (5,3 პრ.); 1.676 მოსამსახურე (22,4 პროც.);

ეროვნული და სქესობრივი შემადგენლობა

საანგარიშო ხნის განმავლობაში ორგანიზაციის წევრთა რიცხვი გაიზარდა უმთავრესად ქართველების ხარჯზე. გასული წლის ოქტომბერში იყო 2.982 ქართველი (39,8 პრ.); მიმდინარე წლის ოქტომბერში კი—3.932 (44,2 პროც.); სომხების რიცხვი ორგანიზაციაში თუმცა გაიზარდა 250 კაცით, მაგრამ ვინაიდან ქართველების რიცხვი გაიზარდა უფრო მეტად (950 კაცი), სომხების პროცენტმა დაიკლო. იყო 27,1 პროც. არის 25,5 პროც.

ქალთა პროცენტი საანგარიშო ხნის განმავლობაში ცოტაოდნათ შემცირდა. ასე მაგალითად, გასული წლის ოქტომბერში ქალთა რიცხვი უდრიდა 8,7 პროც., ხოლო მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის კი იყო 8,3 პროც.. ქალთა პროცენტის შემცირება ორგანიზაციაში აიხსნება იმით, რომ ორგანიზაციაში უფრო მეტი შემოდიან მამა-კაცები, ვიდრე ქალები. ორგანიზაცია საანგარიშო ხნის განმავლობაში გაიზარდა მამა-კაცების ხარჯზე 19,9 პროცენტით (1356 კაცი) ხოლო ამავე ხნის განმავლობაში მიღებულ იქნა მხოლოდ 83 ქალი (12,7 პროც.). ქალთა პროცენტის დაკლება მოხდა უმთავრესად არსენალის და მეოთხე რაიონებში, სხვაგან კი ჩვენ გვაქვს ქალთა პროცენტის მცირეოდენი გადიდება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ რაიონებშიაც კი, სადაც ქალთა რაოდენობა გაიზარდა, ზრდა ხდებოდა უმთავრესად მოსამსახურე ქალთა ხარჯზე. 83 ქალისგან 64 მოსამსახურეა.

სხვა პარტიებიდან გამოსულთა რაოდენობა

სხვა პარტიებიდან გამოსულთა რაოდენობა თბილისის ორგანიზაციაში წინადაც საგრძნობი იყო, საანგარიშო პერიოდში კი მათი რიცხვი კიდევ გაიზარდა 236 კაცით. ზრდა ხდებოდა უმთავრესად ლენინის და მეოთხე რაიონებში. ლენინის რაიონს მოემატა 47, ქალაქის რაიონს 84. უმთავრესად პარტიაში მიღებულნი არიან ყოფილი მენშევიკები (216) მთლიანად თბილისის ორგანიზაციაში 891 ანუ 10 პროც. სხვა პარტიიდან გამოსული წევრი და კანდიდატია. მათ შორის 708 ყოფილი მენშევიკი. გასულ წელს სხვა პარტიიდან გამოსულთა რიცხვი უდრიდა 9 პროცენტს. გაცილებით მეტია სხვა პარტიებიდან გამოსულთა პროცენტი ლენინის რაიონში (15.8 პროც., წინეთ იყო 12.2 პრ.). ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ლენინის რაიონის მუშების საგრძნობი ნაწილი წინედ მენშევიკურ პარტიაში ირიცხებოდა.

კომუნისტების შემადგენლობა პარტიული სტაჟის მიხედვით

პარტიული სტაჟის მიხედვით თბილისის ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა არის 1921-დან—1926 წლამდე. ისინი შეადგენენ მთელი ორგანიზაციის 68.5 პროც.. მათ შორის 43,6 პრ. პარტიის წევრია 1925 და 1926 წლიდან. პარტიულთა ძველი კადრი ორგანიზაციაში გაცილებით უფრო მცირეა. პარტიის იმ წევრთა პროცენტი, რომელთაც აქვთ სტაჟი 1917 წლის რევოლიუციამდე—უდრის 4,1 პროც., საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე—(1917 წ-დან 1921 წლამდე) 27,8 პრ., კანდიდატები ორგანიზაციაში ირიცხებიან უმთავრესად 1925 წელში მიღებულები (49,1 პრ.). 1926 წელში მიღებულია 30,6 პროც., ხოლო 1924 წლიდან ირიცხება კანდიდატათ 17,2 პრ. გარდა ამისა, ორგანიზაციაში ირიცხება 78 (2,9 პროც.) კანდიდატი, რომელთაც აქვთ სტაჟი 1920-დან 1923 წლამდე. მათ შორის 54 კაცი მეოთხე რაიონშია. თუმცა ეს პროცენტი არ არის მაინც და მაინც მნიშვნელოვანი, მაგრამ პარტიის კანდიდატათ ყოფნა ექვსი წლის განმავლობაში არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენად და უსათუოდ უნდა დაისვას საკითხი ან მათ გადაყვანის შესახებ პარტიის წევრებად, ან გარიცხვის შესახებ პარტიის რიგებიდან.

წლოვანება და ხელობა

წლოვანების მიხედვით ორგანიზაცია ორ ნაწილად იყოფა. 50,7 პროც. შეადგენს კომუნისტები 30 წლამდე, ხოლო 49,3 პროც. 30 წლის ზევით. საკმაოდ დიდია პროცენტი 26-დან 30 წლამდე. (26,9 პროც.). შემდეგ მიდიან კომუნისტები 21-დან 25 წლამდე 22,7 პრ. და ასე შემდეგ. საანგარიშო ხნის განმავლობაში ყველაზე მეტად გაიზარდა კომუნისტების რიცხვი წევრებით 21-დან 30 წლამდე. 1651 კაციდან ამ ჯგუფზე მოდის 1068.

ხელობის მიხედვით კომუნისტები ასე ნაწილდებიან: მუშები, რომლებიც საშუალოდ წარმოებაში არიან, შეადგენენ მთელი ორგანიზაციის 50.1 პროც., დანარჩენები (49,9 პროც.) მუშაობენ საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ ორგანოებში, არიან შინა-მრეწველები, სამხედრო პირები, მოწაფეები და უმუშევრები. მუშებს შორის პირველი ადგილი უჭირავს ტრანსპორტელებს (43,2 პროც.). მეორე ადგილი—ფაბრიკა-ქარხნების მუშებს (40.1 პრ.). შემდეგ მიდიან სხვადასხვა დარგის მუშები 16.7 პროც.. საბჭოთა უჯრედების მუშაკთა შორის 37,8 პრ. პასუხისმგებელი მუშაკებია.

აჭარისტანის საოლქო პარტკონფერენცია

კონფერენციის გახსნა

ბათომი, 29 დეკემბერი. 28 დეკემბერს აკადემიურ თეატრში საზეიმოდ გაიხსნა აჭარისტანის მეცხრე პარტიული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა აჭარისტანის კომიტეტის მდივანმა ამხ. აკირტავამ, რომელმაც წინადადება შემოიტანა ფეხზე ადგომით პატივი სცენ ამხ. ძერჟინსკისა და კრასინის ხსოვნას. (ყველა დგება ფეხზე. ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო მარშს). აკირტავას შესავალი სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კონფერენციის სამუშაო აპარატი, სამდივნო და სამანდატო კომისია 28 კაცის შემადგენლობით.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. რიკოვი, სტალინი, ორჯონიკიძე, კალინინი და სხ.

შემდეგ მისალმებებით გამოვიდენ ამხ. ლევან ღოღობერიძე, აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე სურმანიძე, აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე— მემედ ღოღობერიძე, უპარტიო მუშების, გლეხების, მოსწავლეთა, აჭარის ქალთა ყოფილ მენშევიკთა ჯგუფის, წითელი არმიის და კომკავშირის წარმომადგენლები.

ამხ. აკირტავამ მადლობა გადაუხადა ყველა იმათ, ვინც კონფერენციას მიესალმა. რის შემდეგ „ინტერნაციონალის" სიმღერით დაიხურა კონფერენციის პირველი სხდომა.

პირველი სხდომის შემდეგ კონფერენციის წევრებისათვის ქართულმა აკადემიურმა გუნდმა გამართა კონცერტი.

29 დეკემბრის დილის სხდომა

რეზოლიუცია ოპოზიციის ბელადების ახალი გამოსვლის წინააღმდეგ

29 დეკემბრის დილის სხდომაზე ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენების გარშემო ოპოზიციონური ბლოკის ბელადების ახალი გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის მე-7 გაფართოებულ პლენუმზე, კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

„აჭარისტანის მეცხრე პარტკონფერენცია აღნიშნავს, რომ ოპოზიციის ლიდერებმა თავისი აპელიაციით კომინტერნის მიმართ საკ. კომ. პარტ. (ბ) მე-14 ყრილობისა და მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებიც ერთსულოვნად იქნა მიღებული ყველა პარტიული ორგანიზაციების მიერ, დაარღვიეს პარტიისათვის მიცემული სიტყვა ფრაქციული ბრძოლის უარყოფის შესახებ და საბოლოოდ დაამტკიცეს მათი 16 ოქტომბრის განცხადების არა გულწრფელობა, იმ განცხადებისა, რომელიც გამოყენებული იქნა მხოლოდ როგორც სტრატეგიული მანევრი მთელი პარტიისაგან დამარცხებულ ოპოზიციური ბლოკის ლიდერების მიერ. კონფერენცია ადასტურებს ოპოზიციური ბელადების სრულ გაკოტრებას და გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას ოპოზიციის ლიდერების ახალი თავხედური გამოსვლის გამო პარტიისა, მე-15 პარტკონფერენციისა და ლენინურ ცეკას წინააღმდეგ. აჭარისტანის მეცხრე პარტკონფერენცია დაბეჯითებით მოითხოვს საჭირო ზომების მიღებას ოპოზიციის ფრაქციული მუშაობისათვის სამუდამოდ ბოლოს მოსაღებად.

გაუმარჯოს კომინტერნს—მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის მებრძოლ შტაბს!" (ადს).

აფხაზეთის მერვე საოლქო პარტკონფერენცია

რეზოლიუცია ამხ. სტურუას მოხსენების გარშემო

სოხუმი, 29 დეკემბ. დღეს, დილის სხდომაზე კონფერენციამ ამხ. სტურუას მოხსენების გარშემო მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. სტურუას მოხსენება პარტიის საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, აფხაზეთის მერვე საოლქო პარტკონფერენცია მთლიანად და სავსებით იწონებს საოლქო კომიტეტის საქმიანობას, რომელმაც საანგარიშო პერიოდში უზრუნველჰყო მნიშვნელოვანი მიღწევები. საოლქო კომიტეტი, პოლიტიკურ ხაზს კონფერენცია სცნობს სწორად, ხოლო შესრულებულ მუშაობას დამაკმაყოფილებლად. კონფერენცია აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში სამეურნეო მიღწევების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენენ: მრეწველობის (თამბაქოს ფაბრიკა, პოლიგრაფიული მრეწველობა, აფხაზეთის ტყე) გაუმჯობესება და განმტკიცება, სასოფლო მეურნეობის (თამბაქო, სიმინდი, მესაქონლეობა) ინტენსიური განვითარება, საკურორტო საქმის განვითარება და გაძლიერება, სახელმწიფო ვაჭრობის (საბითუმო ვაჭრობა) პოზიციების განმტკიცება, კოოპერაციის (აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირი, სასოფლო-სამეურნეო ბანკი, აფხაზეთის სასოფლო მეურნეობათა კავშირი) გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება, ამ უკანასკნელის გამოყოფით, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის და მთელი რიგი სხვა მიღწევები, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის საერთო ეკონომიურ აღორძინებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას".

კონფერენციამ საოლქო კომიტეტს დაავალა სპეციალური კომისიის მოწყობა აფხაზეთში პარტიის ისტორიისა და რევოლიუციის შესასწავლად.

პარტკონფერენციამ, აგრეთვე, დამაკმაყოფილებლად სცნო კომკავშირის საოლქო კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა. (ადს).

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ერთი სახის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ანგარიშვალდებულებიანობა დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობაში, ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ქვემდებარე განყოფილებათა მუშაობის სისტემატიური შემოწმება საქმისათვის უაღრესად სასარგებლო და აუცილებელია. მაგრამ ჩვენი მუშაობის ერთ მნიშვნელოვან ნაკლს სწორედ ის წარმოადგენს, რომ ზოგჯერ სასარგებლო საქმესაც უხეირო და ბიუროკრატიული მიდგომით ღირებულებას ვუკარგავთ.

ასევე ითქმის ანგარიშვალდებულებიანობის ცხოვრებაში გატარებაზეც. წერილობითი ანგარიში ჩატარებულ მუშაობის შესახებ, მომავალი მუშაობის შესახებ, მომავალი მუშაობის გეგმები, ანკეტების შევსება, სპეციალურ კითხვარებზე პასუხის გაცემა და სხვა ამგვარი. აი რას უნდება ხშირად ჩვენი დაწესებულება წარმოებებში ის ხალხი, რომლებმაც უნდა აკეთონ საქმე და ზოგჯერ საჭირ-ბოროტო, გადაუდებელი საქმე.

იხარჯება დრო, იხარჯება ენერგია, ქაღალდი, რთულდება მუშაობა და საქმე ამით არა თუ იგებს, უფრო ზარალობს. ხშირად ამ წვითა და დაგვით შედგენილ ანგარიშებს სათანადო ორგანოები არც კი იხილავენ და ამუშავებენ. ზოგჯერ ქაღალდები იწერება, და იგზავნება იმისათვის, რომ სათანადო უწყების ხელმძღვანელ ორგანოების „საქმეებში" საუკუნოთ დაიმარხონ.

ნუ თუ არ შეიძლება ანგარიშის მოთხოვნის წესის გამარტივება? ცხადია, რომ ასეთი შესაძლებლობა არის. ჯერ ერთი საჭიროა მეტი ცოცხალი კავშირი ხელმძღვანელ და ქვემდებარე ორგანოებს შორის. გარდა ამისა უნდა გამომუშავებულ იქნას კითხვათა მოკლე რიგი, რომელზედაც უნდა უპასუხონ ქვემდებარე დაწესებულებებმა. რაც ცხოვრებას არ გაუმართლებია, რაც დაწესებულებათა ანგარიშვალდებულებიანობის მუშაობაში ქაღალდის ხორცმეტს წარმოადგენს, უნდა მოკვეთილ იქნას დაუნდობელი ხელით. ბიუროკრატიულ მოკრძალებას ქაღალდის წინაშე, ერთგვარ კანცელარიულ ფეტიშიზმს, რომელიც ჰკლავს ცოცხალ საქმეს, რომელიც ადუნებს დაწესებულება-ორგანიზაციის მუშაობას, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ანგარიშვალდებულებიანობა და გეგმიანობა აუცილებელი პირობაა ნორმალური მუშაობისათვის. ამ პირობის სისწორით და მოითხოვს ჩვენგან შეურიგებელი ბრძოლის წარმოებას ბიუროკრატიულ გადახრებთან ანგარიშის შედგენის და მუშაობის შემოწმების საქმეში.

გ—ლი.

რაში იღებს ქირას?

(ს. ალპანა, ლეჩხ. მ.)

ს. ალპანაში ცხოვრობს ძველი კულაკი— ჰელხაზა ალავიძე. მას სხვა ბევრ სიმდიდრესთან ერთად ჰქონდა რამდენიმე სახლი, ერთი მათგანი, ორ სართულიანი, საბჭოთა ხელისუფლებამ მას ჩამოართვა და გადასცა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებას სრულიად უფასოდ.

ეს ფ. ტ. სამმართველომ არ იცოდა. დღეს კი რაღაც ბნელი მოხერხებით და გაუგებრობით ალავიძეს დაუნიშნეს აღნიშნულ სახლში ქირა —თვეში 25 მანეთი.

კულაკი ალავიძე 1925 წ. 1 ოქტომბრიდან ღებულობს ამ ქირას ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის სალაროდან. საჭიროა დროზე მიაქციოს ყურადღება ამას ადგილობრივმა აღმასკომმა და ფ. ტ. სამმართველომ. უნდა გამოითხოვოს ალპანის თემის აღმასკომის საქმეებში სახლის ჩამორთმევის დადგენილების ოქმი და მის თანახმად უნდა შესწყვიტოს ხაზინამ ქირის ძლევა.

დაუნდობელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ელსადგური

ქუთაისი, 29 დეკემბერი. ქუთაისის აღმასკომმა ქუთაისის ელექტრო-სადგურის გადასაკეთებლად გადასდო 10.000 მანეთი. პირველ საბჭოთა სადგურზე გადმოტანილი იქნება ყველა მანქანები მეორე სადგურიდან და დადგმული იქნება თბილისიდან მოტანილი 150 ძალიანი მანქანა. ორი სადგურის ასეთი კონცენტრაცია შეამცირებს ზედნადებ ხარჯებს და მოსამსახურეთა შტატს. (ადს).

წვიმები

ქუთაისი, 29 დეკემბერი. ძლიერ წვიმების გამო მდინარე ყვირილა ადიდდა 2 საჟენის სიმაღლეზე, ზიკარის გზაზე სოფ. ბაღდადთან წაიღო ხიდი; წაიღო ბორანის ორივე სადგური. მიმოსვლა შეწყდა—წყლის ადიდებამ გააფუჭა გზა საჯავახოსა და ოზურგეთს შორის. იტყობინებიან, რომ მდინარე ხანისწყალის ადიდების გამო, წალეკილ იქნა ბაღები და ვენახები სოფ. დიმში—თვითონ სოფელს წყალდიდობა ემუქრება. (ადს).

არხის მოწყობა

ქუთაისი, 29 დეკემბერი. სასწრაფოდ დაიწყო მუშაობა დიმსა და როკითს შორის არხის მოსათავებლად. ამინდი ხელს უშლის მუშაობას; განზრახულია მუშაობა დამთავრდეს პირველ მაისამდე. (ადს).

თოვლი

ქუთაისი, 29 დეკემბერი. მიდამოებში მოდის თოვლი. ქუთაისში თოვს და წვიმს. დღის ტემპერატურა—სითბოს 4 გრადუსი. (ადს).

საბჭოების გადარჩევა

ქუთაისი, 29 დეკემბერი. დაიწყო სამზადისი მუშაობა საბჭოების გადასარჩევად. საქ. კომ. პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი შეუდგა ორგანიზაციულ მუშაობას მთელ მაზრაში: ტარდება მოხსენებები და ანგარიშები აღმასკომების მუშაობის შესახებ, სწარმოებს მუშაობა თემების საარჩევნო პუნქტების დასაყოფად და სხვ. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ოზურგეთი, 29 დეკემბერი. მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულია მეურნეობათა 60 პროც. გადასახადის საერთო თანხიდან ჯერ-ჯერობით შემოვიდა 30 პროც. სამაზრო აღმასკომმა მიიღო ზომები, რათა 31 დეკემბრისათვის გადასახადი აკრეფილ იქნეს არა ნაკლებ 85 პროცენტისა. ადგილებზე დაგზავნილია ინსტრუქტორები (ადს).

აჭარისტანში

ნავთსადგურში

ბათომი, 29 დეკემბერი.. ნავთსადგურის საცურაო საშუალებების შესავსებათ, 27 დეკემბერს ოდესიდან ბათომში მოვიდა ძლიერი კატერი „ნადეჟდა" კატერი შედიოდა არხანგელსკიდან მოსულ საბჭოთა ხომალდების ქარავანში. მას გზაზე არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია." (ადს).

პოლიტგანის მუშაობა

ბათომი, 29 დეკემბერი. სასწავლო წლის დაწყებიდან აჭარისტანის პოლიტგანმა მაზრაში გახსნა 110 წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

ამას გარდა გახსნილ იქნა 3 უმაღლეს ტიპის სკოლა. (ადს).

კოოპერაციის ზრდა

ახალქალაქი, 29 დეკემბერი. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია გლეხების ლტოლვა სამომხმარებლო კოოპერაციაში. 1-ლ ოქტომბრისათვის ახალქალაქის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება ითვლიდა თავის რიგებში 2.230 წევრს, ხოლო დეკემბრის ბოლოსათვის ეს რიცხვი ავიდა 2750-მდე, მათ რიცხვში 100-დე უღარიბესია. თითქმის ყველა ახლად ჩაწერილთ სრულად შეიტანეს საპაიო გადასახადი. გრძელდება უღარიბესთა ჩაწერა და იანვრისათვის კოოპერაციაში ჩაბმული იქნება მათგან 550 კაცამდე. (ადს).

წერილები

რა აფერხებს თეატრის აშენებას

(ბაღდათი, ქუთ. მ.)

ამ შვიდი თუ რვა წლის წინად ბაღდათში დაქირავებული იქნა განსაკუთრებული შენობა მუდმივი თეატრისათვის და ამით უკვე საძირკველი ჩაეყარა მუდმივ სცენას, რომელმაც შემოიკრიბა თავის ირგვლივ მოწინავე ახალგაზრდობა. გაჩაღდა მუშაობა, სისტემატიურად მიდიოდა წარმოდგენები და ხალხიც დადიოდა თეატრში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თეატრისათვის ცალკე შენობის აგების იდეა უკვე დიდი ხანია არსებობდა, ხოლო მის განხორციელებას ვერ ეღირსა. არ გამოჩნდა ისეთი ვინმე ამ საქმისათვის ხელმძღვანელობა რომ გაეწია, ამას გარდა მეორე მთავარი მიზეზი იყო თეატრის შენობისათვის ადგილის უქონლობა.

1924 წელს შესდგა თეატრის სამშენებლო კომისია, რომლის განკარგულებაში იყო რამდენიმე ათასი მანეთი. ადგილიც მზად იყო. განზრახული იყო ქვის მოზრდილი შენობის აგება, გეგმაც გამზადდა და კომისია მუშაობას შეუდგა.

ამ დროს ბაღდათს ევლინება ახვლედიანი აღმასკომის თავმჯდომარის სახით, რომელმაც ხსენებული გეგმა ერთის ხელის დაკვრით დაამსხვრია. მუჰამედივით დაგვპირდა სამოთხეს და თეატრის აშენებას ხეივნებით, ძეგლებით, შადრევნებით და სხვა. მას შემდეგ ორმა წელმა განვლო; დღევანდელი სურათი კი ასეთია: ახვლედიანმა არამც თუ ააშენა თეატრი, არამედ ძველი ჩვენ მიერ დაქირავებული სახლი სადაც წარმოდგენები იმართებოდა, ჩამოგვართვა და გადასცა პატრონს, ინვენტარი კერძო ბინაზე იქნა მოთავსებული. ჩვენი ამდენი ხნის ნაშრომი მუდმივი სცენა, აღიგავა პირისაგან ბაღდათის ცხოვრებისა.

ამჟამად თვით დაინტერესებულ ამხანაგებისაგან შესდგა სახალხო სახლის საამშენებლო საზოგადოება, სადაც შედის წარმომადგენლები ყველა დაწესებულებებიდან. შემდგარია ექვსთვიანი სამუშაო გეგმა, საშუალებებიც მოიპოვება. ადგილს რაც შეეხება, ამორჩეული იყო განსაკუთრებული კომისია საბჭოს მიერ, რომელმაც მოიწონა ყიფიანის, ენდელაძის და არჩვაძის ნაკვეთ ადგილი (კუთხე ქუთაის-ორპირის ქუჩების სამხ.) თანახმად იმავე საბჭოს დადგენილებისა და მოთხოვნილებისა და მიწათმოქმედების კომისარიატის დასტურისა ჩამოერთვათ. ხსენებულ მეპატრონეებს საბჭოს მიერ ამორჩეული ადგილი სახალხო სახლის საჭიროებისათვის.

ახვლედიანმა დღემდი კიდევ არ ჩააბარა ადგილი კომისიას ოფიციალურად, რაც ხელს უშლის კომისიის საამშენებლო მუშაობას.

გერ—მან.

მასწავლებელი სოფლად

(წერილი დუშეთის მ.)

სოფლის მასწავლებლის მუშაობა არ განისაზღვრება მხოლოდ სკოლაში მეცადინეობით. იშვიათია ისეთი საზოგადოებრივი საქმე, რომელშიც მასწავლებელი არ იღებდეს მონაწილეობას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი დილით-საღამომდისინ თავ-აუღებლივ მუშაობს საზოგადოებრივ და სასკოლო საქმეზე. ის ჩაბმულია არამც თუ მარტო სასკოლო და საზოგადოებრივ მუშაობაში, არამედ ხშირად ემსახურება გლეხის ცალკე ოჯახსაც-კი: უწერავს მათ საქმიან ქაღალდებს. ზოგჯერ მასწავლებელს საზოგადოებრივ მუშაობის დროს კერძო პირისაგან წილად ხვდება შეურაცყოფა; (სამდურავის, მუქარის და გინების სახით.) მაგრამ მასწავლებელი ამას ყოველივეს ითმენს და იგი ენერგიულად განაგრძობს მუშაობას.

რა პირობებში უხდება სოფლის მასწავლებელს მუშაობა? ბევრ სოფელში სკოლის შენობა ნახევრად დანგრეულია და მასწავლებლის საცხოვრებელი ბინაც სანიტარულ-ჰიგიენურ თვალსაზრისით უვარგისია. მასწავლებელს თავის ოჯახით უხდება ერთ-პატარა ოთახში ცხოვრება რომელიც ამავე დროს სამზარეულოსაც წარმოადგენს. ბევრგან სკოლები ინვენტარის მხრივ ძალიან ღარიბია. ყველა ამაზე მასწავლებლის მიერ იწერება განცხადება—განცხადებაზე, მაგრამ ამაოდ; ყურადღება იშვიათად თუ ექცევა მის განცხადებებს.

სოფლის მასწავლებლის ეკონომიური მდგომარეობაც არ არის სახარბიელო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სოფლის მასწავლებლობა მხნეთ და ენერგიულად განაგრძობს მასზე დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას, იმ იმედით, რომ მშრომელთა ხელისუფლება ყოველივე ღონისძიებას იხმარს განახორციელოს ჩვენი დიდი ბელადის „ილიჩის" ანდერძი, სახალხო მასწავლებლების შესახებ.

მასწავლებელი ნიკოლოზ ღარიბაშვილი.

სამი ქურდობა ერთ ღამეს

ჩვენს თემში გახშირდა ქურდობა. ამას წინათ გიგა ყავრიშვილს თავის გომიდან მოპარეს ერთი ხარი. ამავე ღამეს შვიდი შეიარაღებული ბოროტმოქმედი სახლში მიუცვივდა კაკაბელ გლეხს ლადო მეურმიშვილს და დაუწყეს კარებს მტვრევა. მოითხოვდნენ ფულს. ლადო მეურმიშვილის ცოლი სახლის სახურავზე ავიდა და დაიწყო წივილ-კივილი, რომ ყაჩაღები დაგვეცნენ—გვიშველეთო. შეიყარა მრავალი გლეხები. ბოროტმოქმედნი მიიმალენ და მეურმიშვილი გადარჩა გაძარცვას.

ამავე ღამეს იოსებ ჯილაურს სახლის სახურავიდან მოპარეს ერთი გოდორი ყურძენი. ქურდები მასურაშვილები შეიპყრეს.

ამის გამო მოწვეული იყო სათემო საბჭოს კრება. მოხსენება გააკეთა აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. ვანო ლოლაძემ. მან აღნიშნა, რომ სამილიციო ნაწილის სიშორის გამო თემს ყოველთვის მოელის ქურდ-ბაცაცებისაგან საშიშროებაო. კაკაბეთში არის დაწესებულებები. ბანკი, კოოპერატივი და სხვა, რომელიც საჭიროებს დაცვას.

თემის საბჭომ ერთხმად დაადგინა ეთხოვოს მაზრას სამილიციო პოსტი დაახლოებულ იქნას კაკაბეთთან.

გ. თამაზაშვილი.

კოოპერატივის მუშაობა გამოკეთდა

სოფელ იყალთოს მომხმარებელი კოოპერატივი ემსახურება, როგორც იყალთოს თემს, აგრეთვე ზემო ხოდაშნის თემს. 1925 წლის დასაწყისამდი კოოპერატივის გამგეობას ისე ცუდათ მიჰყავდა საქმე, რომ ვალის მეტი არა ჰქონდათ რა და ოცდახუთი წევრი ძლივს მოუძებნებოდათ. შემდეგ კინაღამ დაკეტვაზედ მიდგა საქმე, მაგრამ მაზრის და ადგილობრივ მუშაკებმა გლეხობის დახმარებით კარგ შედეგებს მიაღწიეს.

ეხლა კოოპერატივს თავის დროზე მოაქვს შესაფერი საჭირო საქონელი. იმის გამო, რომ გამგეობა საქონელზე მცირე პროცენტებს ადებს, გლეხობა ხალისით ყიდულობს საქონელს. ბრუნვა საქონლისა გაიზარდა. კოოპერატივს ჰყავს 800 წევრი და გლეხობა თავისი შენატანით, ნებაყოფლობით ავსებს საპაიო გადასახადს.

წინეთ თუ მხოლოდ ვალები ჰქონდა იყალთოს მომხმარებელ კოოპერატივს, ეხლა მოგება აქვს კოოპერატივის გამგეობამ მიიღო ზომები იმ მოვალეების წინააღმდეგ, ვისაც გატანილი ჰქონდა საქონელი ნისიად. ეხლა ეს უკმაყოფილო ვაჟბატონები ხშირად ავრცელებენ ხმებს კოოპერატივის არასწორ მოქმედებაზე.

იყალთოელი

წითელი კუთხის მუშაობა

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

გიორგიწმინდაში არსებობს ოთხწლიანი შრ. სკოლა, სადაც მეცადინეობა სწარმოებს 2-3 ჯგუფად. შენობა შესდგება ორი საკლასო და ერთიც პატარა სამასწავლებლო ოთახისაგან. სოფელმა რამოდენიმეჯერ განიზრახა სკოლის შენობის აგება, მოიტანეს კიდეც ნაწილობრივ საგები მასალა, მაგრამ რადგან ხელმძღვანელი არ იყო ყოველივე საქმე იფუშებოდა. მოგროვილი მასალა იფანტებოდა და იკარგებოდა. დღეს ამოდენა სოფელს არა აქვს ერთი ოთახი, რომ შეიკრიბონ და თავიანთ ჭირ-ვარამზე ერთად იმსჯელონ.

არსებობდა აქ კოხ-სამკითხველო, მაგრამ უკვე ორი წელია, რაც მიიკეტა უსახსრობის გამო. დარჩა მთელი გიორგიწმინდა წითელი კუთხის ანაბარა. ისიც უბინობის გამო მოთავსებული იქნა საკლასო ოთახის ერთ კუთხეში. ამ ხაზებულს კი წითელი კუთხის მუშაობა შკაფში დაკეტილი წიგნებით ამოიწურებოდა. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მოწვეულ იქნა ადგ. მასწავლებელთა, კომ-კავშირელთა და უპარტიო გლეხების გაერთიანებული კრება, სადაც დასმული იქნა საკითხი წითელი კუთხის ამუშავებისა და ბინის გამონახვის შესახებ.

საკითხი გადაწყდა დადებითად. ამორჩეულ იქნა წითელი კუთხის საბჭო და ჩამოყალიბდა სხვადასხვა წრეები, მაგრამ წრეების მუშაობას ხელს უშლიდა იგივე უბინობა. რაი-პოლიტგანმა საგარეჯოს აღმასკომის საშუალებით ბინაც გამონახა. უკანასკნელმა უფასოდ გადასცა გიორგიწმინდის სკოლასთან მდებარე ფიცრული დარაბა, მაგრამ წითელი კუთხის საბჭო ეხლა ამ დარაბით აღარ კმაყოფილდებოდა. მან მოიწვია გაფართოებული კრება, სადაც გადაწყდა გადმოცემულ ფიცრულ დარაბის კლუბად გადაკეთება. ეს კი საშუალებას შექმნის წითელი კუთხის მუშაობის გასაფართოებლად, კრებებისა და მოხსენებების მოსაწყობად.

ამ საქმის განხორციელება თავის იდვა გლეხობამ. შრომა დანაწილდა. ზოგმა იკისრა ქვის მოტანა, ზოგმა ხე-ტყის მასალის ჩამოტანა, ქვიშის დაგროვება, სამუშაო ხელის დახმარება და სხვა.

ალ. ბედიაშვილი.

მუშათა ცხოვრება

დაუდევრობის ბრალია

რკინისგზის მთავარი სახელოსნო, რომ ერთ დიდ საწარმოო დარგთაგანს წარმოადგენს, ეს ყველასათვის უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ რომ იგი მეტი ყურადღების ღირსია ესეც ფაქტია.

21 დეკემბერს მამოძრავებელ მანქანას გაუფუჭდა პორშენი. მანქანა დადგა. მას მოჰყვა რამოდენიმე საამქროს შეჩერებაც. სახარატო საამქროს ეს მანქანა ამოძრავებს, მასზევე არის დამოკიდებული სამჭედლო, საქვაბო და ამწყობთა საამქროები.

პორშენი შეაკეთეს, გაუშვეს მანქანა, ახლა კი პორშენმა ცილინდრიც გახეთქა და თითონაც ნაცარ-ტუტათ იქცა. ასე რომ ხუთმა დღემ უნაყოფოდ ჩაიარა. რამოდენიმე ასეული მუშა საშუალო ხელფასს იღებენ და ვერაფერს ვერ აკეთებენ. ნეტავი ვიცოდე, ნუ თუ ასეთ მამოძრავებელ მანქანას არ უნდა ქონდეს ყველა ნაწილები თადარიგში. უბრალო ზინგერის ხელის მანქანებსაც კი აქვს ყველა ნაწილები, და მანქანა, რომელსაც თითქმის რუსეთშიაც არა აქვს ბადალი, არ უნდა ჰქონდეს სათადარიგო ნაწილები.

მალე ზაჰესი ამუშავდება და მანქანა საჭირო აღარ იქნებაო, ასე ოცნებობენ ზოგიერთი ჩვენი სპეცები. ეხლა ზაჰესი ორ თვესაც არ იქნება, მანამდე რას უშვებით ან მანქანას, ან იმ ასეულ მუშებს, რომელნიც ამ მანქანის შემწეობით არიან.

ეს მძიმე საკითხია და უნდა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

№ 54.

ტრამვაის მოძრაობა უნდა მოწესრიგდეს

დიდი ვაი-ვაგლახით როგორც იქნა შევძელით ადგილის შოვნა ტრამვაის რონოდაზე.

— რა საშინელებაა—გამოელაპარაკა ერთი უცნობი მოქალაქე, მოსკოვი თბილისზე დიდი ქალაქია, მაგრამ რონოდაზე ადგილის შოვნა ისე არ ჭირს, როგორც თბილისში.

— მერე და რატომ ხდება ეს—შევეკითხე მე.

— იმიტომ რომ პირველად ყოვლისა ცოტა რონოდები მოძრაობენ თბილისის ქუჩებში. მეორე ის, რომ რონოდების მოძრაობა ვერ არის მოწესრიგებული. მაგალითად თუ დააკვირდებით ხშირად არის ასეთი შემთხვევა: ერთი საათის განმავლობაში ერთი მიმართულებით მიდიინება ტრამვაის რონოდები, ამასობაში მეორე მიმართულებით სრულებით შეწყვეტილია მოძრაობა. ამ დროს მეორე მხარეს აუარებელი ხალხი იყრის თავს და ამიტომ არის რომ რონოდაზე ადგილის შოვნა დიდ აურზაურს იწვევს.

ტრამვაის რონოდების მოძრაობა უნდა მოწესრიგდეს. როგორც ერთი მიმართულებით, ისე მეორეთი, თანაბრად უნდა მოძრაობდეს რონოდები.

ამ შემთხვევაში თუ მთლად არა. 50 პროცენტით მაინც გაუმჯობესდება ტრამვაის მოძრაობა.

ალ. გვ—ძე.

ავზოლოგა

(სარონოდო ფარეხი)

თბილისის სარონოდოების ფარეხში დიდძალი ხალხი მუშაობს. საყვირის დროს სატაბელო დაფასთან დიდი უწესობა ხდება, რადგანაც ყველა ცდილობს ადრე მოხსნას თავიანთი მარკა და ამ მიზნით განსაზღვრულ დროის ადრე ანებებენ საქმეს თავს და გარბიან სატაბელო დაფისაკენ. ამ ნიადაგზე ერთი წივილ-კივილია, ლანძღვა-გინება და ხანდახან მუშტის ტრიალიც. ყოველივე ამისთანა უწესოების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ერთი სატაბელო დაფის მაგიერ გაკეთდეს 2-3 სატაბლო დაფა. რაც ხელს შეუწყობს წარმოებასაც, რადგანაც ყველა მუშა საყვირის შემდეგ მშვიდობიანად ჩამოიღებს თავის მარკას. აქ უნდა ითქვას, რომ წარმოებას ათასჯერ უფრო ნაკლები დაუჯდება 2-3 დაფების გაკეთება, ვიდრე მუშების უდროვოდ საქმიანობიდან თავის განებება.

მუშკორი ძია ლევან.

რკ. გზ. სანიტგანათლების აუდიტორიაში

ლენინის უბანში — საბჭოს ქუჩაზე იმყოფება რკინისგზელების სანიტარული განათლების აუდიტორია. აქ ხშირად იმართება როგორც ლექციები, აგრეთვე ინსცენიროვკები. პიესებიც იდგმება.

ყველა ამათ დიდი მნიშვნელობა აქვთ მუშათა მასისათვის განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

22 დეკემბერს რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილებამ მოაწყო აქ მორიგი წარმოდგენა.

პიესაში მონაწილეობას ღებულობდენ ძმახორბნი ალ. ლოლუას ხელმძღვანელობით, რომლებიც უკვე მუშაობენ რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილებასთან.

პირველად წარმოდგენილ იქნა „უვიცობის მსხვერპლი" — დრამა 2 მოქმ., ამ პიესაში გამოიხატებოდა ის, თუ რა შედეგი მოაქვს ადამიანისათვის ვენერიულ ავადმყოფობას, თუ კი მან დროზე ექიმს არ მიმართა საშველად.

მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა „ლოთი ძია" კომ. 2 მოქმ. ამ პიესაში გამოიხატებოდა ლოთობა, როგორც გადამდები სენი შთამომავლობაზე.

ბოლოს ნაჩვენები იქნა მუსიკალური ხუმრობა. ესეც სანიტ - პროპაგანდის ხასიათისა იყო.

პიესები კარგად ჩატარდა. მონაწილენი კარგად ასრულებდენ თავიანთ როლებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ თავიანთი კობტა თამაშით ალექ. ლოლუა, კოლხიძელი და არეთა ლოლუა.

საერთოდ ამ საღამოს წარმოდგენამ მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

საჭიროა ასეთი ხასიათის პიესები დაიდგას პლეხანოვის კლუბშიც. იმედია კლუბის გამგეობა ამაზე უარს არ იტყვის.

მუშკორი—ვ.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა

18 დეკემბერს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ"-ში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200-მდე მუშა. კრებას დაესწრენ აგრეთვე მბეჭდავთა კავშირის ხელმძღვანელნი ამხ. ამხ. ნიკიტინი და ვანცულაია.

დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: ქარხკომის ანგარიში და ახალი კოლხელშეკრულების განხილვა.

ქარხკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქარუმიძემ. კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა ქარხკომის ოთხი თვის მუშაობა.

შემდეგ ამხ. ნიკიტინმა გააცნო მუშებს ახალი კოლხელშეკრულება.

როგორც გამოირკვა ახალ კოლხელშეკრულებაში ძველთან შედარებით შეცვლილია მთავარი მუხლები—მუშების სასარგებლოდ, სახელდობრ: სამუშაო ნორმის დაკლება, განაკვეთის გადიდება, მესამე ხარისხზე (მოწაფეებს) ამუშაო პროცენტის მიცემა ზედმეტ გამომუშავებულ ნორმიდან და სხვა.

ხელშეკრულების განხილვის შემდეგ მუშებმა მრავალი შეკითხვები მისცეს კავშირის თავმჯდომარეს, რომელმაც ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვებს.

ბოლოს საკითხი წამოიჭრა იმის შესახებ. თუ რომელ თვიდან უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში ახალი კოლხელშეკრულება (ძველს ვადა გაუთავდა პირველ ოქტომბერს). ამის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა: ნორმის დაკლება ცხოვრებაში გატარებულ იქნეს პირველ დეკემბრიდან, მხოლოდ განაკვეთის გადიდება გატარდეს პირველ ოქტომბრიდან. საერთო კრებამ მოიწონა ახალი კოლხელშეკრულება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კავშირმა ეს ხელშეკრულება გვიან გამოიმუშავა და დაგვიანებით წარუდგინა ადმინისტრაციას. შეიძლება ადმინისტრაციამ არ მიიღოს ზოგიერთი პუნქტი და არ დაეთანხმოს კრების დადგენილებას ცხოვრებაში გატარებას.

მბეჭდავთა კავშირმა უნდა დაიცვას როგორც ხელშეკრულების ყველა პუნქტები, აგრეთვე საერთო კრების დადგენილებანი, რასაკვირველია, კანონიერ ფარგლებში.

მუშკორი ვანო.

გამოასწორეთ ეს ნაკლი

ყველა მატარებლები სად. თბილისიდან გადის ცხრილის მიხედვით, როგორც სახალხო, ისე საქონლის და საკურსო მატარებლები. როდესაც სადგ. თბილისიდან დაგვიანებით გადის რომელიმე მატარებელი, რასაკვირველია, თბილისში მომავალ მატარებელსაც აგვიანდება, ამის შესახებ ჩვენ რამდენიმე შენიშვნა მოვათავსეთ ჩვენი გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ შენიშვნა შენიშვნათ დარჩა და პასუხი არავის გაუცია. არ ვიცი რას ფიქრობს ა.-კ. რკინის გზის ადმინისტრაცია.

ამ წერილში მე მინდა აღვნიშნო ის, რომ კონდუქტორთა ბრიგადები არ გამოდის თავის დროზე. მოვიყვან ერთ მაგალითს, 10 დეკემბერს ღამით მატარებელ № 331-სათვის გამოიყვანეს ორთქლმავალი ნომერი 51, საღამოს 9 საათზე ეს მატარებელი კი გავიდა სადგურიდან. ღამის 2 საათზე 25 წუთზე ე. ი. დაგვიანებით 4 საათი და 15 წუთი. ამის მიზეზი იყო მემუხრუჭეთა გუნდის უყოლობა, როგორც გამოირკვა ცნობებიდან, ამ მატარებლის გუნდი გაგზავნილი სხვა მატარებლით. ასეთ მოვლენას სისტემატიური ხასიათი აქვს, ამ გარემოებას მოძრაობის დარგის მთავარი განყოფილების უფროსმა უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

საქმის გამოსასწორებლად საჭიროა შემდეგი ზომები: 1) მემუხრუჭეთა გუნდი თავის დროზე გამოდიოდეს და ღებულობდეს მატარებელს, 2) ორთქლმავლები თავის დროზე უნდა გამოდიოდეს საყუდიდან, 3) მატარებელი სწორად და წესიერად უნდა იქნეს შეყენებული, რომ მიღების დროს არ დაჭირდეს რაიმე გადაკეთება ან და რომელიმე რონოდის ახსნა, რაც მუშაობას ძლიერ აფერხებს, 4) წევის დარგის მიერ თავის დროზე უნდა იქნეს შემოწმებული მატარებელი. საღია თუ არა რონოდები და მთელი შემადგენლობა. ყველა ამ პატარა პრაქტიკულ წინადადებებს, თუ თავის დროზე შევასრულებთ, მაშინ შესაძლებელია მატარებლის თავის დროზე გაგზავნა, რაც აცილებს რკინის გზას იმ ზარალს, რომელიც აქვს დღეს.

ი. არუხსპირელი.

მუშების ჯგუფურ დაყოფის შესახებ

მთავარ სახელოსნოში ყველა საამქროებში მოეწყო ჯგუფური მუშაობა. სადურგლო საამქროში ხე-ტყის მხერხავ განყოფილებაში მუშაობს სამი მრგვალი და ორი სწორი ჩარჩოიანი სახერხი მანქანები; მრგვალ ხერხებზე მომუშავენი დაყოფილი არიან ჯგუფებად და მუშაობაც კარგ ნაყოფს იძლევა. რაც შეეხება ჩარჩოიან ხერხებზე, აქ კი არ არის ჯგუფური მუშაობა. ამიტომ ზოგიერთი შემთხვევაში ამ ნიადაგზე ადგილი აქვს უგულო მუშაობას. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ 16 კაცის ორ ჯგუფად დაყოფა უნდა მოხდეს, რაც გამოიწვევს ენერგიულ მუშაობას და წარმოების გაჯანსაღებას. იმედია ამ საქმეს მიექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ლ—ტ—ელი.

მუშათა ქრონიკა

— **მომღერალთა გუნდი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობას განზრახული აქვს კლუბში დაარსოს მომღერალთა გუნდი.

— **ხელმძღვანელის მოწვევა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ უკვე მოიწვია ჭრა-კერვის წრის ხელმძღვანელი და წრე ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას.

— **განჯის საუბნო კომიტეტი** შუამდგომლობს სამმართველოს წინაშე, რათა მან გადადოს 3.000 მანეთი რკინისგზელთა კლუბის საჭიროებისათვის.

— **პროფწრე.** სადგ. მცხეთაში დაარსდა პროფწრე იმ მუშა - მოსამსახურეთათვის, რომელთაც უნდა შეისწავლონ პროფმოძრაობა.

— **კედლის გაზეთი.** როზა ლუქსემბურგის სახ. თუთუნის ქარხნის კულტკომისიამ გამოუშვა კედლის გაზეთის მორიგი ნომერი „წითელი თავსაფარი"-ს სახელწოდებით.

— **კლუბის წევრებად.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ითვლება 1.768 კლუბის წევრი, აქედან მუშებია 368.

როგორ მუშაობდა კოოპერატივი

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის კოოპერატივის მნიშვნელოვან მიღწევად ჩაითვლება ის გარემოება, რომ კოოპერატივმა შესძლო ფასების დაკლების პოლიტიკის სათანადოთ გატარება. 1925 წ. ჩითი მეტრობით ღირდა კოოპერატივში 55 კაპ., ეხლა კი ისეთივე ხარისხის ჩითი იყიდება 43 კაპ., დღეს, კოოპერატივში იყიდება 4 მან. სახურავი ფუთი, რომელიც 1925 წელში 6 მან. ღირდა; დაიკლო აგრეთვე მინების, შაქრის ფასმა.

1925 წ. წმინდა მოგება კოოპერატივს ჰქონდა—26.000 მან. 25 პროც. წელს კი მოგება უდრის 62.500 მან. ე. ი. 23,10 პროცენტს.

კოოპერატივს აქვს შემდეგი საწარმოო ორგანიზაციები: პურის საცხობი ფურნეები, სახარაზოები, სასადილოები, საძეხვე. უკანასკნელი საზარალო აღმოჩნდა; ვერ ამართლებს ხარჯებს აგრეთვე სასადილოც.

პურის მიწოდების საქმე მცხოვრებლებზე 40 პროცენტით კოოპერატივის ხელშია. მოსაზრება იყო პურის მექანიკურად გამოცხობის მოწყობის, მაგრამ ამას ბევრი თანხა უნდა და ამიტომ ჯერ ამაზე ფიქრი ნაადრევათ უნდა ჩაითვალოს.

კოოპერატივს ქონდა აღებული კავზჰირის მჭმული და სარძევე ფერმა რომლებმაც ზარალი დასტოვეს 15.000 მან. და ამის გამო ისინი დაიკეტა. დაიკეტა აგრეთვე რკინის გზის სასადილო, როგორც საზარალო და კოოპერატივისათვის არა ხელსაყრელი. საკუთარი თანხა ქონდა კოოპერატივს—120.000 მან., სესხათ აღებული —322.000 მან.

1925 წლის 1 ოქტ. ჩვენს კოოპერატივს ჰყავდა—7.474 წევრი. 1926 წელს სექტემბერს ქუთაისის კოოპერატივში გაერთიანებულია—8112 წევრი. ქალაქის მოსახლეობიდან კოოპერატივში ჩაბმულია მცხოვრებთა 59 პროც., სოფლად კი 50 პროც. საშუალოდ კოოპერატივში ჩაბმულია მცხოვრებთა 54.5 პროც.

საპაიო თანხა გადახდილი აქვს სრულად (5 მან.)—3231 წევრს, 3 მანეთამდე—1571 და დანარჩენს 3310-მდე წევრს უფრო ნაკლები.

კულტურულ მუშაობის მხრივ სოფლად არაფერი არ გაკეთებულა. ქალაქში თუმცა იყო დაარსებული კოოპერატიული წრე, მაგრამ მუშაობა არ ყოფილა დაყენებული სათანადო ზომაზე და ის თავის თავად გაუქმდა. კოოპერატივს განზრახვა აქვს ეს მუშაობა აწარმოოს პროფკავშირების საშუალებით, რომლისთვისაც კოოპერატივი გადარიცხავს საჭირო თანხას.

დიდი მიღწევები აქვს კოოპერატივს გაფლანგვების მოსპობის საქმეში. 1925 წ. კოოპერატივში ათჯერ მოხდა გაფლანგვა, წელს კი იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა გაფლანგვისა. სადუქნო კომისიები თემებში არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ.

ასეთია მოკლეთ ქუთაისის კოოპერატივის მუშაობის ანგარიში, რომლითაც გამგეობა წარსდგა ამ დღეებში დასრულებულ რწმუნებულთა ყრილობაზე. ორატორებმა მოხსენების გარშემო გამართულ კამათში აღნიშნეს კოოპერატივის სისუსტე მცხოვრებთა ფართო ფენების კოოპერატივის წევრებათ ჩაბმის საქმეში, რისაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ ერთი წლის განმავლობაში კოოპერატივს მხოლოდ 600 წევრი მოემატა.

საპაიო თანხა ნახევარზე ნაკლებია შემოტანილი, რაც მეტად მცირეა. არ არის შემოღებული პრემიალური სისტემა. სუსტი იყო მუშაობა სოფლად: არ იკრიბებოდა წევრთა და ღარიბების გლეხთა კრებები. სრულიად არ კეთდებოდა მოხსენებები კოოპერატივის მუშაობის და მნიშვნელობის შესახებ. არ იყო ცეკავშირის მხრივ სათანადო ხელმძღვანელობა კოოპერატივზე და მათ შორის სათანადო კავშირი და ურთიერთობა. თვითღირებულებაზე — 23,5 პროც. დარიცხვა დიდია. ღარიბებს გლეხთა კოოპერატივის წევრათ ჩაბმის მიზნით აქამდე არავითარი თანხა არ გადაუდვია კოოპერატივს. ყველაზე დიდი დანაშაულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კოოპერატივში წევრებად იყვნენ შეყვანილი ვაჭრები—1000-მდე კაცი, რომლებიც, ვინ იცის, რამდენ ზარალს აძლევდენ კოოპერატივს, წევრობის უფლებების თავიანთი საკუთარი საქმის, გამდიდრების მიზნით გამოყენებით. ამის შესახებ ადგილობრივმა სამაზრკომმა ყრილობის დამთავრებისთანავე მიიღო სათანადო ზომები და ყველა ვაჭრებს ჩამოერთვათ წიგნაკები.

ყრილობას უნდა დასწრებოდა 80 რწმუნებული, ნამდვილად კი დაესწრო 50 კაცი. უმთავრესად კრებაზე არ გამოცხადდნენ ქალაქის მცხოვრებთა რწმუნებულები იმ მიზეზით, რომ მათი რწმუნებულათ არჩევის შემდეგ სხვა ადგილებში გადაიდენ საცხოვრებლად.

მიუხედავად ამ ნაკლულევანებათა, კოოპერატივს აქვს ავტორიტეტი.

საერთოდ იმ მიღწევებთან, რომელიც კოოპერატივს ქონდა ვაჭრობის დარგში, საჭირო იყო ენერგიული, კულტურული, პარტიული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ გვქონოდა დიდი მიღწევები მცხოვრებთა კოოპერატივში ფართოდ ჩაბმის საქმეში.

ნ. ე.

წითელ ჯარში

მ. გ. წითელ არმიის სათადარიგოდ გაშვებულ უფროს შემადგენლობის სამოქალაქო სამსახურში მოწყობის შესახებ

ა.-კ ხალკომ. კომიტეტის დადგენილება

მ. გ. წითელ არმიის სათადარიგოდ გაშვებულ უფროს შემადგენლობის სამოქალაქო სამსახურში მოსაწყობად წარმოებულ კამპანიას პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს.

ამ კამპანიის დაწყების პირველ ხანებშივე გამოირკვა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო სამეურნეო ორგანოები და დაწესებულებები ვერ გრძნობენ ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას და დემობილიზაცია ქმნილ უფროს შემადგენლობის მიღების საკითხს ფორმალურად უდგებიან, ხშირად მათ უდგენენ მეტად დიდ მოთხოვნილებებს და მოითხოვდნენ მაღალი კვალიფიკაციის მუშაკთა ცოდნას.

საქ. კომ. პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტის საკონტროლო კომისია სთვლის ამ მოვლენას ყოვლად დაუშვებლად; სათადარიგოდ გაშვებულ უფროს შემადგენლობის მოწყობის საქმეში ყოველი დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებით მოწყობილია სპეციალური კომისია, რომელსაც ევალება დემობილიზაცია ქმნილ უფროს შემადგენლობის არჩევების განხილვა სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებების მიერ დემობილიზაცია ქმნილ პირთა მიმართ უმართებულო მოქმედების შესახებ. ამასთან ერთად ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას სისტემატიურად თვალყური ადევნოს უფროს შემადგენლობის სამოქალაქო სამსახურში მოწყობას.

—:—

1905—1906 წ. დაბადებულთა სამხედრო მომზადება

თბ. აღმასკომმა და სამხედრო კომისარიატმა 14 დეკემბრის თარიღით გამოსცეს ბრძანება 1905—1906 წ. დაბადებულ ახალგაზრდათა სასწავლო წერტებზე გამოცხადებისა და ვარჯიშობის შესახებ. ამ ბრძანების ძალით აღნიშნულ წელში დაბადებულნი, სწავლის დამთავრებამდე, სამხედრო სწავლა - ვარჯიშობას სწავლობენ სათანადო წერტებზე. ამის გამო განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა ტეხნიკუმების გამგეებს, მიიღოს სათანადო ზომები, რომ 1905—1906 წ. დაბადებულნი მოწაფენი უკლებლივ თავის დროზე ცხადდებოდენ სასწავლო წერტებზე. თბილისში ასეთი წერტები დაარსებულია სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მე-70 შრომის სკოლასთან (ბებუთოვის ქ. №28) და მე-2 საცდელ - საჩვენებელ შრომის სკოლასთან (პლეხანოვის გამზირი № 170).

პროფკავშირებში

ფაბ.-ქარხადგილკომები

პროფკავშირთა საბჭომ წინადადება მისცა ყველა კავშირების ც. გ., ავტონომიური ოლქების პროფსაბჭოებს და სამაზრო პროფბიუროებს დეკემბრის განმავლობაში ჩაატარონ ფაბქარხადგილკომების და სარევიზიო კომისიების ექვსი თვის მუშაობის საანგარიშო კამპანია.

ის ფაბქარხადგილკომები და სარევიზიო კომისიები, რომლების მუშაობა ცნობილი იქნება არადამაკმაყოფილებლად, სუსტად, გადარჩეული იქნებიან.

ყველა ც. გ. და კავშირების სამაზრო განყოფილებებს დაევალა შეადგინონ ორგანიზაციული და კალენდარული გეგმა აღნიშნული კამპანიის ჩასატარებლად.

შუამდგომლობა

კომუნალურ - მეურნეობის კავშირ. ც. გ. აძრა შუამდგომლობა საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა ხელმეორეთ იქნეს გარჩეული ნებართვა მუშათა რაიონების საპარიკმახეროებში კვირა დღეობით მუშაობის შესახებ.

—:—

თელავის სამაზრო პროფბიუროს განზრახული აქვს მოიწვიოს პროფბიუროს და სასოფლო გაერთიანებული კონფერენცია 1927 წ. 15 თებერვალს.

—:—

ტყვარჩელის ქვანახშირის გარშემო მუშაობის დასამთავრებლად, აფხაზეთის ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო გამონახულ იქნეს კრედიტი შემდეგი საჭიროებისათვის: 37.000 მან. ტრანსპორტის, გამოკლებისა და სხვ. საჭიროებათათვის; 34.000 მან. რკინისგზის და ნავთსადგურის გამოკვლევათათვის; 20.000 მან. ჰიდრო - ელექტრონულ გამოკვლევისათვის; 150.000 მან. გუპ-ტყვარჩელის გზის გასაყვანად სულ — 241.000 მან.

—:—

ტყვარჩელის საქმის წარმატების მიზნით საჭიროდ იქნა ცნობილი დაარსდეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ტყვარჩელის კომიტეტი, აგრეთვე მოწვეულ უნდა იქნეს სპეციალური თათბირი ს. ს. რ. კ. ს. მ. უ. საბჭოსთან საქ., აფხაზეთის გეოლოგიურ კომიტეტის, „იუვოსტალის" და სხვ. მონაწილეობით.

ბორჯომიდან

19 დეკემბერს მოხდა აღმშენებელთა კავშირის ბორჯომის სამაზრო განყოფილების კავშირის წევრთა საერთო საქალაქო კრება.

დღის წესრიგში იდგა: 1) სამაზრო განყოფილების საანგარიშო მოხსენება, 2) ახალი გამგეობის არჩევნები. საერთო კრებამ მოისმინა კავშირის თავმჯდომარის ამხ. რაზმაძის მოხსენება კავშირის მუშაობაზე. როგორც მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, კავშირის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე მდგარა და ბევრი რამ ჰქონია გაკეთებული, როგორც საორგანიზაციო დარგში, აგრეთვე სატარიფო-საკონფლიქტო, შრომის დაცვის კულტურულ და სხვა დარგებში. გამგეობის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

შემდეგ მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ბარილი.

ექიმთა საზოგადოების

30 წლის იუბილე

26 დეკემბერს ბათომში ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების არსებობის 30 წლის შესრულების გამო საბჭოთა კლუბში შესდგა საზეიმო სხდომა. სხდომა გახსნა საზოგადოების უხუცესმა წევრმა ექ. ტ. ფინსტერმა. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. სურმანიძემ, აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. კონცელიძემ, მედსანშრომის კავშირის მდივანმა ამხ. ხუნდაძემ და სხ. შემდეგ წაკითხულ იქნა მოხსენებები: ექ. ფინსტერის მიერ — ექიმთა საზოგადოების 30 წლის მუშაობის შესახებ, ექ. ფროლოვის მიერ — თანამედროვე ქირურგიის მიღწევების შესახებ, ექიმ სისშვილის მიერ — ფიზკულტურის მნიშვნელობის შესახებ პლექის მკურნალობის დროს, და ექიმ ბითანელის მიერ—სამალარიო სექციის მუშაობის შესახებ.

სესხები

ამიერ - კავკასიის ფინსახკომმა ბაქოდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ ბაქოში უკვე გაყიდულია პირველი მომგებიანი სესხის ყველა ობლიგაციები და მოითხოვენ დამატებით გაგზავნილ იქნეს კიდევ 200.000 მანეთის ობლიგაციები.

ამიერ - კავკასიის ფინსახკომი საქართველოს ფინსახკომთან ერთად აწყობს პირველი სახელმწიფო მომგებიანი სესხის და მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების გაყიდვას ნაძალადევში, ავლაბარში, სადგურის რაიონში და სხვა ადგილებში, რომლებსაც ვერ ემსახურება მომქმედი საკრედიტო დაწესებულებები.

ამასთანავე ობლიგაციების გაყიდვა იწარმოებს კინოებში, თეატრების ფოიეში, მსხვილ კოოპერატივებში და სხვაგან.

ზაჰესი

ამ რამოდენიმე დღის წინათ დაიწყო ფაქტიური მუშაობა ზაჰესის ასამუშავებლად. ამ მიზნით მთავარ საგუბარში შეშვებული იქნა წყალი, რის გამოც მტკვარში ის სამი დღეა, წყლის დონემ შესამჩნევად დაიკლო.

დღეს წყალი გადაშვებულ იქნება საგუბარიდან მთავარ არხში, სადაც წყლის დონე თანდათანობით ამაღლდება. 4 იანვარს დაიწყება 1-ლი ტურბინის ამუშავება. ტურბინის ცარიელი მუშაობა ნაწილების გამოსაშრობად გასტანს რამოდენიმე დღე. შემდეგ ამუშავდება რიგრიგობით დანარჩენი ტურბინები.

დაახლოვებით იანვრის შუა რიცხვებისათვის აამუშავებენ გენერატორებსაც და ენერგია გაშვებულ იქნება ტრანსფორმატორებში. ზაჰესის ოფიციალური გახსნა, როგორც ჩვენს გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, განზრახულია 25 თებერვალს.

ექსპორტი

დეკემბრის პირველ ნახევარში ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გატანილი იქნა: დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში — 61,033 ტონა სხვადასხვა საქონელი 2,832,000 მანეთის ღირებული, აღმოსავლეთის ქვეყნებში გატანილია: სპარსეთში — 5,974 ტონა საქონელი, ღირებული 2,383,000 მანეთად, აქედან გატანილია შაქარი 740,000 მანეთის, ნავთის პროდუქტები — 422.000 მანეთის, მანუფაქტურა — 638,000 მანეთის, კერამიკული ნივთები — 138,000 მანეთის.

შრომის დაცვა

შრომის სახ. კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო თამბაქოს, საფეიქრო. საპნის და ზეთის სახელ ტრესტებთან. ხელშეკრულების ძალით თბილისისა და ქუთაისის ტრესტების ქარხნებში მოხდება შენობების გაფართოება, დამხმარე სახელოსნოების მოწყობა, მექანიკური მუშაობის მოწესრიგება და ახალი ქარხნების აგება.

ბარიტი

სამთო - ქიმიურ ლაბორატორიაში ჩამოიტანეს ლეჩხუმიდან ბარიტის ნიმუშები გამოსაკვლევად და საანალიზოთ.

ცდებმა გამოარკვია, რომ ბარიტის მადანი ადვილათ იწმინდება რკინისაგან გოგირდის სიმჟავით. სანიმუშოთ გაწმენდილმა ბარიტმა მიიღო ხალასი თეთრი ფერი, რაც ერთი ორად გაადიდებს მასზე მოთხოვნილებას და ფასს.

ჩვენებური ბარიტი გაქვთ უმთავრესად მოსკოვში, ლენინგრადში (ლაკოკრასკას და ანილტრესტს), ხარკოვში, ოდესაში და სალებავების წარმოების სხვა რაიონებში.

მზადება

საბჭოთა არჩევნებისათვის

საქართველოს ცაკთან არსებული ცენტრალური საარჩევნო კომისია — 21 კაცის შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. კომისიაში შედიან საქართველოს ცაკის მდივანი ამხ. თოდრია (კომისიის თავმჯდომარე), აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების, პროფსაბჭოს, კომკავშირის საქ. კომპარტიის ცეკას ქალთა განყოფილების წარმომადგენელნი, წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული მუშების და სოფლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებული გლეხების წარმომადგენელნი. უკვე დამუშავებულია და ადგილებს ეგზავნებათ ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო მასალები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საანგარიშო მოხსენებების შედგენას სათემო საბჭოების მოქმედებათა შესახებ.

არჩევნები დაიწყება 25 იანვრიდან და გაგრძელდება 25 თებერვლამდე.

„სოფლის კავშირი"-ს

დამფუძნებელი კრება

29 დეკემბერს, დილის სხდომაზე განხილულ და დამტკიცებული იქნა „სოფლის კავშირი"-ს წესდება.

საღამოს სხდომაზე მოხდა „სოფლის კავშირი"-ს მმართველი ორგანოების არჩევნები.

გამგეობა

„სოფლის კავშირი"-ს გამგეობაში არჩეული იქნენ: აქტიურ წევრებად — ამხ. კაკაბაძე, ბუაჩიძე და ზესელიძე, ხოლო პასიურ წევრებად—ამხ. კალატოზოვი (სასოფლო - სამეურნეო ბანკიდან), ამხ. გონაშვილი („მწყემსი"-დან) და ამხ. ელისაბედაშვილი („საქართველოს ღვინო"-დან).

გამგეობის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქნა ამხ. კაკაბაძე.

საბჭო

საბჭოში არჩეული იქნენ: ამხ. შ. ელიავა, ჩხენკელი, გეგეჭკორი, ვარამაშვილი, კუხალეიშვილი, ალიბეგ - ზადე, ასრატიანი, მუსტაფა ჩახვაძე, ბერულავა, კვინიკაძე, გიგინეიშვილი, წეწხლაძე ილიკო, ლადო სუხიშვილი, საკავშირო კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილების მმართველი, თოდრია; ერქომაიშვილი ვარლამ; ტოროშელიძე; ნიშნიანიძე; მოლააბასი; კეჩხუაშვილი; ქუთათელაძე და ხაჩიძე.

საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქნა ამხ. შ. ელიავა, მოადგილეთ — ამხ. ჩხენკელი.

სარევიზიო კომისია

სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან ამხ. ძამანაშვილი, მენაბდე (სასოფლო - სამეურნეო ბანკიდან) და დუმბაძე რაჟდენ (ქალაქის ბანკიდან).

კანდიდატათ არჩეულია ამხ. ჩიღურიშვილი.

„საქართ. მარგანეცი"

საკონცესიო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი" სოფ. პერევისისა და შუქრუთის მაღაროების მიდამოებში შეუდგა ორი ჩამოსაშვები კანატის მოწყობას. მაღაროებიდან შავი ქვის მადნების ჩამოსატვირთავად. მუშაობა კანატის გასაშენებლად დამთავრდება დეკემბრის დამლევისათვის. საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს გამოსცვალოს სხვა მაღაროებში ძველი კანატები და მოაწყოს ახალ დანარჩენ მაღაროებში, სადაც არ არის ასეთი ჩამოსაზიდი კანატები.

საზ-ბამ ფოთის ნავთსადგურში მოაწყო ახალი ელევატორი.

კანაფი

ა.-კავკასიაში კანაფი საცდელად პირველად დაითესა 1925 წელს. ამ წელს სულ დათესილი იყო დასავლეთ საქართველოში 5 დესეტინა. ცდამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო ამ 5 დესეტინაზე მოყვანილ კანაფიდან მიღებულ იქნა საუკეთესო ღირსების ნახევრად ფაბრიკატი, რომელიც არ ჩამოუვარდება თურქესტანისა და სპარსული კანაფის ნაწარმოებს. ჩვენებური კანაფის მეტად მაღალი ღირსება და ნაკლები თვითღირებულება, (რომელიც უცხოეთისაზე გაცილებით ნაკლებია) დიდ პერსპექტივებს ჰქმნის ჩვენში კანაფის განვითარებისთვის. ცდის წარმატებით დამთავრების შემდეგ გაშენებულ იქნა კანაფის რამოდენიმე პლანტაცია. 1926 წელს საქართველოსა და აზერბეიჯანში დაითესა 430 დესეტინა.

სასოფლო მეურნეობის დარგებს შორის გლეხობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია კანაფის კულტურა; კანაფით დათესილი ყოველი დესეტინის საერთო შემოსავალი უდრის 400 მანეთს, თვითეული დესეტინა იძლევა 80-90 ფუთს. კანაფის მომგებიანობა ისე თვალსაჩინოა, რომ მის გაშენებას გლეხობა ხალისით ეკიდება. შედარებით მძიმე საქმეს წარმოადგენს კანაფით დათესილი ყანების დამუშავება და მოვლა. კანაფის დამუშავების წესების სირთულის განსამარტივებლად და გასაადვილებლად საზ. „კანაფს" გამომუშავებული აქვს გეგმა, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია სხვადასხვა მანქანების გამოყენება კანაფის დამუშავებისა და მოწევის დარგში.

ამჟამად საბჭოთა საფეიქრო მრეწველობა საჭიროებს დიდძალ ნედლეულს, კერძოთ კანაფის მასალას. კანაფის ნედლეულით საბჭოთა საფეიქრო ქარხნების უზრუნველყოფის მიზნით მომავალი წლიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანაფის გაშენებას. 1927 წელს საქართველოში დათესილი იქნება სულ 2.500 დესეტინა.

ვაკე-ქალაქი

რამოდენიმე დღის წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა ვაკის დაგეგმვის შესახებ იმ პროექტის მიხედვით, რომელიც შედგენილი აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუროთმოძღვრების დარგის სტუდენტს არჩილ ქურდიანს.

ამ გეგმით ვაკეზე გაშენებული ქალაქი მიიღებს შემდეგ სახეს:

წყნეთის ქუჩის დასასრულიდან გაყვანილი იქნება ვაკის რაიონის მთავარი მაგისტრალურ ქუჩა ე. წ. უნივერსიტეტის პროსპექტი, რომელსაც მთელს სიგრძეზე ექნება 20 საჟენი სიგანე დანარჩენ ქუჩებს ექნებათ 8-10 საჟენი განი. ვაკეს მაღლობ ადგილებზე გაშენებული იქნება ტყე. მთელი დაბლობის ორი მეათედს დაიჭერს ბაღ-ხეივნები. ცალკე გამოყოფილია მიწის ნაკვეთი საბავშვო. ფიზკულტურის მოედნების, ბაზრის, კინოს, თეატრის, კლუბების, სასწავლებლების ასაშენებლად და მოსაწყობად; ქარებისაგან დაცულ ადგილზე აგებული იქნება სავადმყოფოს შენობა. საერთოდ ვაკეზე გაშენებულ ქალაქის ქარებისაგან დაცვის მიზნით ქუჩები გაყვანილი იქნება კონცენტრიულად, რაც შეასუსტებს და შეანელებს ქარების მოწოლას ყოველი მხრიდან. ყოველ კვარტალზე გაშენებული იქნება ბაღები და ხეივნები. ცენტრალური ბაღი გაშენებული იქნება იქ, სადაც ეხლა აგურის ქარხნებია.

პროექტის მიხედვით ვაკე იქნება თბილისის ულამაზესი უბანი, რომელიც გაშენდება საქალაქო კეთილმოწყობის უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით.

სახელმწიფო ვაჭრობა

მუშაობის გამოსაკვლევად

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ თავის განყოფილებათა მუშაობის გამოსაკვლევათ მიავლინა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ამირაგოვი. იანვრის შუა რიცხვებამდე მას დავალებული აქვს აწარმოოს გამოკვლევა მოსკოვის, ხარკოვის, როსტოვისა და ბაქოს განყოფილებათა მუშაობისა.

ღვინო

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ ამ დღეებში რუსეთის განყოფილებებში გადაგზავნა 5.000 ვედრო ძველი და 15.000 ვედრო ახალი ღვინო. მიღებული ცნობებით, ღვინის რეალიზაცია რუსეთში წარმატებით მიმდინარეობს.

ვაშლი

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ ამ დღეებში გადაგზავნა თავის განყოფილებებში მოსკოვსა, ხარკოვსა და ბაქოში 10.000 ფუთი ვაშლი.

კაკლის დამზადება

საქართველოს სახელ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ დაასრულა კაკლის დამზადება საქართველოს სხვადასხვა მაზრებში. მიმდინარე სეზონში დამზადდა 25.000 ფუთი კაკალი.

ჰარიმანი თბილისში

29 დეკემბერს დილის 10 საათზე მოქ. ჰარიმანი მიიღო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ.

საუბარი გაგრძელდა სამ საათს და შეეხებოდა საკონცესიო ხელშეკრულების განხორციელების საკითხებს.

საუბარში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მგალობლიშვილმა. (ადს).

„ზაკგოსტორგის"

გამოკვლევა

ა. კ. მ. გ. ინსპექციის გეგმის გარეშე კომისიამ ჩაატარა ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის—„ზაკგოსტორგის" გამოკვლევა, რომელიც შეეხო მთელ მის საქმიანობას, როგორც ცენტრში, ისე სომხეთსა და აზერბეიჯანში. გამოკვლევის შემდეგ ინსპექციამ საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებების გატარება: რაციონალიური ზომების გამომუშავება აპარატის შემდეგი გასამარტივებლად, აპარატის შენახვის ხარჯების შესამცირებლად და, ხარჯთ-აღრიცხვების უფრო სწორად შესადგენად. გარდა ამისა, ინსპექცია საჭიროდ სცნობს, რომ კალენდარულ თვალყურის დევნება ანგარიშგების შედგენაზე დანიშნულ დროისათვის; გადაჭრილ უნდა იქნეს აგრეთვე სპეც-განაკვეთების, რომელიც უნდა შეუფარდდეს ლიმიტით დაწესებულ სპეცფონდს. ინსპექციის გამოკვლევის დასკვნით, „ზაკგოსტორგის" ბუღალტერიის მუშაობას აბრკოლებს კავშირის უქონლობა სხვა ქალაქებში არსებულ განყოფილებებისა, წარმომადგენლობასა და აგრეთვე საფინანსო-საანგარიშო განყოფილებასთან. გამოკვლევით დადასტურებულია აგრეთვე ის გარემოება, რომ „ზაკგოსტორგის" თანხები დაბანდებულია ძნელად გასაღებელ საექსპორტო და საიმპორტო საქონელში. გაჩერებული საქონლის ღირებულება შეადგენს ძირითად კაპიტალის 12 პროცენტს, ხოლო კაპიტალის მოძრავი ნაწილის 18 პროცენტს. „ზაკგოსტორგის" საიმპორტო გეგმის განხილვის შემდეგ ინსპექციის მიერ საპაიო ამხანაგობას წინადადება მიეცა უფრო დაწვრილებით შეისწავლოს ამიერ-კავკასიის ბაზრის მოთხოვნილება და თავისი საიმპორტო გეგმა გამოიმუშაოს წარსული წლების გამოცდილების მიხედვით. ასეთი დავალებები მიეცა მას საექსპორტო ვაჭრობის დარგში. საექსპორტო საქონლის დამზადების დარგში ინსპექცია საჭიროდ სცნობს „ზაკგოსტორგმა" გვერდი აუხვიოს კერძო ვაჭარ-შუამავლებს და შესყიდვა აწარმოოს უშუალოდ თვით მწარმოებლებისაგან თავისი აგენტურის და სახელმწიფო კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით.

აბრეშუმის ქარხანა

გურიაში

გურიიდან თბილისში დაბრუნდა ამას წინეთ გაგზავნილი სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამოერჩია ადგილი გურიაში აბრეშუმის ქარხნის ასაგებათ.

კომისიამ მიიღო დადგენილება ახალი ქარხანა გაიხსნას ქალ. ოზურგეთში. ამ მიზნით გადაწყვეტილია ოზურგეთში უკვე არსებული ქარხნის გაფართოება 72 აბრეშუმის სართავი მანქანით, არსებულ შენობასთან ახალი დიდი კორპუსის აშენება და არსებული შენობის გაფართოება.

ს. მ. უ. ს. სატეხნიკო განყოფილებას დავალებული აქვს სასწრაფო წესით შეუდგეს ოზურგეთში ქარხნის აგებას.

მრეწველობა

სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს სამხრეთ ოსეთში ადგილობრივი მრეწველობის განსავითარებლად. ოსეთის ს. მ. უ. საბჭომ უკვე მოაწყო გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა და ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც სავსებით დატვირთული არიან შეკვეთებით, როგორც ადგილობრივი დაწესებულებებიდან, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან. ყველა შეკვეთების დაკმაყოფილების საშუალება სამხრეთ ოსეთის ახალ წარმოებებს არ შეუძლიათ ტეხნიკური პირობების და თანხების სიმცირის გამო, თუმცა ოსეთის ს. მ. უ. ს. დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო, როგორც თანხებისა და იარაღ-მანქანების მოწოდებით, ისე სპეციალისტების მივლინებით. უკანასკნელად საქართველოს ს. მ. უ. ს.-მა სამხრეთ ოსეთში გაგზავნა ერთი ლოკომობილი და ორი დაზგა გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკისათვის. მრეწველობის განვითარების დასაჩქარებლად სამხრეთ ოსეთის მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელს ააგოს კომბინაცია ქმნილი ხე-ტყის ქარხანა, რომელშიდაც შევა გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და სადურგლო სახელოსნოები.

ხე-ტყის ქარხნები

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი ტყეების უფრო ინტენსიური დამუშავების მიზნით აგებს ხე-ტყის დასამუშავებელ ორ ახალ ქარხანას.

ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებას უკვე გამოწერილი აქვს ქარხნის მოსაწყობად საჭირო იარაღ - მანქანები: ლოკომობილი, ძრავები, ხერხები და სხვა. ამ ორ ქარხნიდან ერთი აშენდება თვით ოზურგეთში, ხოლო მეორე გურიის სატყეო აგარაკების ცენტრში—ქორის-ბუდეში. ახალი ქარხნები უმთავრესად დაამზადებენ საექსპორტო ხე-ტყის მასალას.

ვენახების აღდგენა

უკანასკნელ წლებში აფხაზეთის მევენახეობის რაიონებში, განსაკუთრებით, გუდაუთის მაზრაში ძალიან გავრცელდა აფხაზეთის ვენახების ავადმყოფობა, უფრო მეტად, ფილოქსერა, რომელმაც აფხაზეთის ვენახები თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანა. ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველად აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაშენებული აქვს მხოლოდ ერთი ფილოქსერის გამძლე სანერგე, რომელიც ერთი მეხუთედითაც ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას. კომისარიატს განზრახვა აქვს მევენახეობის სხვადასხვა რაიონებში გააშენოს რამოდენიმე ასეთი სანერგე. მომავალი წლისათვის კი საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის სანერგეებს შეკვეთილი აქვთ 150 ძირი ფილოქსერის გამძლე ნერგის დამზადება. ამავე მიზნით აფხაზეთის მიწათმოქმედების კომისარიატი სოხუმის საცდელ სადგურთან აწყობს სპეციალურ განყოფილებას, რომელსაც დაევალება ფილოქსერის და მისი გავრცელების შესწავლა აფხაზეთში.

თუთუნის ქარხანა

გასულ სამეურნეო წელს საფუძვლიანად შეკეთებულ იქნა ბათომის თუთუნის (ცინკის) ქარხანა: სრულიად განახლებულ იქნა შენობა, დადგა ახალი დაზგები, ახალი ძრავები და სხვა. გადიდებულ იქნა აგრეთვე მუშა ხელის რაოდენობა. ამ ღონისძიების გატარების შემდეგ საგრძნობლად იმატა ქარხნის ნაყოფიერებამ. განვლილ საანგარიშო პერიოდში ქარხანამ დაამზადა 33.000 ფუთი თუთუნის სხვადასხვა ნაწარმოები. ქარხნის წლევანდელ წმიდა მოგებას შეადგენს 20.000 მანეთი, შარშან კი ქარხანამ იზარალა დაახლოვებით 32.000 მან. მიმდინარე წლისათვის ქარხანა სავსებით დატვირთულია სხვადასხვა შეკვეთებით. ქარხანა ეკუთვნის აჭარის ვაჭრობა - მრეწველობის საპაიო ამხანაგობას.

არაყ-კონიაკის წარმოება

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო სოხუმში შეუდგა არაყ - კონიაკის წარმოების ორგანიზაციას. სოხუმის ახალ ქარხანას ნედლ მასალას რექტიფიკაციისათვის არაყისა და კონიაკის სპირტის სახით მიაწვდის გუდაუთის სპირტ - კონიაკის ქარხანა. სოხუმის ქარხანა დაამუშავებს უმაღლესი ხარისხის არაყს, კონიაკს და ყოველგვარ ხარისხის ლიქიორს.

გუდაუთის სპირტ - კონიაკის ქარხანა მოწყობილ იქნა ამ ექვსი თვის წინად; ამჟამად ქარხნის ყოველდღიური ნაყოფიერება უდრის 120.000 გრადუსს სპირტს. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ამ ქარხნის ნაყოფიერება აიყვანოს 2.000 გრადუსამდე. ქარხნის პროდუქცია [illegible] იყიდება

მოსახლეობის აღწერა

აღწერის ქრონიკა

თბილისის აღწერა

თბილისის აღწერის შესახებ შეგროვილი მასალების ჩაბარება უკვე დასრულდა. ამჟამად სწარმოებს მასალების დახარისხება ინსტრუქტორების მიერ. მასალების დაწვრილებითი დამუშავება დასრულდება ერთ თვეში.

ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრიდან მიღებულია ცნობა, რომ იქ აღწერა დასრულდება მთელ მაზრაში დღეს, 30 დეკემბერს.

თელავის მაზრაში

თელავის მაზრიდან მიღებული დეპეშის თანახმად, 29 დეკემბერს აღწერა დასრულებული იყო მაზრის თემში. დანარჩენ თემებში აღწერა დამთავრდება დღეისათვის.

ექსპედიცია მთა-თუშეთში

ცენტ. სტატ. სამმართველოს მიერ მიღებული ცნობებით, მთა-თუშეთში გაგზავნილი აღმწერელთა ექსპედიცია უკვე მივიდა ადგილზე და შეუდგა აღწერის ჩატარებას.

გორის მაზრაში

გორის მაზრიდან იტყობინებიან: აღწერა ყველა თემებში წარმატებით მიმდინარეობს, ამინდი ხელს უწყობს მუშაობის წარმოებას, აღწერა ყველგან დასრულდება დანიშნულ ვადისათვის.

რაჭის მაზრაში

რაჭის მაზრიდან აღწერის განყოფილებამ მიიღო ცნობა, რომ აღწერა უკვე დასრულდა მთელ რიგ თემებში, ზამთრის დადგომის გამო მაზრიდან ძალიან ბევრია სამუშაოთ გასულთა რიცხვი.

სიღნაღის აღწერა

ქალაქ სიღნაღში აღწერამ გამოარკვია, რომ ამჟამად ქალაქში სცხოვრობს 4.082 მცხოვრები. აქედან 1979 მამრობითი სქესის და 2.103 მდედრობითი.

ლაგოდეხში

ლაგოდეხში აღმოჩნდა 1.596 მცხოვრები. აქედან 762 ვაჟი და 795 ქალი.

დუშეთის მაზრაში

აღწერა მთელ დუშეთის მაზრაში დამთავრდა 27 დეკემბერს.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში „აღწერის განყოფილებაში" მოთავსებულ ცნობაში: „ვინაა პირველი"—ახალქალაქის მაგიერ უნდა იყოს—ახალციხის მაზრა.

სახკომსაბჭოში

ხელფასის მოწესრიგება აჭარისტანში და აფხაზეთში

სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა შრომის სახალხო კომისარის ამხ. ა. მიქაძის მოხსენება აჭარისტანის და აფხაზეთის წარმოება-დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის მომწესრიგებელი კომისიის მუშაობის შესახებ.

აღნიშნულ კომისიების ხელფასის მოწესრიგების თაობაზე გამოტანილი რეზოლიუციები მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს.

პრაქტიკანტ სტუდენტების შესახებ

სახკომსაბჭომ ნება მისცა შრომის სახალხო კომისარიატის სტუდენტთა პრაქტიკანტების და სტაჟის განვლის საქმის მოსაწესრიგებლად შრომის სახკომთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის ხარჯი გაიღოს კვალიფიციური მუშა-ხელის გადამზადების ფონდიდან.

მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის ნისიად მიცემა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შუამდგომლობა, რათა თბილისის საწარმოთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს მიეცეს მუშათა მთლიანი კოოპერატივის მეშვეობით განსაზღვრული რაოდენობის საქონელი ნისიად იმ წესის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ.

ამ მიზნით თბილისის მუშათა მთლიან კოოპერატივს უნდა მიეცეს სესხის სახით 200.000 მანეთი.

მუშა-მოსამსახურეებს უნდა მიეცეს საქონელი არა ნაკლებ 300.000 მანეთის ღირებულებისა.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის ბალანსი

სახკომსაბჭომ მოიწონა ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის შესახებ.

ყარაიაზის სარწყავი არხი

რათა ყარაიაზის ველი 1927 წელში უზრუნველყოფილი იქნეს საჭირო სარწყავი წყლით, სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ყარაიაზის სარწყავი არხი შეაკეთოს 1927 წლის გაზაფხულამდე.

რადგანაც ზემოაღნიშნული არხის შესაკეთებლად საჭიროა 15.000 მანეთი, ხოლო წყალთა სამმართველოს არ აქვს საშუალება 9.000 მანეთზე მეტი გაიღოს, სახკომსაბჭომ დაადგინა—ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს მოახდინოს განკარგულება, რათა დანარჩენი 6.000 მანეთი წყალთა სამმართველოს მიეცეს ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის სახსრიდან.

განათლება

გამოცემის გასაიაფებლად

შინაგაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებულმა კომერციულ განათლების დამხმარე კომიტეტმა გადასცა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას 1.000 მანეთი—რუბინის წიგნის „ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიის" გამოცემის გაიაფების მიზნით.

დახმარება ტეხნიკუმს

ქუთაისის სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმისათვის, კომერციულ განათლების დამხმარე კომიტეტმა შეიძინა 40 მანეთის სხვადასხვა ხელსაწყოები.

ქუთაისის მაზრაში

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ქუთაისის მაზრის შრომის სკოლებში ითვლება სულ 37.024 მოსწავლე. ამ საერთო რიცხვიდან ოთხწლიან შრომის სკოლებში ითვლება 13.478 მოსწავლე, შვიდწლოვან შრომის სკოლებში კი —17.911 მოწაფე, ხოლო 9-წლიან შრომის სკოლებში—5635 მოწაფე.

მოსწავლე ხელოსნები

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა დაამუშავა წესები მოსწავლე-ხელოსანთა შესახებ. წესები ვრცელდება ყველა იმ მოსწავლეებზე, რომლებიც სწავლობენ ხელოსნობას სამრეწველო დარგებში. კვალიფიციურ მუშათა კადრების დამზადების მიზნით, წესებში გათვალისწინებულია მთელი რიგი სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სატარიფო საკითხები და წესები შეგირდებისათვის. ახალი წესებით შეგირდის ამუშავება ჰყავნა სწარმოებს წერილობით ხელშეკრულების დადებით ხელოსანსა და შეგირდს შორის.

შეგირდობა ქალაქად შეუძლია ახალგაზრდას 14 წლის ზევით, სოფლად კი 12 წლის ზევით.

გამოკვლევა

შინსახკომის საქმის წარმოებისა

საქ. მ. გ. ინსპექციის გამოკვლევამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმის წარმოებაში აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები. გამოირკვა რომ შ. სახ. კომ-ში არ ხდებოდა შემოსულ ქაღალდების რეგისტრაცია ქაღალდების მიღების დღეს, ზოგიერთი განყოფილებები ქაღალდებს ღებულობდენ ცენტრალურ რეგისტრატურაში გაუტარებლად, რაც მოუხერხებელ ხდიდა ამა თუ იმ ცნობის მიღებას; ძველი დამთავრებული საქმეების არქივი აღმოჩნდა ქაოტიურ მდგომარეობაში, საქმების გატანა არქივიდან სწარმოებდა უსისტემოთ და სხ. აღმოჩენილი იქნა აგრეთვე თანამშრომლების საქმეებით არასწორი დატვირთვა. ყველა ზემოხსენებულ დეფექტების აღმოსაფხვრელად მ. გ. ინსპექციამ გამოიმუშავა სათანადო ღონისძიებები, რომელიც შესასრულებლად გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

რკინისგზაზე

ორთქლმავალის ჩავარდნა

28 დეკემბერს, დილის 11 საათზე და 20 წუთზე სად. ფოთში ლიანდაგს ასცდა მარგანეცის სამანევრო ორთქლმავალი. მიზეზი ლიანდაგის გახეთქაა. ორთქლმავალი ამოღებული იქნა ღამის 12 საათ. 30 წუთზე.

ფსიქო-ტეხნიკური შემოწმება

ა.-კ. რკინისგზის ჯანმრთელობის სამმართველო შეუდგა რკინისგზის მუშათა ფსიქო-ტეხნიკურ შემოწმებას თბილისში. პირველ ხანებში ჩატარდება მემანქანეების და კონდუქტორების შემოწმება.

შეკეთებები

სალიანდაგო სამსახურმა დაასრულა ხიდების, სახელოსნოების და სხვა შენობების შეკეთება სომხეთის ხაზზე. ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა ნიაღვრისაგან დაზარალებულ რკინისგზის ხაზების აღსადგენათ. მუშაობა დასრულდება იანვრის შუა რიცხვებში.

ამხ.

ქრონიკა

კომენდანტი აცხადებს:

ახალი წლის შეხვედრის აღსანიშნავად აკრძალულია ყოველგვარი სროლა. დამნაშავენი დაპატიმრებული და სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ფართლის შემოზიდვა

სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების ცნობით, 1925 წლის დეკემბრიდან, მიმდინარე წლის დეკემბრამდე თბილისში შემოზიდულა 18.500.000 მეტრი ბამბეული, რომლის ღირებულება 9 მილიონ მანეთს აღწევს. აღნიშნული რაოდენობით დაკმაყოფილდა მოსახლეობის მოთხოვნილების ნახევარი.

ფართალი განაწილდა სახელმწიფო - სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანოებს შორის.

მუშათა კლუბები

ამჟამად ამიერ-კავკასიის მთავარ ქალაქებში მუშათა კლუბების რიცხვი უდრის 64, კლუბების წევრთა რიცხვი კი 31.015 კაცს. კლუბებში 11.106 კაცი. წითელი კუთხეების რიცხვი უდრის 544. არის 101 ბიბლიოთეკა 31.139 ხელის მომწერით.

რამდენი კაცი გაიგზავნა სანატორიუმებში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს ცნობებით, მიმდინარე წლის განმავლობაში დასასვენებელ სახლებში, ადგილობრივ სანატორიუმებში და სოციალური დაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს კურორტებზე გაიგზავნა 12.392 კაცი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ფასიანი საწოლები.** აღმასკომის დადგენილებით, ქალაქის მეორე საავადმყოფოში შემოღებული იქნა ფასიანი საწოლები არა მშრომელ ელემენტებისათვის.

◆ **სამკითხველო.** ფერმა-ავლაბრის სამკითხველოს გასაფართოებლად გადაეცა ორი დარბაზი.

◆ **ლომბარდის მუშაობის გამოსაკვლევად** ამხ. გავაშელის თავმჯდომარეობით დაინიშნა კომისია.

◆ **ზაჰესის ფარგლებში მოყოლილ გლეხების** სხვა ადგილზე გადასასახლებლად აღმასკომმა გადასდო განსაკუთრებული თანხა.

◆ **სადოსტაქრო კლინიკის გაფართოების** მიზნით კლინიკაში დაიდგმება 50 ახალი საწოლი.

◆ **თავისუფალი დარბაზი საგარეჯოში** საცხოვრებლად გადაეცემა ინვალიდებს და ღარიბ ელემენტებს.

◆ **300 არაგველის ხიდის** (ორთაჭალაში) შეკეთება სავსებით დამთავრდა. ხიდზე მოძრაობა უკვე აღდგენილია.

◆ **ქალაქის სასაკლაოს მდგომარეობის** გასაცნობად და შესასწავლად თბ. საბჭოს კომუნალურმა სექციამ აირჩია 8 კაცისაგან შემდგარი კომისია.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **აფთიაქების რიცხვი.** მთელ საქართველოში ამჟამად ითვლება 262 აფთიაქი.

◆ **საბავშვო კონსულტაცია.** რესპუბლიკაში დამატებით გაიხსნა 9 საბავშვო კონსულტაცია.

◆ **აბანო.** ჯანსახკომის თაოსნობით, ცაგერში ეწყობა აბანო.

◆ **ლაბორატორიები.** ზესტაფონის და გორის საავადმყოფოებთან ეწყობა ლაბორატორიები.

◆ **გადამდებ სნეულებებთან ბრძოლის** მიზნით ჯანსახკომმა პროვინციებში მოაწყო 22 ბარაკი და 37 სადეზინფექციო კამერა.

◆ **საექიმო დახმარება.** გასულ წელს ამბულატორიებმა საექიმო დახმარება აღმოუჩინეს 562.124 დაზღვეულს და მათი ოჯახის წევრებს.

◆ **მალარია.** გასულ წელს თბილისში მალარიით ავად გახდა 10.674 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

შრომის კომისარიატში

◆ **ზედმეტი მუშაობა.** უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით კომისარიატმა დაადგინა სასტიკ პასუხისგებაში მისცეს ის წარმოება-დაწესებულება, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ზედმეტ საათების მუშაობაში.

◆ **სანიტარულ სექციის და სოცდაზღვევის** მუზეუმის გამგეთ დაინიშნა ექიმი ანდრონიკაშვილი.

◆ **შრომის კომისარიატის მდივნათ** დაინიშნა ამხ. გრ. ცინცაძე.

◆ **სატყეო მრეწველობის ტრესტთან** კომისარიატმა დასდო ახალი ხელშეკრულება მუშების სანიტ-ტეხნიკურ პირობების გაუმჯობესების მიზნით.

გლეხკომები

◆ **რამდენი გლეხია გაერთიანებული გლეხკომებში.** ოზურგეთის მაზრაში სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით—გლეხთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოებებში (გლეხკომებში) ამჟამად გაერთიანებულია 10.479 გლეხი.

◆ **გლეხკომების ფონდში.** 1926 წელში ოზურგეთის მაზრაში გლეხკომებს შენახული ჰქონდათ ფონდში—24.370 მანეთი. ამ თანხიდან განსაზღვრული პროცენტი გასულ საანგარიშო წელში გლეხკომებმა დახმარებათ დაურიგეს ქვრივებს, ობლებს, მოუსავლობისაგან და სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხებს.

სხვადასხვა

— **მაზრაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი.** 3 იანვარს, დილის 10 საათზე, საქართველოს ცაკში მოწვეულია მაზრაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი ქალაქის საბჭოების ორგანიზაციის შესახებ.

ფეხბურთი

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ ცირკულიარული წერილი დაუგზავნა ფიზკულტურის ყველა რესპუბლიკანურ, საოლქო და სამაზრო საბჭოებს, პროფსაბჭოებს და სამპროფბიუროებს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში საქართველოში შემჩნეულია მასიური გატაცება ფეხბურთით. არის შემთხვევები, როდესაც ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე ეწყობა ადგილებზე ფეხბურთელთა გუნდები, იმართება მასიური თამაშობანი და სხვა.

აღსანიშნავია აგრეთვე ფეხბურთელთა გუნდების სტიქიური შედგენა სოფლებში და ქალაქის განაპირა უბნებში. უკანასკნელ ხანებში ადგილებზე შემჩნეულია აგრეთვე წესების სათანადოთ არ ცოდნა; იყო შემთხვევები, როდესაც ცალკე ქალაქების გუნდები სხვადასხვა წესით თამაშობდენ (მაგალითად, საკითხი თავისუფალი დარტყმის, მოთამაშეების შეცვლის და სხვათა შესახებ).

ცირკულიარი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურის საბჭოებმა, რომლებიც მოწოდებული არიან ხელმძღვანელობა გაუწიონ ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, თავისი გავლენიდან არ უნდა გაუშვან ფეხბურთელთა გუნდების მოწყობის მოძრაობა რომელიც შეიძლება არაჯანსაღ გადახრად გადაიქცეს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ ცხოვრებაში.

ცირკულიარი წინადადებას აძლევს ფიზკულტურის საბჭოებს ფეხბურთის მიმართ აიღონ შემდეგი კურსი:

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შედგენილი იქნეს გუნდი სათანადო ორგანიზაციის (პროფკავშირები, კლუბები, სკოლები, სამხედრო ნაწილები) დაუკითხავად და მისი სანქციის გარეშე.

ფეხბურთელთა გუნდები უნდა მოეწყოს უჯრედებთან და ორგანიზაციებთან, რომლებმაც უნდა მიაწოდონ თავის გუნდებს სათანადო ინვენტარი. გუნდების აღრიცხვის შემდეგ საბჭოებმა უნდა ჩაატარონ პირველობის გათამაშება ჯერ ცალკე უჯრედებში, შემდეგ კი ქალაქის მასშტაბით.

სასამართლო

განაჩენი ნაზაროვის საქმეზე

როგორც ვსწერდით, სარქის ნაზაროვს ბრალი ედებოდა სამსახურისადმი გულგრილობაში, რითაც დაწესებულებას მიაყენა 902 მანეთის ზარალი.

სასამართლომ სარქის ნაზაროვი უდანაშაულოთ სცნო და გაამართლა.

განაჩენი მეისრე ფცქერაძის საქმეზე

როგორც აღნიშნული გვქონდა მეისრე ნესტორ ფცქერაძეს ბრალდებოდა მატარებლის დამტვრევა.

გუშინ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი.

სასამართლომ ბრალდებული ფცქერაძე უდანაშაულოთ სცნო და გაამართლა.

ბანდიტ მოსესოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ **ნიკო გიურქის ძე მოსესოვს** ბანდიტობისათვის მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მსჯავრდადებულმა მოსესოვმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 31 დეკემბერს.

არევაძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ **ლევან არევაძეს** მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

არევაძეს ბრალდებოდა მკვლელობა გაძარცვის მიზნით.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 31 დეკემბერს.

„ჯანყი" ეკლესიაში

(„წმინდა მამების" საზოგადო-საჩვენებელი გასამართლება)

გუშინ, საღამოს 6 ნახევარ საათზე, ახალ მუშათა კლუბში ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **ქურდოვანიძის და გარსიაშვილის, პროკურორ კიკაბიძის და მდივან პაშიკოვის** მონაწილეობით დაიწყო მღვდელ სააკ საკიანცის და მის „მეგობრების" საზოგადო საჩვენებელი გასამართლება.

ამჟამად საბრალმდებლო სკამზე ზის 12 კაცი: **სააკ და ანნა საკიანცები, ვასილ აგაბაშევი, ლიზარიდ ადამიანი, სარქის გრიკუროვი, ვახტანგ ხებუროვი, მიხეილ გრიგორიანცი, არუთინ ბალდოიანცი, გრიგოლ მიკაელიანი, ალექსანდრე განჯუმოვი, არამ საკიანცი და გალუსტ ვართაპეტიანცი.**

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **ამირაღოვი, თ. ლაზარევა, ხატისოვი, აგაჯანოვი და ენიკოპოლოვი.**

საქმის შინაარსი ასეთია:

ამ უკანასკნელ ხანებში კამოევის ეკლესიის (კომინტერნის ქუჩა № 7) მრევლი ორ ბანაკად გაიყო. ასეთი დანაწილება გამოწვეული იყო „წმინდა მამებს" შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებით. ერთ ბანაკს მეთაურობდენ ე. წ. „თავისუფალ ძმობის" გამგეობის თავმჯდომარე მღვდელი **აკოპ ტერ არუთინოვი,** რომელიც სრული ბატონ-პატრონი იყო ეკლესიის, ხოლო მეორე ჯგუფს ხელმძღვანელობდა მღვდელი სააკ საკიანცი. ბრძოლა ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს შორის თანდათან გაცხოველდა.

„თავისუფალი ძმობის" გამგეობამ თავიანთი ავტორიტეტის განსამტკიცებლად მქადაგებლად მოიწვია **არხიმანდრიტი ბენიკ ეგიაზარიანი.** გამგეობის თავმჯდომარე აკოპ ტერ-არუთინოვი ეწევა გაცხოველებულ აგიტაციას მორწმუნეთა შორის, დადის მათ ბინებზე, ურიგებს მათ სარწმუნოებრივ შინაარსის ფურცლებს და აფართოებს „აგიტაციას".

მას შემდეგ, რაც ბენიკმა დაიწყო აღნიშნულ ეკლესიაში „მუშაობა", იქიდან გამოდევნილი იქნა ძველი ეკლესიის მოყვარულნი და იმათ შორის—მათი ხელმძღვანელი მღვდელი სააკ საკიანცი.

„წმინდა მამა" საკიანცი ამ გარემოებით დიდათ დაწყენილი იყო, რადგან მოაკლდა „შემოსავალი". საკიანცმაც დაიწყო ძველი ეკლესიის მორწმუნეთა შორის აგიტაცია არხიმანდრიტ ბენიკის წინააღმდეგ.

„ოპოზიციის" ლიდერები ემზადებიან შეტევისათვის.

ამა წლის 7 ნოემბერს, ძველი ეკლესიის მიმდევრებმა მღვდელ საკიანცის ხელმძღვანელობით, კამოევის ეკლესიაში, ბენიკის წირვის დროს, განზრახ ასტეხეს აურ-ზაური და ბენიკს არ მისცეს საშუალება განეგრძო წირვა. შემდეგ გამართეს მუშტი-კრივი. „მებრძოლები" იმდენათ გაიტაცა „ფიზკულტურამ", რომ ხელჩართულ ბრძოლაში მოიხმარეს სამღვდელთმსახურო იარაღებიც კი.

მუშტი-კრივის დროს არხიმანდრიტი ბენიკ ეგიაზარიანი და გამგეობის თავმჯდომარე აკოპ ტერ-არუთინოვი მაგრათ დაბეგვილ იქნა დამსწრეთა მიერ.

გუშინ სასამართლოს პროცესზე ავათმყოფობის გამო არ გამოცხადდა ბრალდებული **ვახტანგ ხებუროვი.** სასამართლომ დაადგინა საქმე მოსმენილ იქნას დღეის რიცხვით.

სასამართლომ დააკმაყოფილა დამცველ **ლაზარევის** შუამდგომლობა დამატებითი მოწმეების დაკითხვის შესახებ.

ბრალდებულთა უმეტესობა არის ვაჭრები, საბრალმდებლო სკამზე სხედან აგრეთვე უმუშევარი ინტელიგენტები და მღვდლები. არც ერთმა ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავეთ.

ბრალდებული მღვდელი **სააკ საკიანცი** თავის ვრცელ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ორი თვეა, რაც ის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობს სომხის ეკლესიაში. 7 ნოემბერს, წირვის დროს, ის უკრავდა ფიზ-გარმონზე. ამ დროს ეკლესიაში შევიდა ვიღაც პირები და მოითხოვდენ მგალობელთა გუნდის შეჩერებას. რამოდენიმე ხნის შემდეგ მასთან მივიდა სომხის ეკლესიის „თავისუფალი ძმობის" გამგეობის თავმჯდომარე **აკოპ ტერ-არუთინოვი** და წინადადება მისცა მას შეეჩერებია ფიზ-გარმონის დაკვრა. მლოცველები მოითხოვდენ გალობისა და დაკვრის გაგრძელებას და ამიტომ ტერ-არუთინოვის „ბრძანებას" არ დაემორჩილა. ტერ-არუთინოვი საჯაროთ აცხადებს ეკლესიაში, რომ ა. წ. 6 ნოემბრიდან კამოევის ეკლესია ეკუთვნის „თავისუფალ ძმობის" გამგეობას და იმყოფება მათი მფარველობის ქვეშ. ტერ-არუთინოვის სიტყვებმა მორწმუნეთა შორის აურ-ზაური გამოიწვია.

მიუხედავათ ამისა, მგალობელთა გუნდი განაგრძობდა „მამაოჩვენოს" გალობას.

მორწმუნეებმა არხიმანდრიტ **ბენიკ ეგიაზარიანს** არ მისცეს უფლება წაეკითხა ქადაგება. განზრახ აურ-ზაურისა და დებოშის გამართვას ბრალდებული საკიანცი გადაჭრით უარყოფს.

ზოგიერთი ბრალდებულები აღნიშნავენ, რომ მათ წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება: კამოევის ეკლესიაში დებოშისა და მუშტი-კრივის გამართვის შესახებ აღმოცენებულია კერძო ინტერესების ნიადაგზე.

მოწმე **აკოპ ტერ - არუთინოვი** აღნიშნავს, რომ კამოევის ეკლესიის „თავისუფალი ძმობის" ხელში გადასვლის შემდეგ, ამ უკანასკნელსა და ძველი ეკლესიის მომხრეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

ძველი ეკლესიის მომხრეებს ხელმძღვანელობდა მღვდელი საკიანცი. მოწმე ლაპარაკობს, რომ არქიმანდრიტი ეგიაზარიანი კამოევის ეკლესიაში მიწვეული იყო მქადაგებლად. 6 ნოემბერს, ბენიკმა პირველად იქადაგა. ამ დღეს ძველი ეკლესიის ზოგიერთი მიმდევრები შეეცადენ მოეხდინათ დებოში, მაგრამ ვერ შესძლეს. კვირას, 7 ნოემბერს, კი თავიანთი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. წირვის შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს თვით მას, ტერ-არუთინოვს და არქიმანდრიტ ეგიაზარიანს. მოწმის სიტყვით, მუშტი-კრივის გამართვაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ: მღვდელი **სააკ საკიანცი, საკიანცის ცოლი ანა, მიხეილ გრიგორიანცი** და სხვა.

დიდ ინტერეს იწვევს არქიმანდრიტ **ბენიკ ეგიაზარიანის** დაკითხვა.

მოწმე გადაჭრით აღიარებს, რომ მღვდელ საკიანცმა მუშტი-კრივის დაწყება ფიზ-გარმონის ხმის მომატებით ანიშნა მის „მეგობრებს". მოწმის სიტყვით, ბრალდებული ადამიანი და ვართაპეტიანცი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ დებოშის მოწყობაში.

დამცველები მოწმეს აძლევენ მრავალ შეკითხვებს.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

გასამართლებას დიდძალი მუშები ესწრებიან.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

ტენორ ანდღულაძის მეორე დებიუტი

ტენორ ანდღულაძის მონაწილეობამ ოპერაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, განსაკუთრებით მისი „აიდა"-ში საუცხოვო გამოსვლის შემდეგ. მთელი თეატრი გაჭედილი იყო. მაგრამ როცა ამ ნიჭიერ მომღერალს უსმენ, უნებლიედ მიდიხარ იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებამ და იმ პირებმა, რომლებზედაც არის დამოკიდებული მიმართულების მიცემა მომღერალის ნიჭისათვის, სრულიად უმართებულოდ მოისურვეს ანდღულაძის შემთხვევითი გამოსვლა საოპერო სცენაზე მიუხედავათ იმისა, შეუძლია თუ არა მას ეხლავე მოგვცეს ის მხატვრული სისრულე, რის იმედსაც იძლევა მისი განსაკუთრებული ნიჭი. ეს განსაკუთრებით გამოაშკარავდა აბესალომის პარტიის შესრულების დროს. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს შესრულება ურიგო იყო, ამას მოწმობს ამ მომღერლის ნიჭი, ხმა და მუსიკალობაც. მაგრამ ამავე დროს, პარტიის შესრულება არ სდგას იმ სიმაღლეზე, რომლის მოლოდინიც გვქონდა მისი „აიდა"-ში მოსმენის შემდეგ. ეს მოხდა იმიტომ, რომ ანდღულაძემ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გადაიმღერა ეს მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო პარტია. მას ემჩნეოდა ვაუბედაობა. ზოგიერთ ადგილებში არ იყო დინამიკა (დინამიური ელფერი კი პირველ ხარისხოვან როლს თამაშობს ამ პარტიაში). ხან ხმა არ იყო საკმაო, ხან განწყობილება. ლამაზად შეასრულა მომღერალმა პირველი მონოლოგი და შემდეგ დუეტი ეთერთან.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ ანდღულაძემ მთელი თავისი სიმშვენიერით გვიჩვენებს თავის ნიჭს სათანადო გავარჯიშების შემდეგ და სულ უფრო მალე დაკარგავს შემთხვევით ხასიათს მისი გამოსვლები, მით უფრო მალე წავა ეს მომღერალი წარმატების გზით.

მშვენიერად ჩაატარა ეთერის პარტია ბოგოლეპოვამ. კარგი იყო მომღერალი პროლოგში. კარგია აგრეთვე აბესალომთან გამომშვიდობების სცენა. დანარჩენებიც საუცხოვო იყვნენ.

ვ. ბ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ლამარა".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლამარა".

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „მაზეპა".

◆ **„იღრიალე ჩინეთო".** დღეს მუშათა თეატრში წარმოდგენილი იქნება რუსული დრამის მიერ: „იღრიალე ჩინეთო".

◆ **„ბოკაჩიო".** ახლო ხანში ოპერის თეატრში წავა ოპერა „ბოკაჩიო—დადგმა კ. მარჯანიშვილის.

◆ **კლუბი.** ფოთში გაიხსნა რკინის-გზელთა კლუბი, სადაც ფოთის თეატრის დასი ი. ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით გამართავს კვირაში ერთხელ წარმოდგენებს.

◆ **„იღრიალე ჩინეთო"** ითარგმნება ქართულ სცენაზე დასადგმელად.

◆ **კინო-ექსპედიცია** დაბრუნდა ზაქათალიდან, სადაც გადაღებული იქნა „ჰაბრაგიდა გოდერძის" ზოგიერთი სცენები. სურათს დგამს შ. ბერიშვილი.

„ბაღოსტან კავშირი"

ბაღოსტანკავშირი დაარსდა 1925 წლის 8 ოქტომბერს. იგი აერთიანებს 14 მებაღეობა-მებოსტნეობის ამხ-ბას 2.600 წევრით. გასულ წლის განმავლობაში კავშირის მიერ მიღებული იყო მოკლევადიანი სესხის სახით 190.000 მანეთი.

ამ საშუალებებით კავშირმა გაასაღა 450.000 მანეთის ხილი, 45.000 მანეთის ყუთები მიაწოდა ქვედა საფეხურის კოოპერატივებს და 6.000 მანეთის ბურბუშელა დაამზადა ხილის შესახვევად თავის ფაბრიკაში.

კინო

„მისს მენდ" გამოშვება „მეჟრაბპომ-რუს"-ის

რეჟისორი—ოცეპი—ოპერატ. ალექსეევი.

სიმარტივე და სისადავე, როგორც ფაბულის, ისე მისი მხატვრული გაშლის კინო-სურათის მთავარ ღირსებას წარმოადგენს. ეს ფილმი, „სამი რეპორტიორის თავგადასავალზე" წარმოადგენს კინოს ყველა ჟანრების გაერთიანებას; მასში მოცემული ელემენტები, როგორც მსუბუქ. მხედველობით შთაბეჭდილებებზე ნავარაუდევ ამერიკულ ვოდევილის, ისე ავანტიურისტულ კრიმ-რომანის და ისე განსაზღვრულ იდეოლოგიის მატარებელ კინო-დრამის.

სურათის ეს მხატვრული თვალსაზრისით ზედმეტი და მავნე სიჭრელე ბევრ ღირსებას უკარგავს თავისთავად თითქმის ყველა კადრში უნაკლო ფილმს. გორდონ სტორნის ტანჯვა-წამება ფაშისტურ ორგანიზაციის წევრების მიერ, ეს მოგზაურობა კუბოთი ცოცხალი ადამიანის, კომიკური სცენები, „მკვდრეთით აღდგომის" სრულებით არ ეგუება კურიოზულ სცენებს რეპორტიორების მუშაობისა და მისს-მენდით გატაცებისა. ასევე სურათში ეპიზოდიურად ჩართული პროფკის ქარხნის მუშების გაფიცვის სცენა, პოლიციასთან შეჯახება, ლოკაუტი თითქოს უბრალო შესავალია ფაშისტ ჩინის ავანტიურისტულ საქმიანობის გასაშლელად. ეს ავანტიურისტული თავგადასავლის ისტორია ყველაზე უფრო გულმოდგინედ არის გადმოცემული სურათში. მხოლოდ მასში მოსჩანს რეჟისორის და სცენარიუსის აზრის თანამიმდევარი, სწორხაზოვანი განვითარება. დანარჩენი ადგილები ხელოვნურად არის ერთმანეთში შეკოწიწებული და ხელოვნურადვე დაკავშირებული ამ ავანტიურის ძაფთან.

დადგმა თავისთავად მეტად მხატვრული და მდიდრულია, ზოგ შემთხვევაში ზედმეტის ხელგაშლილობით არის დამუშავებული ეპიზოდიური სცენებიც კი, როგორც მაგალითად წერილისათვის ჩხუბის სცენა და სხ. ამ მდიდარ მხატვრულ ორნამენტიროვკაში თითქოს იკარგება ისედაც რთული ფაბულა-სურათის.

ისეთი ცნობილი კინო-მსახიობის მონაწილეობა სურათში, როგორიცაა ილინსკი, უკვე დიდ რეკლამას უქმნის მას; მაგრამ რეპორტიორ ტომის როლში ის მიუხედავათ უნაკლო თამაშისა ვერ ახერხებს მხატვრულად დასრულებულ ცხოვრებრივ ტიპის შექმნას. მისი თამაშის მიმზიდველ ძალას ქმნის ეს შინაგანი სიცოცხლის სავსობა და ხალისი, რომელიც უხვად მოსჩქეფს მის ყოველ მოძრაობაში, ჟესტში, მიმიკაში და უნებურად გადადის მაყურებელზე. მისს-მენდის (ნ. გლანი) გარეგნობა და თამაში ვერ ხსნის ამ თავდავიწყებულ გატაცებას მისით რეპორტიორების და მილიონერ არტურ სტორნის.

კარგია ფაშისტ ჩინის როლში მს. კომაროვი. დამახასიათებელია აგრეთვე რეპორტიორებიც.

შ.

ბრძოლა მალარიასთან

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შეუდგა გეგმის დამუშავებას მალარიასთან საბრძოლველ ღონისძიებათა გამოსანახავათ. განზრახულია დაევალოს ჯანმრთელობის ყველა ორგანოებს, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ მალარიასთან, აწარმოონ დაწვრილებითი ანგარიში ავათმყოფობასთან ბრძოლის საშუალებების, ხარჯების და მიღებული შედეგების შესახებ.

გარდა ამისა, ჯანმრთელობის კომისარიატში მიღებული ცნობები ზოგიერთ პროვინციებში ახალ აღმშენებლობის ადგილებში (რკინის გზების, უბრალო გზების, ელსადგურების და სხვათა აგების ადგილას), ჩნდება დაჭაობებიანებული ადგილები, სადაც ფეხს იკიდებს მალარია. აღნიშნული მოვლენის თავიდან ასაცილებლად, აღმშენებლობის ხელმძღვანელ ორგანოებს წინადადება მიეცათ თავიანთი მუშაობა შეუთანხმონ ჯანმრთელობის ორგანოებს და მკაცრად დაიცვან აღმშენებლობის დროს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

უკვე შემჩნეულ დაჭაობებიანებულ ადგილების ამოსაშრობად და იქ მალარიის ბუდეების მოსასპობად ჯანმრთელობის კომისარიატი იმუშავებს ცალკე გეგმას.

იურიდიული დახმარება

რა უფლებით სარგებლობს ქორწინებით ან მეკომურად მიღების წესით კომლში შესული პირი

გლეხ გერ. ლანდიას.

პ ა ს უ ხ ი

თანახმად მიწის კოდექს. მუხ. 40-ის და მისი შენიშვნისა, ყველა ის პირები, ვინც ქორწინებით ან მეკომურად მიღების წესით შესულნი არიან კომლში, ითვლებიან კომლის სრულუფლებიან წევრებად და მათ აქვთ იგივე უფლება კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, რაც (კომლის) ძირითად წევრს, ხოლო მათ ეკარგებათ სხვა კომლში მიწის სარგებლობის უფლება.

კომლის საერთო მიწების და ქონების გაყოფის შესახებ

ქვრივი ირინე ბარკავასას

პ ა ს უ ხ ი

თქვენ გვეკითხებით, შესაძლებელია თუ არა მიწისა და საერთო ქონების გაყოფის დროს თანაბარი წილი მიიღონ (თქვენთან ერთად) „თქვენმა მცირეწლოვანმა შვილიშვილებმა". მასთან თქვენ ამბობთ, რომ კომლის მიწების და საერთო ქონების განაწილების დროს ეს ყველაფერი გაიყო ათ წილად (კომლის ყველა წევრებზე) და თითეულ თქვენთაგანს წილად ხვდა ძალზე მცირე მიწა და ქონება, რის გამო იგი არც ერთ თქვენთაგანს არ აკმაყოფილებს და სხ. გიპასუხებთ: საერთო წესით კომლის საერთო მიწები და ქონება თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 47-ისა კომლის ყველა წევრებს შორის განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა უნდა განაწილდეს თანაბრად. ამგვარად თქვენი შვილიშვილები კანონით მიიღებენ საერთო მიწებისა და ქონებიდან წილს თქვენთან თანაბრად. რაც შეეხება მეორე საკითხს, რომ თითეულ განაყოფს შეხვდა ძალზე მცირე წილი, რომელიც მათ არ ყოფნით, ამის შესახებ უნდა გაცნობოთ, რომ თქვენ არ გქონდათ უფლება გაგეყოთ საერთო მიწები იმ შემთხვევაში, თუ კი თითეულ განაყოფს ცალკე მეურნეობის საწარმოებლად არ შეხვდებოდა საკმაო მიწა ე. ი. არა ნაკლები ნახევარი კანონიერი ნორმისა. თქვენ უნდა გაგეყოთ ასეთ შემთხვევაში კომლის მხოლოდ საერთო ქონება და არა მიწები. თქვენ მოქმედებაში აშკარად დარღვეულია მიწის კოდექსის მუხ. 48. ამიტომ უნდა მიმართოთ შეცდომის გამოსასწორებლად, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 53-ი თქვენი თემის აღმასკომს, რომელიც ვალდებულია ასეთ შემთხვევაში გააუქმოს გაყრის ქაღალდი და უარი სთქვას მის რეგისტრაციაზე.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება [illegible]

ა. კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

რაფინად შაქარზე საცალო ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა. კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა. წ. დეკემბრის 29 დადგენილებისა № 57—113 და დამატებათ ა. კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის ა. წ. ოქტომბრის 6-ს დადგენილებისა № 18—66 ა. კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს რაფინად შაქარზე შემდეგი მაქსიმალურ სახლვრითი საცალო და საგასაცემო ფასები სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობისათვის ყველა იმ ქალაქებსა და ადგილებში, რომელნიც ა. კ. რკინის გზის ხაზზე მდებარეობენ:

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	შაქარი ნატეხი.	ნახერხი.	ნაჭრობითი.	თავი შაქარი.
1 კილოგრამი	77 კაპ.	78. კაპ.	75 კაპ.	73 კაპ.

შენიშვნა: ქალ. თბილისსა და ბათომში თავი შაქრის გაცემა უნდა სწარმოებდეს შემდეგ ფასში: 1 კილოგრამი—72 კაპ.

2) ა. კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივ აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

3) ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

4) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა. კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში—**ათაბეგოვი.**

შ. ვ. მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი—**ბერულაშვილი.**

საქმეთა მმართველი—**აბესაძე.**

29 დეკემბერი, 1926 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. პ. (ბ) ქუთაისის სამაზრო კომიტეტი იტყობინება, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებზე გვაქვს მიღებული ერთიანი პ. ბილეთები და საკ. ბარ. და არ ვიცით ამჟამად სად იმყოფებიან.

უცნადებთ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გვაცნობონ, თუ რომელ ორგანიზაციაში იმყოფებიან, რომ გადაუგზავნოთ ერ. პ. ბილეთი ან საკ. ბარ.

შახარაძე დავით სამსონის ძე ერთ. პ. ბ. № 728282, ჩიტორელიძე აკაკი სოლომონის ძე საკ. ბარ. № 527, მღლაკელიძე ალექსანდრე ივანეს ძე საკ. ბარ. № 9500, რუხაძე ივანე ონისიმეს ძე საკ. ბარ. № 18574, გორდაძე ვასილ პავლეს ძე საკ. ბარ. № 9485, მელაძე დომენტი სარდიონის ძე (ყარამან) საკ. ბ. № 9612.

— საქ. რემედასის ცეკა იტყობინება, რომ დღეს 30 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე (ლენინის ქუჩა № 29) შესდგება რემედასის ცეკას პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხ. სავალდებულოა. მ. ჩოდრიშვილი, ალ. ჯიჯაძე, იმედაძე, ბელიაევი, ნაცვლიშვილი, გენიალიძე, მუმლაძე, არაზაშვილი, ათაბეგოვი. არ. რუხაძე, გუდავაძე, ჭელიძე, ნუცუბიძე.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ვ. ხურციას, რათა 30 დეკემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული).

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას იძლევა მორიგ პარტიულ დღეს, პარასკევს 31 დეკემბერს უჯრედების სხდომებზე დასმულ იქნეს ადგილობრივი საკითხები.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა 3 დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო ქვე-განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან:

ივანოვი ანდრია, როჟკოვი იაკობ, ზაიცევი ისაია, ოვსიანიკოვი ალექსანდრე, კირილოვი ვლადიმერ, კოსტანიანი კარაპეტ, სტეპანოვი ალექსანდრე, ფედიანინი დიმიტრი, ნაზარენკოვი ტიგრან, მიზრახი მიხეილ, ზინგმანი არონ, გორბუნოვი პეტრე, ლიბერი მაქს., მელაძე დავით, პერჩიანი ტარასი, ჩილინგარიანი ოვანეს, ჩერნოვიალოვი ათანასე, აკიმოვი სტეფანე, მირიმანოვი ბორის, ქუთათელაძე პეტრე, ვასილიევი პეტრე, ცაგურია ბიქტორ.

— **საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის** ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ დღეს 30 დეკემბერს რაიკომის შენობაში მოწვეულია რაიკომის გაფართოებული პლენუმი რაიონის აქტივის თანდასწრებით. დღის წესრიგშია ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების აგრეთვე უჯრედების ბიუროების წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

„კომუნისტი"

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

1927 წლისათვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 „	6—70
2 „	2 „	8 „	7—65
3 „	2—90	9 „	8—60
4 „	3—85	10 „	9—55
5 „	4—80	11 „	10—50
6 „	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით.	1—30	7 „	8—80
2 „	2—60	8 „	10—00
3 „	3—80	9 „	11—30
4 „	5—00	10 „	12—60
5 „	6—25	11 „	13—80
6 „	7—55	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში		ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ			
1 თვით	1 მან. 50 კ.	1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 „
1 წლით	18 მან.	3 „	4 „	1 წლით	16 „

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 30 დეკემბერს — გრ. რობაქიძის.
მალშტრემ
დადგმა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის

შაბათს, 1 იანვარს — ნ. შიუკაშვილის.
ამერიკელი ძია
დადგმა ალ. ახმეტელის.

კვირას, 2 იანვარს — ქართული თეატრის დღე — გრ. რობაქიძის
ლ ა მ ა რ ა
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—1 ნ. 392

ა პ ო ლ ო
არფასტო
ს ო ლ ე ი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)

გრძელდება მსოფლიო სურათის **კორსარ პიეტროს** ჩვენება. მთავარ როლში: პაულ რიხტერი (ზიგფრიდი „ნიბელუნგებში").

ბერლინის ბერები
მთავ. როლში: ბერნარდტ გეტცკე—იოგის როლის შემსრულებელი „ინდოეთის აკლდამაში"

მისს მენდ მთავ. როლში: გლანი, როზენელი, ბარნეტი, ი. ილინსკი, კომაროვი, ფოგელი. რეჟისორი:—ოცეპი

სტენლეი აფრიკის ტყეებში
პირველი და მეორე სერია ერთად.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება დასადგმელად საუკეთესო სურათი „ჩვენი სტუმართმოყვარეობა"

0—23 ნ. 287

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 30 დეკემბერს მესამე აბონიმენტის მეექვსე წარმოდგენა **მაზეპა**
მონაწ.: სპრიშევსკაია, სკიბიცკაია, კანსბურგი, გორელოვი, მესნიაევი

პარასკევს, 31 დეკემბერს **1. ჯამბაზები**
მონაწ.: ბოკოვა, ვიტინგი, გორელოვი, ვენაძე.
2. საბალეტო დივერტისმენტი

ნ. 395

ცირკი
ძმ. ტანტების

ს. ს. ს. რესპ. დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელ.
ხუთშაბათს, 30 და პარასკევს, 31 დეკემბერს
ახალი ნომრები და დადგმები
მხოლოდ ორი დღე
ლოკარნოს კონფერენცია
უკანასკნელი სახალხო ქრონიკა—ლეო ტანტი.
დასაწყისი 8 ნახ. საათზე — ადმინისტრატორი მ. ი. ტ ა დ ე

ს. მ. უ. ს. ცენტრალური ქიმიო-ტეხნიკური
ლაბორატორია
პირველი იანვრიდან 1927 წ. **გაიხსნება**
ს. მ. უ. ს. ცენტრალური
ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორია
ლაბორატორიაში არის განყოფილებანი—ანალიტიური, ტეხნიკური და პრეპარატიული

ლაბორატორია ღებულობს ყოველგვარ ანალიზებს, იძლევა დასკვნას ამა თუ იმ ნაწარმოების ღირსების შესახებ, ამუშავებს მინერალურ და მცენარეულ ნედლი მასალების გადამუშავების მიზანშეწონილ საშუალებებს, ადგენს ახალ ქიმიურ წარმოებათა გეგმარებს.

ლაბორატორია ღებულობს შეკვეთებს სახელმწიფო დაწესებულებათაგან და კერძო პირებისაგან.

ნ. 347 6—1. მისამართი: ანჩისხატის ქ. № 17.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 — 25—21

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს. — 25—1

მიიღება ხელისმოწერა
1927 წლისათვის
ყოველთვიურ **ჟურნალზე**
„სოფლის კომუნისტი"
ორგანო ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა
ჟურნალი ღირს:
ერთი წლით . . . . 2 მან.
ექვსი თვით . . . . 1 მან..
სამი თვით . . . . 50 კაპ.
ცალკე ნომერი 20 კაპ.
რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის, 22
კომპარტიის ცეკა ოთახი № 17
15—1 ნ. 355

ქუთაისის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი

კ ო მ ი ტ ე ტ ი ს პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი

ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1926 წლის 20 დეკემბრამდე მის მიერ გაცემული სიღარიბის და სოციალური მდგომარეობის მოწმობები, რომლებიც წარმოებაში არიან, თანახმად აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა გაუქმებულია.

ქუთ. მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ნ. 414

ე ქ ი მ ი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) — 25—1

ე ქ ი მ ი
მ ე ზ რ ა ბ ი ა ნ ც ი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 — 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 — 25—5

ე ქ ი მ ი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის ქ. № 49. ტელეფ. № 4—82. 25—1
ქვ. 788

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. — 25—

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი — 25—1

ექიმი **ა. ხ. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი").
გარდა საექიმო. სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სინსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ე ქ ი მ ი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.
ლენინის (ყოფილი ოლღას) ქუჩა № 35
854 — 13—1

ექიმი **შ უ ხ მ ა ნ ი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 — 25—1

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3.

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
დიდი ვანქის ქ. № 6.
სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. — 25—

ექიმი ა. დ. შახბაზიან
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) — 25—1

ე ქ ი მ ი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5

ე ქ ი მ ი
ნ. ხეჩინოვი
დაბრუნდა რუსეთიდან ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ქვ. 1098 — 13—1

ე ქ ი მ ი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაზეროვაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02 — 25—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალ ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 1 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან — 25—

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

დაკარგვ პირადობის მოწმობა ნინა ფარცხალაძის სახელზე, ჩ. გ. 1102

დაკარგვ პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი შალვა ნიკოლოზის-ძე გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 1101

დაკარგვ პირადობის მოწმობა ლიზა კამალოვის სახელზე, ჩ. გ. 1101

დაკარგვ „პრავიზიონის" ბილეთი პირადობის მოწმობით მოცემული ოსეთის სამხედრო გზის ქუთაისის დისტანციის მიერ შალვა არსენის-ძე კაკაბაძის სახელზე, ჩ. გ. 1102

დაკარგვ პირადობის მოწმობა № 65130, მიღებული რკინისგზის მთავარ სახელოსნოებიდან პელაგია ივანეს ასული ცინცაძის სახელზე, ჩ. გ. 1101

დაკარგვ ზვშის მოთხოვნილება № 460858 გაცემული მაკარ იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1097

დაკარგვ მეცსანშრომის საწევრო წიგნაკი № 4048 ლუშა ჟღენტის სახელზე, ჩ. გ. 1093

დაკარგვ კავშირის წიგნაკი № 11326 და სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა, მოცემული ზემო-ხანდაკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობის „ახალი ცხოვრებისაგან". კონსტანტინე იაკობის-ძე კილაძეს სახელზე, ჩ. გ. 1096

დაკარგვ სამხედრო კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 4902 ბარის გელენიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 41

დაკარგვ მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 10023 რუბენ. ვარშავოვი სახელზე, ჩ. გ. 11

დაკარგვ სამხედრო აღრიცხვ ბარათი № 54, გაცემული საჩხერ სამხედრო მაგიდიდან ივანე გარსევანის-ძე ბურძენიძეს სახელზე, ჩ. გ. 1

დაკარგვ მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 3772—არტაშეს სტეფანი სახელზე, ჩ. გ. 1

დაკარგვ პირადობის ბარათი 367 და სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, გაცემული ალექსანდრე მაქსიმე ქორუღლიანის სახელზე, ჩ. გ. 1100

დაკარგვ განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 16981, სვიმონ თედოს-ძე სვიმონიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1095

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.